საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების განმარტება

პრაქტიკის ანალიზი

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების განმარტება

პრაქტიკის ანალიზი

დავით კლდიაშვილი

თბილისი, 2019

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობით, „მედიისა და ინტერნეტის ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ევროპის საბჭოს პოზიციას.

This publication was developed with the support of the Council of Europe in the framework of the Project "Supporting Freedom of Media and Internet". The opinions expressed in this publication do not necessarily reflect the official policy of the Council of Europe.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია, ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით: ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი, ა.შ.) ან მექანიკურად, მათ შორის, ასლის გადაღებით, ჩაწერით, ან ინფორმაციის შენახვისა თუ ამოღების ნებისმერი სისტემის მეშვეობით, კომუნიკაციის დირექტორატის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე (F-67075 სტრასბურგი Cedex ან publishing@ coe.int).

© ევროპის საბჭო. 2020

All rights reserved.

No part of this publication may be translated, reproduced or transmitted, in any form or by any means, electronic (CD-Rom, Internet, etc.) or mechanical, including photocopying, recording or any information storage or retrieval system, without the prior permission in writing from the Directorate of Communications (F-67075 Strasbourg Cedex or publishing@coe.int).

შინაარსი

შესავალი 5

1. ქარჯინის სჯრუქჯურა 7

2. განცხადებათა განხილვის ზოგადი წესი 8

2.1. ჟურნალისჯური პროდუქჯის განმარჯება 9

2.2. საქმის განხილვა 10

2.3. მედიაცია 11

3. პირველი პრინციპი 12

3.1. არაჯუსჯი ინფორმაცია 12

1.1.3. ჯუსჯი ინფორმაციის დაღგენა 13

3.1.2. გადამოწმების მცდელობა 15

3.1.3. უმნიშვნელო უჯუსჯობა 21

3.2. კონჯექსჯი და მანიპულაცია 22

3.3. სარედაქციო პასუხისმგებლობა 25

3.4. წყარო და წყაროს რელევანჯურობა 29

3.5. სათაური როგორც ცალკე ჟურნალისჯური პროდუქჯი 31

3.6. შესწორება პირველი პრინციპის თავიდან ასაცილებლად 33

4. მეორე პრინციპი 36

5. მესამე პრინციპი 39

5.1. მნიშვნელოვანი ფაქჯის მიჩქმალვა 40

5.2. დაღასჯურებული წყარო 44

6. მეოთხე პრინციპი 46

7. მეხუთე პრინციპი 48

7.1. ჟურნალისტის მიერ არასწორი ინფორმაციის შესახებ ინფორმაციის მიღება 49

7.2. შესწორების სტანდარტი 54

8. მეექვსე პრინციპი 58

9. მეშვიდე პრინციპი 60

9.1. დისკრიმინაცია ეთნიკური წარმოშობის ნიშნით 62

9.2. დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით 64

9.3. დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით 68

9.4. დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით 69

9.5. დისკრიმინაცია, სტიგმატიზაცია სხვა ნიშნებით 70

9.6. სტიგმის გაძლიერება 71

9.7. ჟურნალისტის ქცევა პირდაპირი ეთერის დროს 75

10. მერვე პრინციპი 77

10.1. მშობლის ან მეურვის თანხმობა 78

10.2. არასრულწლოვნის ინტერესი 79

11. მეცხრე პრინციპი 86

12. მეათე პრინციპი 89

13. მეთერთმეტე პრინციპი 97

13.1. კლიკბეიტი 97

13.2. ფაქტის განზრახ დამახინჯება 101

დანართები 107

დანართი 1 107
შესწორების სტანდარტი მედიაში – სახელმძღვანელო წესები 107

დანართი 2 111
ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების
სახელმძღვანელო წესები 111

დანართი 3 123
სარეკლამო და სარედაქციო მასალების გამიჯვნა 123

შესავალი

არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი – „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ დაარსდა 2009 წლის 4 დეკემბერს 137 ჟურნალისტის მიერ. დაფუძნებიდან ათი წლის შემდეგ, 2019 წლისთვის წევრთა რაოდენობა 360-ს აჭარბებს.

ქარტიის დაფუძნებას წინ უძღოდა კონსულტაციების პროცესი მომავალ წევრებს შორის, რის შედეგადაც ჟურნალისტებმა მიაღწიეს შეთანხმებას 11 პრინციპზე, რომელთა დაცვაც აუცილებლად მიიჩნიეს ეთიკური ჟურნალისტიკისათვის. ქარტიის წესდებით ასევე შეიქმნა კოლეგიური ორგანო – საბჭო, რომელიც განიხილავს ჟურნალისტის მიერ ეთიკური სტანდარტების დარღვევის შესაძლო ფაქტებს. ამით ქარტიამ შეიძინა თვითმარეგულირებელი ორგანოს ფუნქცია, რაც ათწლეულების განმავლობაში აპრობირებული და მიღებული საერთაშორისო პრაქტიკაა.

თვითრეგულირება, განსაკუთრებით, ჟურნალისტიკაში გულისხმობს შესაძლებლობას, ეთიკურ გადაცდომებზე იმსჯელონ თავად ჟურნალისტებმა და სახელმწიფოს მხრიდან მედიის შინაარსის რეგულირება მინიმუმამდე შეამცირონ, რათა ჟურნალისტებმა თავისუფლად შეძლონ პროფესიული საქმიანობის განხორციელება, შეამცირონ სიტყვისა და გამოხატვის შეზღუდვის, ცენზურისა თუ თვითცენზურის რისკები.

ქარტიის მსგავსი თვითრეგულირების ორგანოები არსებობს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, შექმნილია დამოუკიდებელი თვითრეგულირების ორგანოების საერთაშორისო ქსელიც – AIPCE[1], რომლის სრულუფლებიანი წევრიც არის ქარტია. ქსელის ფარგლებში წევრი ორგანიზაციები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და ეხმარებიან ერთმანეთს ერთგვარი სტანდარტის

1 http://www.aipce.net/

ჩამოყალიბებაში. ამ ქსელის წევრობის ფარგლებში ქარტიას აქვს შესაძლებლობა, საკუთარი პრაქტიკა დახვეწოს დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილი თვითრეგულირების ორგანოების მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტების შესაბამისად. ქარტია ასევე გაწევრიანებულია დამოუკიდებელი თვითრეგულირების ორგანოების რეგიონულ ქსელში, რომელიც აერთიანებს აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში არსებულ თვითრეგულირების ორგანოებს.

თვითრეგულირების ორგანო არის მექანიზმი აუდიტორიისთვის, გაასაჩივროს ჟურნალისტის მიერ ამბის არაეთიკურად გაშუქება და ამით წვლილი შეიტანოს ჟურნალისტიკის ხარისხის გაუმჯობესებაში. განცხადებების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანაში მედიის თვითრეგულირება ძლიერდება.

ქარტიის საბჭომ დაფუძნების დღიდან 300-ზე მეტი განცხადება განიხილა. თავდაპირველად საბჭო მხოლოდ წევრი ჟურნალისტების წინააღმდეგ იღებდა განცხადებებს, 2014 წლიდან კი, საერთო კრების გადაწყვეტილებით, მანდატი გაფართოვდა და საბჭო არაწევრი ჟურნალისტების მიერ მომზადებულ მასალებზეც მსჯელობს.

საქმეთა განხილვის საფუძველზე საბჭომ შექმნა პრაქტიკა და, ფაქტობრივად, მედიის ეთიკური სტანდარტების განმსაზღვრელი გახდა. წინამდებარე კომენტარებში მოცემულია ქარტიის თითოეული პრინციპის განმარტება და განხილულია საბჭოს მიერ მიღებული ის გადაწყვეტილებები, რომლებმაც დაადგინა ესა თუ ის სტანდარტი, რასაც დაეფუძნა შემდგომი გადაწყვეტილებები.

კომენტარებში მითითებული გადაწყვეტილებების სრული ტექსტი განთავსებულია ქარტიის ვებსაიტზე: www.qartia.ge

1. ქარტიის სტრუქტურა

ქარტიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა წევრთა საერთო კრება, რომელიც რეგულარულად იმართება წელიწადში ერთხელ. წესდების თანახმად, ქარტიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებად განსაზღვრულია საბჭო, აღმასრულებელი დირექტორი, სარევიზიო კომისია და სამდივნო.

ქარტიის წევრთა საერთო კრება ყოველწლიურად იმართება დეკემბრის თვეში. კრებაზე განიხილება საბჭოს თავმჯდომარის, აღმასრულებელი დირექტორისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ანგარიშები, საერთო კრების კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხები. საერთო კრებაზე ირჩევენ საბჭოს ახალ წევრებსაც.

ქარტიის საბჭო კოლეგიური ორგანოა. საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 3 წელი.[2] ყოველწლიურად ხდება ქარტიის საბჭოს წევრთა 1/3-ის განახლება. საბჭო განიხილავს განცხადებებს ჟურნალისტის მიერ ეთიკური ვალდებულებების სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე.

ქარტიის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც კონკურსის წესით შეირჩევა და საბჭოს მიერ ინიშნება სამი წლის ვადით. აღმასრულებელ დირექტორს, საბჭოს გადაწყვეტილებით, უფლებამოსილების ვადა შეიძლება გაუგრძელდეს, დამატებით, ერთი წლის ვადით.

ქარტიის თავმჯდომარის, საბჭოს და აღმასრულებელი დირექტორის, ასევე ქარტიის სხვა დასაქმებულთა მიერ ქარტიის წესდების შესრულებასა და ფინანსური სახსრების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს ქარტიის სარევიზიო კომისია, რომელსაც სამი წლის ვადითა და სამი წევრის შემადგენლობით ირჩევს საერთო კრება.

---

2 პირველი საერთო კრების დროს დაუშვეს გამონაკლისი: 3 წევრი არჩეულ იქნა ერთი წლის ვადით, 3 – ორი წლის, ხოლო 3 – სამი წლის ვადით, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ყოველწლიური განახლება.

ქარტიის სამდივნო უზრუნველყოფს ქარტიის საბჭოს საქმიანობის სამართლებრივ და ტექნიკურ მხარდაჭერას, განსაკუთრებით საბჭოს მიერ საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში. სამდივნო წყვეტს განცხადების დასაშვებობის საკითხს, უგზავნის საქმის მასალებს მხარეებს და საბჭოს, უზრუნველყოფს მათთან კომუნიკაციას, ინფორმაციის გამოთხოვას, ასევე ამზადებს გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილის პროექტებს.

2. განცხადებათა განხილვის ზოგადი წესი

ჟურნალისტის მიერ ქარტიის პრინციპების სავარაუდო დარღვევის თაობაზე საბჭოს მიერ განხილვის დაწყების საფუძველი ხდება განცხადება, რომელიც შეიძლება საბჭოს წარედგინოს როგორც მატერიალური სახით, ისე ელექტრონული ფორმით. ქარტიის საბჭოს სამდივნოს მიერ შემუშავებულია განცხადების ფორმა[3], რომლის მეშვეობით ქარტიის ვებსაიტიდან ონლაინ შესაძლებელია ქარტიის საბჭოსათვის მიმართვა.

ქარტიის განმცხადებლებს შორის არიან: ჟურნალისტები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციები, სასულიერო პირები, მინისტრები, პარლამენტის წევრები და ა.შ.

შემოსული განცხადების დასაშვებობა მოწმდება თავდაპირველად სამდივნოს მიერ, კერძოდ:

1. სადავო მასალა მიეკუთვნება თუ არა ჟურნალისტურ პროდუქტს;
2. გასულია თუ არა ხანდაზმულობის ვადა;
3. მითითებულია თუ არა სადავო პრინციპები და სადავო გარემოებები.

3 https://www.qartia.ge/ka/ganckhadebis-shetana

არასტანდარტული შემთხვევის (ეჭვქვეშ დგება შეფასება სადავო მასალისა, როგორც ჟურნალისტური პროდუქტისა და ა.შ) დასაშვებობის საკითხს, სამდივნოს წარდგინებით, წყვეტს ქარტიის საბჭო.

2.1. ჟურნალისტური პროდუქტის განმარტება

საქართველოში ჟურნალისტური საქმიანობა არ არის რეგულირებადი. შესაბამისად, საბჭომ ჟურნალისტური საქმიანობა დაუკავშირა ჟურნალისტურ პროდუქტს და საქმეში – ***„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ლილუ მიროტაძის წინააღმდეგ* (2018 წელი)** – შემდეგნაირად განმარტა:

> *„როგორც საერთაშორისო, ისე ქარტიის პრაქტიკა ჟურნალისტურ პროდუქტად აკვალიფიცირებს მედიასაშუალების მიერ გავრცელებულ, გარკვეული ფაქტების ან მოსაზრებების შემცველ ნებისმიერ ინფორმაციას. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ყველას აქვს უფლება და საშუალება, საჯაროდ გაავრცელოს ფაქტი ან მოსაზრება, მედია სწორედ იმით გამოირჩევა ყველა სხვა ნებისმიერი პირისაგან, რომ იგი ხაზს უსვამს საკუთარ თავს როგორც ინფორმაციის გამავრცელებელ საშუალებას, ასეთად აღიქმება საზოგადოების მიერ და არსებობს მოლოდინი, რომ იგი პატივს სცემს საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია, ასრულებს სხვა ეთიკურ ვალდებულებებს (არასრულწლოვნის ინტერესების დაცვა, დისკრიმინაციის თავიდან არიდება და ა.შ). სწორედ მედიასაშუალებას ევალება დაიცვას საერთაშორისოდ აღიარებული ეთიკური ჟურნალისტიკის სტანდარტები“.*

ქარტიის საბჭო ჟურნალისტურ პროდუქტად არ მიიჩნევს ინფორმაციას, რომელიც გავრცელდა როგორც პერსონალური მოსაზრება, ან გამოქვეყნდა პირადი ანგარიშით. მაგალითად, თუ ჟურნალისტი თავისი პირად FACEBOOK-გვერდზე ავრცელებს ინფორმაციას, ეს არ ითვლება ჟურნალისტურ პროდუქტად, მაგრამ, თუ იმავე სოციალურ ქსელში ინფორმაცია ვრცელდება საინფორმაციო საშუალების სახელით, ეს შეიძლება იყოს ქარტიის საბჭოს განხილვის საგანი.

2.2. საქმის განხილვა

განცხადებაში არ არის სავალდებულო, მითითებული იყოს მოპასუხე ჟურნალისტი. ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა განცხადება ეხება ონლაინპლატფორმებს, სადავო ჟურნალისტურ პროდუქტებზე არ არის მითითებული ავტორი/ჟურნალისტი. ასეთ შემთხვევაში საბჭოს მიერ მოპასუხედ განისაზღვრება მედიასაშუალების რედაქტორი. თუ რედაქტორის იდენტიფიცირებაც ვერ მოხდა, ეს არ აფერხებს განცხადების განხილვას და ქარტიის გადაწყვეტილებაში მოპასუხედ მიეთითება არაიდენტიფიცირებული ავტორი/ჟურნალისტი.

განმცხადებელს ასევე უფლება აქვს, ნებისმიერ დროს უკან გაიხმოს თავისი განცხადება.

განცხადების მოპასუხე ჟურნალისტისათვის ან/და მედიასაშუალებისათვის მიწოდების შემდეგ ამ უკანასკნელს ეძლევა საშუალება, წარმოადგინოს შეპასუხება ან/და მონაწილეობა მიიღოს საქმის განმხილველ სხდომაში. მოპასუხე მხარის უარი თანამშრომლობაზე არ არის საქმის განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება. გამონაკლის შემთხვევებში, თუ საბჭო თვლის, რომ წარმოდგენილი განცხადება და სადავო ჟურნალისტური პროდუქტი საკმარისია გადაწყვეტილების მისაღებად, შესაძლებელია, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს მხარეთა მონაწილეობის, მათ შორის მხარეთაგან დამატებითი ინფორმაციის/განმარტების გამოთხოვის გარეშე.

ასევე დაშვებულია, რომ საბჭოს წევრებმა საკუთარი პოზიცია განსახილველ განცხადებასთან დაკავშირებით გამოხატონ და საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ დისტანციური ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით (სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ონლაინვიდეო და აუდიოზარები) და გადაწყვეტილება შესაძლებელია, მიღებულ იქნეს ამ წესით.

გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა, მას მხარი დაუჭიროს საბჭოს, მინიმუმ, 5 წევრმა. თუ კონკრეტულ გადაწყვეტილებას (პრინციპის დარღვევა ან არდარღვევა) მხარი არ დაუჭირა, მინიმუმ, 5 წევრმა, გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული და ქვეყნდება

სხდომის ოქმი, სადაც მიეთითება როგორც დარღვევის დადგენის მომხრე, ისე მოწინააღმდეგე საბჭოს წევრთა არგუმენტები.

ქარტიის შიდა დოკუმენტები არ ითვალისწინებენ კონკრეტულ კრიტერიუმებს, როდის უნდა მოხდეს ქარტიის საბჭოს წევრის აცილება საქმის განხილვის დროს, მაგრამ პრაქტიკაში გამოიყენება თვითაცილების მექანიზმი: კერძოდ, თუ საბჭოს რომელიმე წევრი მიიჩნევს, რომ განმცხადებელთან ან მოპასუხესთან ხდება მისი აფილირება, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს საბჭოს გადაწყვეტილების მიუკერძოებლობა, იგი აყენებს თვითაცილების საკითხს. ამასთან, თვითაცილება შეიძლება იყოს ნაწილობრივი, კერძოდ, საბჭოს წევრმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვის ღია ნაწილში, ხოლო დახურულში – არა. ძირითადად, თვითაცილება ხდება მთელი სხდომის, და არა მისი რომელიმე ნაწილის, მიმართ.

საქმის განმხილველი სხდომა შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი საჯაროა, ნებისმიერ პირს შეუძლია დაესწროს, ხდება სხდომის აუდიოჩაწერა და ამ ნაწილში, ძირითადად, მიმდინარეობს მხარეების გამოკითხვა, დამატებითი გარემოების მოძიება/შესწავლა. აუდიოჩანაწერიც ასევე საჯაროა და ნებისმიერ პირს შეუძლია გამოითხოვოს. ღია ნაწილის შემდეგ სხდომა იხურება და საბჭოს წევრები დახურულ რეჟიმში მსჯელობენ უკვე გადაწყვეტილებაზე. როგორც წესი, ჯერ ქვეყნდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, ხოლო შემდეგ სამოტივაციო ნაწილი. გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია, რომ სარეზოლუციო და სამოტივაციო ნაწილები ერთობლივად გამოქვეყნდეს.

2.3. მედიაცია

ქარტიის საბჭოს პრაქტიკაში არაერთხელ გამოყენებულა ე.წ. მედიაციის მექანიზმი, კერძოდ, თუ საბჭო მიიჩნევს, რომ განმცხადებელსა და მოპასუხე ჟურნალისტს შორის შესაძლებელია შეთანხმება, მაგალითად მასალის ჩასწორება, მაშინ საბჭოს სამდივნო უგზავნის წინადადებას მხარეებს იმ ღონისძიების შესახებ, რომლის განხორციელებამაც შეიძლება საბჭოს თავიდან აარიდოს საქმის განხილვა და საქმე დასრულდეს მორიგებით.

საბჭოს შეუძლია, ამ წინადადებით მიმართოს მხარეებს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. მედიაციის საფუძველი შეიძლება იყოს სხვადასხვა გარემოება, მაგალითად, საქმეში – ***ინიციატივა საჯარო სივრცისთვის BMG-ის წინააღმდეგ* (2019) –** მედიაციის წინაპირობა გახდა გარემოება, რომ საბჭოსათვის მიმართვის შემდეგ მოპასუხე მედიამ განმცხადებელი/მისი წარმომადგენლები მიიწვია გადაცემაში, სადაც მათ დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია და პრეტენზიები სადავო სიუჟეტში გაშუქებულ ამბავთან დაკავშირებით. ხოლო საქმეში **– *ლევან კოჭლამაზაშვილი dianews.ge-ს წინააღმდეგ* (2019) –** მედიაციის საფუძველი გახდა მედიასაშუალების მიერ სადავო ფოტოსა და მინაწერის წაშლა განცხადების გადაგზავნის შემდეგ.

3. პირველი პრინციპი

ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

მედია, პირველ რიგში, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების წყაროა და, შესაბამისად, აუდიტორიის უპირველესი მოთხოვნა ამ ინფორმაციის ზუსტად მიწოდებაა. ყველაზე ხშირად სწორედ არაზუსტი ინფორმაცია არის განმცხადებელთა მიერ საბჭოსათვის მომართვის საფუძველი. შესაბამისად, ყველაზე ხშირად პირველ პრინციპზე აქვს საბჭოს ნამსჯელი. პირველი პრინციპი ძალიან ზოგადია და საბჭოს პრაქტიკამ განსაზღვრა. რა მოიაზრება ამ პრინციპში, რა იგულისხმება სიზუსტეში და რა ვალდებულება აკისრია ჟურნალისტს, სხვადასხვანაირად განიმარტება თითოეული ჟურნალისტური პროდუქტის მიმართ.

3.1. არაზუსტი ინფორმაცია

პირველი პრინციპის დარღვევის დასადასტურებლად აუცილებელი არ არის, საბჭომ ზუსტად დაადგინოს, გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამებოდა თუ არა სიმართლეს; საბჭო ჟურნალისტურ

პროდუქტს აანალიზებს აუდიტორიის პოზიციიდან და ცდილობს დაადგინოს, რამდენად სცა ჟურნალისტმა პატივი საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. სწორედ იმ ძალისხმევას აფასებს, რაც ჟურნალისტმა გასწია ინფორმაციის გადასამოწმებლად.

საბჭოს მიერ არაზუსტ ინფორმაციაზე მსჯელობა რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

1. როცა აშკარაა, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს;

2. როცა საბჭოს არ შეუძლია, დაადგინოს, ინფორმაცია იყო თუ არა ზუსტი, მაგრამ ჩანს, რომ ჟურნალისტმა არ სცადა ინფორმაციის გადამოწმება;

3. როცა არაარსებითია გავრცელებული არაზუსტი ინფორმაცია.

3.1.1. ზუსტი ინფორმაციის დადგენა

ქარტიის მიერ განხილულ ზოგიერთ საქმეში მარტივად შესაძლებელი იყო იმის დადგენა, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს.

საქმე *დავით მახარაშვილი დიანა ჯოჯუასა და თამარ ბაღაშვილის წინააღმდეგ* (2018 წელი)

„რუსთავი 2“-ის ეთერში გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით – „მორიგი სკანდალური ბრალდება – კახა კალაძე ქართველ სამხედროებს აგვისტოს ომში თანამებრძოლების მიტოვებაში ადანაშაულებს“. მასალა ეხებოდა თბილისის მერის, კახა კალაძის, ბრიფინგს. წამყვანმა დიანა ჯოჯუამ მტკიცებითი ფორმით განაცხადა, რომ კახა კალაძემ ქართველი სამხედროები საკუთარი თანამებრძოლების ცხედრების ბრძოლის ველზე მიტოვებაში დაადანაშაულა. იგივე გაიმეორა ჟურნალისტმა თამარ ბაღაშვილმაც. ქარტიის საბჭო გაეცნო განმცხადებლის მიერ მოწოდებულ ბრიფინგის სრულ ვერსიას და დაადგინა, რომ კახა კალაძემ ცხედრების მიტოვებაში

არა უშუალოდ თანამებრძოლები (ჯარისკაცები) დაადანაშაულა, არამედ ეს ბრალდება იმ დროს მოქმედ მმართველ პარტიას და მის ლიდერს წაუყენა. შესაბამისად, ცალსახა და დადასტურებული იყო არასწორი ინფორმაციის გავრცელება და დადგინდა პირველი პრინციპის დარღვევა.

საქმე *გიორგი ყიფიანი ქეთი ბრაჭულისა და ირაკლი ჩიხლაძის წინააღმდეგ* (2018 წელი)

სიუჟეტში ნაჩვენები იყო განცხადება, რომელიც ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა ე.წ. „მეფის რუსეთის“ პერიოდში. განცხადების ავტორი ეძებდა მის მიერ დაკარგულ „ტრუბას“: „16 თებერვალს ფაეტონში დამრჩა თუნუქის ტრუბა, რომელშიც შეხვეული პლანები ეწყო“. ამ განცხადებას ჟურნალისტი წარადგენს შემდეგი ტექსტით: „მოქალაქე, რომელმაც კანაფი დაკარგა, მპოვნელს დასაჩუქრებას ჰპირდება“. თემას კვლავ ავრცობს რესპონდენტი ზურაბ ჯაფარიძე, რომელიც ავითარებს მოსაზრებას, რომ „თუნუქის ტრუბა“, კანაფის მოსაწევად განკუთვნილი მოწყობილობა, ე.წ. „ფაიფი“ იყო. ანუ შთაბეჭდილება რჩება, რომ კანაფის მოწევა იმდენად ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ კანაფის ან/და მისი მოსაწევი მოწყობილობის დაკარგვის შესახებ თავისუფლად აცხადებდნენ გაზეთში.

ქარტიის საბჭომ მოიკვლია, რომ აღნიშნული განცხადება გამოქვეყნებულ იქნა გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ გამოცემულ წიგნში „ძველი ქართული რეკლამა – 150 განცხადება“. საბჭო დაუკავშირდა გიორგი ჭეიშვილს, რომელიც ამ გამოცემაზე მუშაობდა. მან აღნიშნა, რომ განცხადების ავტორი იყო არქიტექტორი და სიტყვა „პლანი“ (რუსულად “план”) ამ განცხადებაში ნიშნავდა გეგმებს, ნახაზებს, რომლებიც ხშირად რგოლად დახვეულ მდგომარეობაში ინახებოდა. რადგანაც აშკარა იყო ჟურნალისტურ პროდუქტში არასწორი ინტერპრეტაცია, დადგინდა არასწორი ფაქტის გავრცელება.

აქედან გამომდინარე, თუ გარემოებების შესწავლისას ცხადია, რომ გავრცელებული ინფორმაცია არაზუსტია, საბჭო პირველი პრინციპის დარღვევას მარტივად ადგენს.

ქარტიის პრაქტიკაში არის რამდენიმე საქმე, რომლებშიც გარემოებების მოკვლევის მიზნით, ქარტიის საბჭომ განსაკუთრებული ძალისხმევა გასწია, როცა გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი არ იყო მხოლოდ ჟურნალისტური პროდუქტი ან/და მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

საქმე *დავით მახარაშვილი ლევან კენჭოშვილის წინააღმდეგ* (2018 წელი)

ამ საქმეში მნიშვნელოვანია ის ქმედებები, რომლებიც საბჭომ განახორციელა, რათა სრულყოფილად შეესწავლა გარემოებები. განცხადება ეხებოდა „POSTV"-ის გადაცემა „STOP ხამის" მიერ ქალაქ გორში გადაღებულ ეპიზოდს. მასალაში ჩანდა, რომ გადაცემის გადამღები ჯგუფი უახლოვდება BMW-ს მარკის ავტომობილს, რომელიც გაჩერებულია ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელზე, რაც დარღვევაა. მანქანაში მძღოლის ადგილის გვერდით ზის ერთი პირი, რომელსაც გადაცემის წამყვანი ავტომობილის გადაყენებას სთხოვს. საპასუხოდ, მანქანაში მჯდომი პირისაგან ისმის გინება და სხვადასხვა შეურაცხმყოფელი სიტყვა წამყვანის მიმართ. ის ამბობდა, რომ „გორელია" და „არაფერი არ უნდა შეეშალოთ". მაყურებელს შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ეპიზოდი ასახავდა რეალურ ფაქტებს, მანქანაში მყოფი „გორელი" პირი კი იყო აგრესიული, უზრდელი და არ ემორჩილებოდა კანონს. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ეს ეპიზოდი იყო ხელოვნურად დადგმული. სხდომის მიმდინარეობისას საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გარემოებები არ იყო საკმარისი და საჭირო იყო ინფორმაციის მოპოვება უშუალოდ ეპიზოდში მონაწილე პირისაგან. საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი ჩავიდნენ ქალაქ გორში და ადგილზე გამოკითხეს სხვადასხვა პირი, მათ შორის მანქანაში მჯდომი პირი და სწორედ ადგილზე მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე საბჭომ დაადგინა, რომ ეპიზოდი მართლაც დადგმული იყო.

3.1.2. გადამოწმების მცდელობა

საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, თუ როგორ შეეცადა ჟურნალისტი ინფორმაციის გადამოწმებას. ქარტიის პრაქტიკის თანახმად, მინიმუმ, ორი დამოუკიდებელი წყარო უნდა ადასტუ-

რებდეს ინფორმაციას, რომ ის მტკიცებით ფორმაში გადაიცეს.

გადამოწმების შემადგენელი ნაწილია ბალანსი, ბრალდების ობიექტის საპასუხო კომენტარის მოპოვება, ყველა რელევანტურ წყაროსთან ინფორმაციის დაზუსტება. აუდიტორიას უფლება აქვს, იცოდეს ყველა შესაძლო წყაროსა და მხარის პოზიცია ინფორმაციის შესახებ, რათა თავად შეძლოს ამ ინფორმაციის სანდოობის ანდა ნამდვილობის შეფასება.

საქმე *დიმიტრი ქუმსიშვილი ელისო კილაძის წინააღმდეგ* (2018 წელი)

სადავო გახდა სტატია „კორუფცია v. მართლმსაჯულება". ამ სადავო ჟურნალისტურ პროდუქტში ჟურნალისტი დიმიტრი ქუმსიშვილს ბრალს სდებდა კორუფციაში და ინფრასტრუქტურის ყოფილ მინისტრ ზურაბ ალავიძესთან ერთად მოიხსენიებდა თანამედროვე ქართული კორუფციის „ორთავიან ურჩხულად", რომელიც ძირს უთხრის სახელმწიფო ბიუჯეტს. სტატიის თანახმად, კორუფციაში დიმიტრი ქუმსიშვილის ჩართულობა საქართველოს პროკურატურას უკვე გამოძიებული აქვს. მასალაში ასევე მითითებული იყო, რომ დიმიტრი ქუმსიშვილის მეგობარი და ნათესავია ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი გიორგი თვაური, რომელსაც დიმიტრი ქუმსიშვილმა „დაუკვეთა" ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვნების მკვლელობის საქმეში არსებულ ექსპერტიზის დასკვნაში პროკურატურის დისკრედიტაცია. მოპასუხე ჟურნალისტმა განაცხადა, რომ მას ეს ინფორმაცია კონფიდენციალურმა წყარომ მიაწოდა.

რა თქმა უნდა, საბჭო ვერ დაადგენდა, დიმიტრი ქუმსიშვილის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამებოდა თუ არა სიმართლეს, მაგრამ პირველი პრინციპი დარღვეულად მიიჩნია შემდეგი არგუმენტაციით:

> *„ეთიკური ჟურნალისტიკის ერთ–ერთი მთავარი პრინციპია პატივისცემა აუდიტორიის უფლებისათვის, რომ მიიღოს სწორი და გადამოწმებული ინფორმაცია. როდესაც ჟურნალისტი მუშაობს სავარაუდო კორუფციის გამოვლენაზე, მას შეიძლება არ ჰქონდეს ოფიციალური ინფორმაცია*

და დაეყრდნოს კონფიდენციალურ წყაროს, ***მაგრამ ეს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, რომ ყველა ღონე იხმაროს ინფორმაციის ღია წყაროებთან გადასამოწმებლად. ხოლო თუ ვერ ხერხდება ინფორმაციის გადამოწმება, ამის შესახებ ცალსახად უნდა აცნობოს აუდიტორიას.*** *სადავო ჟურნალისტურ პროდუქტში არ ჩანს, რომ ჟურნალისტმა დაიცვა ზემოაღნიშნული ეთიკური ვალდებულება. როდესაც ჟურნალისტი საუბრობს, რომ კორუფციაში დიმიტრი ქუმსიშვილის ჩართულობა საქართველოს პროკურატურას უკვე გამოძიებული აქვს, მას შეეძლო ოფიციალური წესით მიემართა პროკურატურისათვის, არსებობდა თუ არა სისხლის სამართლის საქმე დიმიტრი ქუმსიშვილის წინააღმდეგ, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა გათვალისწინებულია კანონით და პროკურატურა ვალდებული იქნებოდა შესაბამისი პასუხი მიწოდებოდა ჟურნალისტისათვის.* ***თუ დავუშვებთ, რომ ამ გზითაც ვერ მოხერხდებოდა ინფორმაციის მიღება, ჟურნალისტი ვალდებული იყო მკაფიოდ დაეფიქსირებინა, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია გადაუმოწმებელია და ერთი კონფიდენციალური წყაროს გარდა სტატიაში მითითებულ ინფორმაციას მას არ უდასტურებდა სხვა პირი/წყაროები.*** *თუ სტატიაში აღნიშნულ სხვა ფაქტობრივ გარემოებებზე (მაგალითად დიმიტრი ქუმსიშვილის და გიორგი თვაურის მეგობრობა და ნათესაობა) კომენტარისაგან თავი შეიკავა როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა, ისე გიორგი თვაურმა, ჟურნალისტს უნდა აღენიშნა, რომ ამ ინფორმაციის გადამოწმებაც ვერ ხერხდებოდა".*

შედარებით რთულია ამ მიდგომის დაცვა მაშინ, როცა ინფორმაციის გავრცელება ხდება პირდაპირ ეთერში. აღნიშნულ შემთხვევაზე ქარტიის საბჭომ იმსჯელა თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე – ***ირაკლი მამალაძე ნაზი ქობულაძისა და თამილა ზოიძის წინააღმდეგ*** **(2018 წელი).** სადავო გადაცემაში სტუმრად მოწვეულნი იყვნენ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები: გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე. მათ ისაუბრეს ირაკლი მამალაძეზე[4] და ის მო-

4 ირაკლი მამალაძე მნიშვნელოვანი მოწმე იყო დეკანოზ გიორგი მამალაძის წინააღმდეგ მიმართულ სისხლის სამართლის საქმეში.

იხსენიეს „აგენტ-პროვოკატორად“, რომელიც თანამშრომლობს ძალოვან სტრუქტურებთან, მოქმედებს მათი დავალებით თანხების მიღების სანაცვლოდ. განმცხადებელი ირაკლი მამალაძე დავობდა, რომ მის შესახებ არასწორი ინფორმაცია გავრცელდა. ქარტიის საბჭომ აღნიშნა, რომ ჟურნალისტი ამ შემთხვევაში წინასწარ ვერ განსაზღვრავდა, რაზე ისაუბრებდა მისი რესპონდენტი და წინასწარ ვერ მოიწვევდა მეორე მხარეს, ირაკლი მამალაძეს, მაგრამ ქარტიის საბჭომ არ ჩათვალა ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპების დაცვად გადაცემის მსვლელობისას და მის შემდეგ ჟურნალისტების ქცევა. კერძოდ, საბჭომ აღნიშნა, რომ:

> *„როცა გადაცემა მიმდინარეობს პირდაპირ ეთერში, ყოველთვის არსებობს რისკი და ალბათობა, რომ რომელიმე რესპონდენტმა გააჟღეროს ისეთი ინფორმაცია, რომლის გადამოწმება/მეორე მხარის პოზიციის მოპოვება დროის რეალურ რეჟიმში ვერ მოხერხდება... ამ დროს განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ჟურნალისტის ეთიკური ვალდებულება, რომ გაემიჯნოს ერთი მხარის პოზიციას და მაყურებლისათვის აღქმადი გახადოს, რომ ეს არის გადაუმოწმებელი ინფორმაცია, რომ შეუძლებელია იმ მომენტში მეორე მხარის კომენტარის მოპოვება და ეს არ უნდა იქნეს აღქმული როგორც ფაქტი. გადაცემის დასრულების შემდეგაც ჟურნალისტებს ყველა ღონე უნდა ეხმარათ, რომ მიეღოთ ირაკლი მამალაძის ინტერვიუ/პოზიცია მათ ეთერში გაჟღერებულ ბრალდებებთან დაკავშირებით და გაევრცელებინათ იგი. როგორც მოპასუხე მხარემ აღნიშნა, მათ ჰქონდათ მცდელობა, რომ მიეღოთ საპასუხო პოზიცია, მაგრამ ირაკლი მამალაძემ უარი განაცხადა კომუნიკაციაზე, აღნიშნული გარემოება უარყო ირაკლი მამალაძემ. საბჭო აღნიშნავს, რომ თუ ირაკლი მამალაძე უარს აცხადებდა ინტერვიუზე, მიზანშეწონილი იყო, გავრცელებულიყო ჟურნალისტების კომენტარი, რომ გადაცემაში გამოთქმული ბრალდებების გადამოწმება სცადეს ირაკლი მამალაძესთან, რომელმაც უარი თქვა მათთან კომუნიკაციაზე“.*

საქმე ***მარიამ გელაშვილი სოფო ზედელაშვილის წინააღმდეგ*** **(2018 წელი)** გამოირჩევა იმით, რომ საბჭომ იმსჯელა იმაზე, თუ

როდის არის ვალდებული ჟურნალისტი, დაელოდოს მეორე მხარის პოზიციას. საქმეში დადგინდა, რომ ჟურნალისტის მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავდა მეორე მხარის (ქალაქ თბილისის მერიის) პოზიციას. ჟურნალისტმა დაადასტურა, რომ, ფორმალური თვალსაზრისით, მართლაც, დარღვეული იყო ბალანსი, თუმცა, მისი თქმით, ჰქონდა ინფორმაციის დამატებით მოკვლევის მცდელობა, მაგრამ მერიისაგან პასუხი მხოლოდ სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ მიიღო. საბჭომ მიუთითა, რომ:

> *„გაშუქებული საკითხი არ იყო სასწრაფოდ გასავრცელებელი, როცა მისი დროული გაშუქება საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ჟურნალისტი ვალდებული იყო დალოდებოდა მერიის პოზიციას, ან უფრო მეტი ძალისხმევა გამოეჩინა მეორე მხარის მოძიება-მოკვლევისათვის და საზოგადოებისათვის დაბალანსებული/გადამოწმებული, ორივე მხარის პოზიციის შემცველი ინფორმაცია მიეწოდებინა“.*

შესაბამისად, საბჭო თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად აფასებს, რამდენად საჭირო იყო პასუხისთვის დალოდება და მიიჩნევს, რომ, თუ ინფორმაცია არ არის სასწრაფოდ გასავრცელებელი, ჟურნალისტი უნდა დაელოდოს მეორე მხარის პოზიციას, გადამოწმებას და მხოლოდ შემდეგ გაავრცელოს ინფორმაცია.

საინტერესოა საქმე ***ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე ნატა მუმლაძის წინააღმდეგ* (2014 წელი),** სადაც საბჭომ განმარტა, როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის სანდოობის შეფასება.

სააგენტო interpressnews.ge-ზე გამოქვეყნდა ნიუსი სათაურით: ,,არსებული ინფორმაციით, ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე აზერბაიჯანში დააკავეს“. სტატიაში მითითებული იყო, რომ ზურაბ ჯაფარიძე და ირმა ნადირაშვილი ელექტროშოკის აპარატებისა და დიდი ოდენობით არადეკლარირებული ფულადი თანხის გადმოტანის მცდელობის ფაქტზე დააკავეს. საქმის განხილვისას მოპასუხე ჟურნალისტმა საბჭოს აცნობა, რომ მას ეს ინფორმაცია მოაწოდა კონფიდენციალურმა წყარომ, ამასთან, ინფორმაცია არ იყო გადამოწმებული, მაგრამ სტატიაში ჩანდა ზურაბ ჯაფარიძესა და ირმა ნადირაშვილთან დაკავშირების მცდელობა.

მათ ტელეფონები გამორთული ჰქონდათ. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საბჭომ რეკომენდაციის სახით განმარტა, რომ:

> *„მიუხედავად მიწოდებული ინფორმაციისა, **ჟურნალისტმა თავადაც უნდა შეაფასოს, რამდენად შეიძლება ობიექტურ რეალობას შეესაბამებოდეს ესა თუ ის ფაქტი.** მაგალითად, ლოგიკურად შეიძლება ჟღერდეს არადეკლარირებული თანხის საზღვარზე გადმოტანის მცდელობა, მაგრამ საკმაოდ არალოგიკურია, რომ ოპოზიციური პარტიის ლიდერებს თავად გადმოჰქონდათ ელექტროშოკები საჰაერო ტრანსპორტის გზით. შესაბამისად, მართებული იქნებოდა, რომ პირველ ეტაპზე ჟურნალისტს თავი შეეკავებინა ელექტროშოკების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისაგან. საბჭოს ამ პოზიციას ამყარებს თვით interpressnews.ge-ზე შემდგომ გამოქვეყნებული დამატებითი ინფორმაციებით, როცა როგორც აზერბაიჯანში საქართველოს ელჩი, ისე ვიცე-პრემიერი კახა კალაძე მხოლოდ არადეკლარირებული თანხის გადმოტანის ალბათობაზე საუბრობენ“.*

საქმეში – ***თეა თოფურია მირიან ბოქოლიშვილის წინააღმდეგ* (2011 წელი) –** საბჭომ კვლავ იმსჯელა იმაზე, თუ რას გულისხმობს ეთიკური ვალდებულება, „ჟურნალისტმა პატივი სცეს სიმართლეს“ ინფორმაციის გადამოწმების ჭრილში. სადავო სტატია ეხებოდა ბავშვებს, რომლებიც შესაძლოა, იყვნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი:

> *„პატივი სცეს სიმართლეს“ ნიშნავს, რომ ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა მოიმოქმედოს, რაც კი შედის მის შესაძლებლობაში, რათა საზოგადოებას მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია. **მან შეიძლება ვერც კი შეძლოს საზოგადოებისთვის სიმართლის თქმა, მაგრამ „პატივისცემა“ მიუთითებს მის ძალისხმევაზე“.** „რომც დავუშვათ, რომ იმ მომენტისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო დაკავშირება (მეორე მხარესთან), იმისათვის, რომ უზრუნველეყო საზოგადოების უფლება, მიიღოს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია, სტატიის ავტორს შეეძლო დალოდებოდა იმ მომენტს, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა რაიმე სახით მეორე მხარესთან დაკავშირება, მოესმინა და აესახა ამ მხა-*

რის პოზიცია და შემდგომ გამოექვეყნებინა სტატია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ასე ნაჩქარევად და მეორე მხარის პოზიციის გაუთვალისწინებლად სტატიის გამოქვეყნება მიზნად ისახავდა არა საზოგადოების სრულ ინფორმირებას, არამედ მხოლოდ ეკლექტიკურ ნიადაგზე შეკრებილი სკანდალური ფრაზების/ფაქტების ტირაჟირებას“.

ქარტიის საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, ჟურნალისტმა ყველა შესაძლო გზას უნდა მიმართოს ერთი წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადასამოწმებლად, მოიძიოს მეორე მხარე, ალტერნატიული წყაროები, გამოითხოვოს ინფორმაცია და ყველა რელევანტური მხარის შეფასება, კომენტარი მიაწოდოს აუდიტორიას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ წყაროები იყოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი. სხვადასხვა წყაროდ ვერ ჩაითვლება ისეთი წყაროები, რომლებსაც შეიძლება საერთო ინტერესი ჰქონდეთ ამბის მიმართ. ხოლო თუ ვერ ხერხდება ინფორმაციის გადამოწმება, ჟურნალისტმა აუდიტორიას პატიოსნად უნდა აცნობოს მის მიერ გადამოწმების მცდელობისა და გზების შესახებ და უნდა მიუთითოს, რომ ინფორმაცია გადაუმოწმებელია.

3.1.3 უმნიშვნელო უზუსტობა

ქარტიის პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა ინფორმაცია, შესაძლებელია, ფორმალურად არასწორი იყო, მაგრამ უზუსტობას ჰქონდა არაარსებითი ხასიათი და არ ცვლიდა გავრცელებული ინფორმაციის შინაარსს. შესაბამისად, არ დადგინდა ქარტიის პირველი პრინციპის დარღვევა.

საქმე *ეკა ბესელია ეკა გაგუას წინააღმდეგ* (2018 წელი)

სადავო სიუჟეტში ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ „QNET-ის“ წარმომადგენლობა „დრიმლაინის“ ოფისი განთავსებულია ეკა ბესელიას კუთვნილ მისამართზე. ჟურნალისტი მიუთითებდა, რომ ეკა ბესელიამ ფართი გადასცა შპს „იურიდიული კლინიკა და სამართლებრივი ექსპერტიზის ცენტრს“, ხოლო ცენტრმა – შპს „დრიმლაინს“. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ეს იყო არასწორი ფაქტი , ვინაიდან ეკა ბესელიას კუთვნილი ფართი გადაცემული

აქვს არა შპს „იურიდიული კლინიკა და სამართლებრივი ექსპერტიზის ცენტრს“, არამედ შპს „ელ-ესს“ და სწორედ „ელ-ესმა“-მა, თავის მხრივ, გადასცა „დრიმლაინს“.

საბჭომ დაადგინა, რომ: 1) შპს „დრიმლაინის“ ოფისი, მართლაც, განთავსებულია ეკა ბესელიას კუთვნილ ფართში; 2) შპს „იურიდიული კლინიკა და სამართლებრივი ექსპერტიზის ცენტრის“ პარტნიორები არიან ეკა ბესელიას და ცირა ბესელია და შვილი რატი მილორავა, ხოლო შპს „ელ-ესის“პარტნიორი არის მხოლოდ და – ცირა ბესელია.

აღნიშნულის საფუძველზე საბჭომ მიიჩნია, რომ:

> *„პირველი პრინციპი არ დარღვეულა. ჟურნალისტის მიზანი იყო, ეჩვენებინა კიდევ ერთი კავშირის შესახებ შპს „დრიმლაინსა“ და ეკა ბესელიას შორის. ფაქტია, რომ შპს „დრიმლაინის“ ოფისი მდებარეობს ეკა ბესელიას საკუთრებში და რომ შპს „დრიმლაინის“ ოფისი გადაეცა ისეთი კომპანიისაგან (შპს „ელ-ეს“), რომელი კომპანიაც ასევე დაკავშირებულია ეკა ბესელიასთან (დაფუძნებულია მისი დის მიერ). ანუ ჟურნალისტის მიერ შუამავალი კომპანიის არასწორად დასახელებით (ნაცვლად „ელ-ესისა“, მიუთითა შპს „იურიდიული კლინიკა და სამართლებრივი ექსპერტიზის ცენტრი)* ***არ გავრცელებულა ისეთი არასწორი ინფორმაცია, რომელიც არსებითად ან მნიშვნელოვნად ცვლიდა გარემოებებს.*** *ორივე შპს დაკავშირებული იყო ეკა ბესელიასთან, კერძოდ, ეკა ბესელიამ საკუთარი ფართი გადასცა თავისი დის კომპანიას, ხოლო დის კომპანიამ, თავის მხრივ, ფართი დაუთმო ეკა ბესელიას ძმის კომპანია შპს „დრიმლაინს“ – „QNET-ის“ წარმომადგენელს საქართველოში“.*

3.2. კონტექსტი და მანიპულაცია

ქარტიის პრაქტიკაში არის რამდენიმე გადაწყვეტილება, როცა პირველი პრინციპის დარღვევა დადგინდა ინფორმაციის მაყურებლისათვის მანიპულაციურად მიწოდებით, კონტექსტის გათვალისწინებით, ანონსის და სხვა გარემოებების ერთობლიობის საფუძველზე.

საქმე *მამია ფხაკაძე ნოდარ მელაძისა და ქეთი ნადიბაიძის წინააღმდეგ* (2019 წელი)

სადავო იყო ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გადაცემა „შაბათის კურიერის“ სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა მოსამართლეთა ქონებებს. კონკრეტულად, მოსამართლე მამია ფხაკაძე ამბობდა, რომ მისი ქონება წარმოჩნდა როგორც მდიდრული და მის შემოსავლებთან შეუსაბამო, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. საბჭომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა:

> *„ზოგადად სიუჟეტის მიზნის და აქცენტების გათვალისწინებით, (საბჭო) თითოეულ მედიაპროდუქტს აფასებს საზოგადოებისთვის სიუჟეტის წარდგენის ყველა ასპექტის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში საბჭომ იმსჯელა და გაითვალისწინა სადავო სიუჟეტის ანონსი და ამ სიუჟეტის შემდგომ „კურიერის“ მომდევნო დღეების გამოშვებებში ამავე თემის გაშუქების აქცენტები“.* გადაწყვეტილებაში საბჭომ მიუთითა იმ ტექსტებზე[5], რომლებითაც წარადგინეს სიუჟეტი და ხაზი გაუსვა, რომ *„სადავო სიუჟეტის ანონსი მაყურებელს წინასწარ უყალიბებს მოსაზრებას, რომ სიუჟეტში ნახავს მოსამართლეების მდიდრული და ფეშენებელური უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციას და იქვე გაუჩნდებათ ეჭვი ამ ქონებების ლეგალური და დეკლარირებული გზით შეძენის შეუძლებლობის შესახებ. ამ განწყობას ამძაფრებს ჟურნალისტის ფრაზები“.* ამ წინაპირობის გათვალისწინებით საბჭომ იმსჯელა, რამდენად შეესაბამებოდა სიუჟეტის წარდგენა, მასალით შექმნილი კონტექსტი და სიუჟეტში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაცია ერთმა-

5 „ეს უცხოელი ოლიგარქების სასახლეები არ გეგონოთ, ეს ქართველი მოსამართლეების ფეშენებელური სახლებია. დღეს 9-ზე გაიცანით მოსამართლეები მილიონერების დასახლებიდან.“ „ნახეთ მოსამართლეების ბინები თბილისის შუაგულში. სასამართლოს კლანის ბოსებს ხიბლავთ ვერა და ვაკე, დუპლექსები, პენტჰაუზები ყველაზე ძვირიან კორპუსებში.“ „კურიერის“ აეროგადაღების კამერამ მოსამართლეების სახლებს გადაუფრინა... ერთ საათში ნახეთ, რა ქონებას ფლობენ მოსამართლეები, რომლებსაც საქართველოს სახელით ათასობით ადამიანისათვის განაჩენი გამოაქვთ.“ „როდესაც ამ კადრებს ნახავთ, დარწმუნდებით, რომ მოსამართლეებს კონკურსი აქვთ გამოცხადებული, ვის უფრო მდიდრული და ფეშენებელური სახლი ექნება“. „ჩვენ დავსვამთ კითხვას – შეუძლია თუ არა მოსამართლეს, რომლის თვიური შემოსავალი დაახლოებით 4 ათასი ლარია, ჰქონდეს ასობით ათასი ლარის ქონება, თუ ის პატიოსანი ცხოვრებით ცხოვრობს.“

ნეთს, დაადგინა რა მათი შეუსაბამობა, პირველი პრინციპის დარღვევა დაადასტურა“.

საქმე *გიორგი მელაძე ირაკლი ჩიხლაძის და თამარ გოგესაშვილის წინააღმდეგ* (2019 წელი)

სადავო სიუჟეტი ეხებოდა ხადას ხეობაში მომხდარ მკვლელობას, კერძოდ, ამერიკის ორი სრულწლოვანი მოქალაქისა და მათი შვილის მკვლელობის ფაქტს და ამ მკვლელობასთან დაკავშირებულ გამოძიებას. აღნიშნულ სიუჟეტში, ერთი შეხედვით, ფორმალური ბალანსი დაცული იყო, ჩანდა როგორც პროკურატურის, ისე ბრალდებულის ადვოკატის პოზიცია. მიუხედავად ამისა, საბჭომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხზე:

„თავად სიუჟეტი სრულად მიჰყვება პროკურატურის დღის წესრიგს“. „სიუჟეტში დიდი დრო ეთმობა პროკურატურის წარმომადგენლის ინტერვიუს, რომელიც მტკიცებით ფორმაში ჰყვება ფაქტების შესახებ. სიუჟეტი წარმოადგენს პროკურატურის მიერ სასამართლოში გამოსვლის ანალოგიას, რომელსაც ჟურნალისტური პროდუქტის სახე მიეცა. სიუჟეტში არ ჩანს ჟურნალისტის მცდელობა, გადაემოწმებინა პროკურატურის ვერსია, მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. ნაცვლად ამისა, მათ, როგორც დადასტურებულ ფაქტებს, ისე აწვდის საზოგადოებას. [...] საერთო ჯამში დაცვის მხარის შეპასუხებები არათანაბარზომიერია.“

ასევე გადაწყვეტილებაში საინტერესო განმარტებაა იმ ეთიკურ პასუხისმგებლობაზეც, რომელიც თავს იჩენს მაშინ, როცა ჟურნალისტი სიუჟეტს ამზადებს კრიმინალურ ფაქტზე:

„სიუჟეტი პროკურატურის პოზიციას უცვლელად და უპელაციოდ ავრცელებს. სისხლის სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე „ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება“, რაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის დროს არ არის მხარეთა შეჯიბრებითობა, არამედ სახელმწიფო ბრალდებას მეტი პასუხისმგებლობა და მოვალეობა აქვს, რომ დაამტკიცოს დანაშაულის ჩადენის ფაქტი. იმავე პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს ჟურნალისტმაც, როდესაც აშუქებს დანა-

შაულს ასეთი სიღრმით და დეტალებით, თითქმის ყველა მტკიცებულებაზე მითითებით. ანუ ჟურნალისტის მოვალეობა ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ის არ არის, რომ ფორმალურად უზრუნველყოს ორივე მხარის პოზიციის მაყურებლისათვის მიწოდება, არამედ, თუ ჟურნალისტმა გადაწყვიტა, რომ საზოგადოებას გამოძიების მტკიცებულებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს, პირველ რიგში, თავად უნდა შეხედოს ასეთ მტკიცებულებებს კრიტიკულად, გადაამოწმოს შესაძლებლობის ფარგლებში და არ უნდა იქცეს პროკურატურისათვის მისაღები საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, საზოგადოებისათვის თავზე მოხვევის საშუალებად".

ორივე მხარის პოზიციის მაყურებლისათვის ფორმალურად მიწოდება ასევე არ ჩაითვალა ბალანსის დაცვად.

„ჟურნალისტი კრიტიკულად აფასებს და კითხვებს სვამს დაცვის მხარის პოზიციასთან მიმართებით, ასე კრიტიკულად ჟურნალისტს არ შეუფასებია პროკურატურის ვერსია. მეტიც, ერთ–ერთ ეპიზოდში ჟურნალისტი გამოძიების იმიჯზეც ზრუნავს, ჟურნალისტმა სიუჟეტი მოამზადა არა კრიტიკული შემფასებლის პოზიციით, არამედ პროკურატურასთან უნისონში სცადა დაეჯერებინა საზოგადოება, რომ პროკურატურის პოზიცია მართებულია."

ძალოვანი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიმართ განსაკუთრებულად კრიტიკული დამოკიდებულების აუცილებლობის შესახებ საბჭომ ასევე მიუთითა გადაწყვეტილებაში საქმეზე – ***განმცხადებელთა ჯგუფი გიორგი გვიმრაძისა და ირინა დეკანოიძის წინააღმდეგ.***

3.3. სარედაქციო პასუხისმგებლობა

ხშირად მედიასაშუალებები შეპასუხებაში უთითებდნენ, რომ ინფორმაციის გავრცელებისას დაეყრდნენ სხვა გამოცემებს, ან სხვა რომელიმე პირს და ამით გამორიცხავდნენ საკუთარ სარედაქციო პასუხისმგებლობას. ქარტიის საბჭომ თავის გადაწყვეტილებებში

აღნიშნა, რომ ეს გარემოება არ ათავისუფლებს მედიას ეთიკური ვალდებულებებისაგან.

საქმე *შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ მაია ფურცელაძის წინააღმდეგ* (2016 წელი)

ქარტიის საბჭომ დაადგინა, რომ გაზეთ „ვერსიის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გავრცელდა არასწორი ინფორმაცია. გაზეთმა საკუთარ შეპასუხებაში მიუთითა, რომ „სადავო სტატია გაზეთ „ვერსიაში“ მიწოდებულია სარეკლამო სააგენტო „კლიპ-არტის“ მიერ, რომელსაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საინფორმაციო-სარეკლამო მომსახურების შესახებ და ამ ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული აქვს გაზეთ „ვერსიის“ გვერდების გარკვეული რაოდენობა“. საბჭომ აღნიშნა:

> *„მკითხველისათვის ვერ იქნებოდა ცნობილი, რომ სადავო სტატია იყო სარეკლამო და იგი აღქმული იქნებოდა როგორც ჟურნალისტის მიერ ეთიკური პრინციპების (გადამოწმება, სწორი ინფორმაციის გავრცელება და ა.შ.) დაცვით მომზადებული მასალა, შესაბამისად, სტატიაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება გაზეთის რედაქციას“.* აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საბჭომ ასევე გააკეთა ბმა მე-9 პრინციპთან, რომელიც ჟურნალისტს აკისრებს ვალდებულებას, რომ სარედაქციო მასალები მკვეთრად გამიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებული მასალებისაგან. ამ პრინციპს დეტალურად განვიხილავთ მე-11 თავში.

საქმე *საქართველოს უზენაესი სასამართლო მაია ფურცელაძის, marshalpress.ge-ს, digest.pia.ge-ს, exclusivenews.ge-სა და resonancedaily.com-ის არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტების წინააღმდეგ* (2019 წელი)

აღნიშნული მედიასაშუალებების მიერ გამოქვეყნდა იდენტური სათაურისა და შინაარსის სტატია. დადგინდა, რომ მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შესახებ იყო არასწორი, ამასთან, სტატიის პირველწყარო იყო მედიასაშუალება versia.ge, რაც შეეხება marshalpress.ge-ს, digest.pia.ge-ს, exclusivenews.ge-ს, resonancedaily.com-ს, მათ

იდენტური შინაარსით გამოაქვეყნეს სტატია და მიუთითეს „წყარო – ვერსია“, რითაც თითქოს მითითება გააკეთეს სხვა მედიასაშუალებაზე, როგორც წყაროზე, და ამით აირიდეს სარედაქციო პასუხისმგებლობა. საბჭომ აღნიშნა, რომ:

> *„ეს მითითება არც ერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მედიასაშუალებას ეთიკური ვალდებულებებისაგან. სხვა მედიასაშუალებებისათვის versia.ge იყო წყარო და ეთიკური ვალდებულებების დაცვის მიზნით მოვალენი იყვნენ, გადაემოწმებინათ „ვერსიის“ (ანუ წყაროს) მიერ გავრცელებული ინფორმაცია. უცვლელი სახით მასალის კოპირებით კი მათ იდენტურად ვერ შეასრულეს ეთიკური ვალდებულებები“.*

საქმე *დაჩი ცაგურია ნიკა გვარამიას წინააღმდეგ* (2018 წელი)

„რუსთავი 2-ის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ თავის საავტორო გადაცემა „კვირის აქცენტებში“ მტკიცებით ფორმაში, დადასტურებული ფაქტის სახით, მაყურებელს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სამტრედიაში დაჩი ცაგურიამ და მამამისმა ადგილობრივ „ავტორიტეტებს“ შესაბამისი ანაზღაურების (ე.წ. „გრევის“) სანაცვლოდ არჩევნებში დახმარება სთხოვეს. დაჩი ცაგურია ნიკა გვარამიას არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებდა. ნიკა გვარამიამ თავის შეპასუხებაში მიუთითა, რომ „კვირის აქცენტები“ იყო საავტორო გადაცემა, რომლის ფორმატი განსხვავდება საინფორმაციო გამოშვების ფორმატისაგან. ვინაიდან გადამოწმებული და დაზუსტებული არ იყო, ამიტომ ვერ მოხვდა ეს ინფორმაცია გადაცემა „კურიერის“ ეთერში, ხოლო მას, ნიკა გვარამიას, საავტორო გადაცემაში შეეძლო ესაუბრა ამ საკითხზე, რადგან საავტორო გადაცემას არ შეიძლებოდა ისეთივე სტანდარტები შეფარდებოდა, როგორც საინფორმაციო გამოშვებას. საბჭომ არ გაიზიარა ნიკა გვარამიას არგუმენტაცია და მიუთითა, რომ:

> ***„საავტორო გადაცემა, რა თქმა უნდა, განსხვავდება საინფორმაციო გამოშვებისგან, მაგრამ არა ფაქტების სიზუსტის ნაწილში.*** *საავტორო გადაცემის დროს მის ავტორს/წამყვანს აქვს უფრო მეტი თავისუფლება, დააფიქ-*

სიროს თავისი პოზიცია, შეფასება, მხარი დაუჭიროს ამა თუ პირს/მოსაზრებას, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მიმდინარეობას, მაგრამ ვინაიდან საავტორო გადაცემის წაყვანა სრულად ჯდება ჟურნალისტურ საქმიანობაში, მის წამყვან ჟურნალისტს ეკისრება ეთიკური პასუხისმგებლობა, რომ გამიჯნოს ფაქტი და გადაუმოწმებელი ინფორმაცია ერთმანეთისაგან, ფაქტის სახით გაავრცელოს მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია, ანუ პატივი სცეს საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია".

საქმე *დავით მახარაშვილი ლევან კენჭოშვილის წინააღმდეგ* (2018 წელი)

განცხადება ეხებოდა „POSTV-ის" გადაცემა „STOP ხამს", კონკრეტულად, ქალაქ გორში გადაღებულ ეპიზოდს. მოპასუხე მხარემ აღნიშნა, რომ განცხადება საერთოდ არ უნდა ყოფილიყო დაშვებული და, მით უმეტეს, განხილული, ვინაიდან გადაცემა „STOP ხამი" მზადდება „POSTV-ის" მიმართულება „POSTV"- გართობის" ფარგლებში და არ უნდა ყოფილიყო აღქმული როგორც ჟურნალისტური პროდუქტი, რადგან ეს იყო გასართობი გადაცემა. საბჭომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტაცია და აღნიშნა:

„გადაცემა „STOP ხამი" არის გადაცემა, სადაც პირები (წამყვანი, ოპერატორები) მოძრაობენ ქუჩებში და აფიქსირებენ იმ მოქალაქეებს, რომლებიც, სავარაუდოდ, არღვევენ პარკირების წესებს, რომლებიც დადგენილია ნორმატიული აქტებით და არდამორჩილება იწვევს სამართალდარღვევას. უფრო მეტიც, არასწორი პარკირება (მაგალითად, შშმ პირებისათვის განკუთვნილ ადგილზე, ფეხით მოსიარულეთა გზაზე) შეიძლება ანტისოციალურ ქცევადაც შეფასდეს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ***გადაცემას დეკლარირებული აქვს, რომ იგი ამხელს სავარაუდო სამართალდამრღვევებს, სააშკარაოზე გამოაქვს პარკირების კუთხით არსებული პრობლემები, არსად არის მითითებული, რომ გადაცემაში გამოვლენილი სავარაუდო სამართალდარღვევები არ შეესაბამება სიმართლეს და ატარებს გასართობ ხასიათს****. შესაბამისად, საბჭო გადაცემა „STOP ხამს" არ მიიჩნევს როგორც გასართობ/იუმორისტულ პროდუქტს".*

3.4. წყარო და წყაროს რელევანტურობა

საქმე *განათლების საერთაშორისო ცენტრი აკაკი გოგიჩაიშვილის წინააღმდეგ* (2018 წელი)

სადავო გადაცემა ეხებოდა განათლების საერთაშორისო ცენტრის საქმიანობას – საქართველოს მოქალაქეების მიერ განათლების საზღვარგარეთ მიღების დაფინანსებას. განმცხადებლის პრეტენზია იყო შემდეგი: „გადაცემაში მოწვეული არ იყო განათლების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელი, რათა მას ცენტრის პოზიციის დაფიქსირების საშუალება ჰქონოდა“. ამ პრეტენზიაზე მოპასუხე ჟურნალისტმა მიუთითა, რომ გადაცემის მომზადების პროცესში ისინი დაუკავშირდნენ განათლების სამინისტროს (რომლის საჯარო სამართლის იურიდიული პირიც არის ცენტრი) და სთხოვეს მათ გადაცემაში მონაწილეობა. ქარტიის საბჭომ ჟურნალისტის მცდელობა, გადაცემაში მოეწვია მეორე მხარე, არ ჩათვალა რელევანტურად

> *„მოპასუხე მხარისათვის ცნობილი იყო, რომ ცენტრს (იგულისხმება განათლების საერთაშორისო ცენტრი) ჰყავდა თავისი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი. შესაბამისად, საბჭო მიიჩნევს, რომ გადაცემაში მონაწილეობის მიზნით მიზანშეწონილი იყო, ჟურნალისტი დაკავშირებოდა ცენტრს და არა სამინისტროს. ჟურნალისტის მიერ მხოლოდ სამინისტროსთან დაკავშირება არ შეიძლება ჩაითვალოს ბალანსის დასაცავად და ცენტრისთვის გადაცემაში მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემის საკმარის მცდელობად. ვინაიდან ჟურნალისტმა იცოდა რელევანტური რესპონდენტის (ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური) არსებობის შესახებ, მისი ეთიკური ვალდებულება იყო, რომ ცენტრთან ჰქონოდა კომუნიკაცია.“*

წყაროსთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ქარტიის საბჭოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ერთი მედიასაშუალების მიერ მეორის ინფორმაციის გაზიარება ანდა კოპირება არ გამორიცხავს გამზიარებელი მედიასაშუალების პასუხისმგებლობას და ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის თავდაპირველი გამავრცელებელი

მედიასაშუალება ითვლება წყაროდ, რომელსაც სჭირდება გადამოწმება. დეტალურად მსგავსი შემთხვევა განხილულია ქვეთავში – „სარედაქციო პასუხისმგებლობა“, სადაც საუბარია, რომ საბჭომ იმსჯელა **საქმეზე – საქართველოს უზენაესი სასამართლო მაია ფურცელაძის, marshalpress.ge-ს, digest.pia.ge-ს, exclusivenews.ge-სა და resonancedaily.com-ის არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტების წინააღმდეგ (2019 წელი).**

წყაროსთან დაკავშირებით ქარტიის საბჭომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა **საქმეზე – *ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე ნატა მუმლაძის წინააღმდეგ* (2014 წელი)** და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, აუდიტორიისთვის ნათელი იყოს, რა ტიპის წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს ჟურნალისტი ამ ინფორმაციას, რათა შესაძლებელი გახდეს წყაროს საიმედოობის ობიექტური შეფასება.

> *„ეს არ უნდა გავიგოთ როგორც ვალდებულება, რომ დასახელდეს წყარო, არამედ საჭიროა წყაროს ხასიათის მითითება (კონფიდენციალურია თუ ზოგადად გავრცელებული, დამოუკიდებელი წყაროებია თუ არა და ა.შ.)“ „თავისი არსით კონფიდენციალურ წყაროზე და საჯაროდ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობას სხვადასხვა ნდობის ხარისხი აქვს და მკითხველს უფლება ჰქონდა ზუსტად სცოდნოდა, თუ რაზე დაყრდნობით ავრცელებდა ინფორმაციას საინფორმაციო სააგენტო.“*

საბჭო თავისი პრაქტიკით აჩვენებს, რომ ბალანსი ფორმალურად არ უნდა იყოს დაცული. ჟურნალისტმა ინფორმაციის გადასამოწმებლად უნდა მიმართოს რელევანტურ პირს, მას, ვინც შეიძლება დეტალები იცოდეს. ამასთან, შესაძლოა, წყარო კონფიდენციალური იყოს, მაგრამ აუცილებელია მითითება ყველა იმ დეტალისა (თანამდებობა, ორგანიზაცია, დეპარტამენტი და ა.შ.), რისი გამჟღავნების შესაძლებლობა არსებობს, რათა დარწმუნდეს აუდიტორია, რომ წყარო რეალური და რელევანტურია. ამასთან, შესაძლებელია სხვა მედიასაშუალების წყაროდ გამოყენება, თუმცა მის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასაც სჭირდება გადამოწმება.

3.5. სათაური, როგორც ცალკე ჟურნალისტური პროდუქტი

საქმე *ანა გაბელაია მართა ლაბაძისა* და *Reportiori.ge-ს, kvira.ge-ს, digest.pia.ge-ს არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტების წინააღმდეგ* (2018 წელი)

სტატიები ეხებოდა გიორგი გიორგანაშვილის (ბახალას) დაკავების ფაქტს. მას ბრალად ედებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვა. ოთხივე სადავო ჟურნალისტური პროდუქტის სათაურში მტკიცებითი ფორმით მითითებული იყო, რომ გიორგი გიორგანაშვილი „45 აბი სუბოტექსის ქონას აღიარებს“. ამის საპირისპიროდ, სტატიების ტექსტის მიხედვით, გიორგი გიორგანაშვილი აღიარებდა არა 45 აბი სუბოტექსის ქონას, არამედ, „45 ერთეული მოთეთრო ფერის, ოვალური ფორმის აბის“ ფლობას. ანუ სტატიის სათაური და შინაარსი წინააღმდეგობაში მოდიოდა ერთმანეთთან და, ამასთან, სათაურში მითითებული ინფორმაცია იყო არასწორი. საბჭომ აღნიშნა, რომ:

> ***„ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე პირობების და ფორმების გათვალისწინებით, მით უფრო, როცა საუბარია ონლაინფორმით მომზადებულ და სოციალურ ქსელებში გაზიარების (share) საშუალების მქონე სტატიებზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტატიის სათაურს.*** *სოციალურ ქსელებში გავრცელებული სტატიის ძირითადი დატვირთვა მოდის მის სათაურზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავად სათაური იძლევა ინფორმაციას დადასტურებული სახით. საბჭო მიიჩნევს, რომ ძირითად შემთხვევებში სტატიის სათაური უნდა იქნეს განხილული როგორც ცალკე ჟურნალისტური პროდუქტი. მკითხველს აქვს მოლოდინი და ნდობა, რომ სტატიის სათაური არის თავად სტატიაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეჯერების შედეგად მიღებული და დადასტურებული დასკვნა და შეიძლება არც ჩათვალოს საჭიროდ სტატიის სრულად გაცნობა იმ დაშვებით, რომ სტატიის ძირითადი მიგნება მან უკვე წაიკითხა სათაურში. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, ვინაიდან სადავო სტატიების*

სათაურში გამოტანილი ინფორმაცია იყო არასწორი და მანიპულაციური, საბჭო მიიჩნევს, რომ დაირღვა ქარტიის პირველი პრინციპი“.

საქმე *ლაშა ბორძიკული ხათუნა კორთხონჯიას წინააღმდეგ* (2017 წელი)

ჟურნალ „თბილისელებში“ გამოქვეყნდა სტატია „რა ურთიერთობა ჰქონდა მოდელ კობა ფარტენაძეს დეკანოზ გიორგი მამალაძესთან და როგორ ავიწროვებდა მას მამა ანდრია თურმანიძე”. სტატიის ძირითადი ნაწილი იყო ინტერვიუ კობა ფარტენაძესთან, რომელიც ე.წ. ციანიდის საქმეში ფიგურირებს. ინტერვიუს შესახებ ინფორმაცია გამოტანილი იყო ჟურნალის ყდაზე და თან ახლდა კობა ფარტენაძისა და იღუმენი დიონისეს ერთობლივი ფოტო მაშინ, როდესაც სტატიაში არც პირდაპირ და არც ირიბად ნახსენები არ იყო იღუმენი დიონისე. ქარტიის საბჭომ ამ შემთხვევაშიც ხაზი გაუსვა სათაურისა და გარეკანის მნიშვნელობას, რადგან ის ქმნის პირველ შთაბეჭდილებას მკითხველზე და არსებობს ალბათობა, რომ თავად ჟურნალისტურ პროდუქტს სრულად არ გაეცნოს მკითხველი. შესაბამისად, საბჭოს აზრით, სიზუსტე დარღვეული იყო, რადგან, თუმცა იღუმენი დიონისე ნახსენები არ იყო, მასთან გადაღებული ფოტოთი იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ იღუმენი დიონისე დაკავშირებული იყო „ციანიდის საქმესთან“.

სათაურისა და შინაარსის შეუსაბამობის გამო დარღვევა ასევე დადგინდა საქმეში – ***ნინო ვეზდენი თამარ ბოჭორიშვილის წინააღმდეგ* (2018 წელი).** ფეისბუქარხმა „POSTV-მ“ ჩაწერა გამოკითხვა „რამდენჯერ გქონია სექსი ერთ ღამეში?“ გამოკითხვაში მონაწილეობდა განმცხადებელიც, რომელმაც დასმულ კითხვას ასე უპასუხა: „არასოდეს, არც ერთხელ“. განმცხადებლის განმარტებით, მისთვის ძალიან მოულოდნელი იყო მსგავსი კითხვა და პასუხიც დაბნეულმა გასცა. ამავე გამოკითხვაში სხვა რესპონდენტმა უპასუხა, რომ 13-ჯერ ჰქონდა ერთ ღამეში სექსი. ჟურნალ „რეიტინგის“ ფეისბუქგვერდზე განთავსდა გამოკითხვის ამსახველი ვიდეო, რომლის მთავარ ფოტოზე ჩანს განმცხადებელ ნინო ვეზდენის გამოსახულება და წარწერა: „ყველაზე მეტჯერ 13-ჯერ მქონია ღამეში სექსი, რეკორდი მოვხსენი“. საბჭომ აღნიშნა:

„მკითხველს რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ნინო ვეზდენს ჰქონდა 13-ჯერ ღამეში სექსი, რაც არასწორი ინფორმაცია იყო. საბჭოს აღნიშნულ პოზიციას ადასტურებს რამდენიმე ათეული კომენტარიც, რომელიც მოჰყვა სადავო მასალას და რომელთა უმეტესობაშიც სწორედ ნინო ვეზდენი იქნა აღქმული იმ პირად, ვისაც 13-ჯერ ჰქონდა სექსი ერთი ღამის განმავლობაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ ნინო ვეზდენის შესახებ მოპასუხე ჟურნალისტის მიერ გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, რაც იწვევს ქარტიის პირველი პრინციპის დარღვევას“.

საბჭოს პოზიციით, ძირითად შემთხვევებში სტატიის სათაური ან ცალკე განთავსებული ლიდი უნდა იქნეს განხილული როგორც ცალკე ჟურნალისტური პროდუქტი, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავად იძლევა ინფორმაციას დადასტურებული სახით, ან აჩენს არასწორი ინტერპრეტაციის ალბათობას. ამიტომაც სათაურში მოცემული არასწორი ინფორმაცია იწვევს პირველი პრინციპის დარღვევას, მიუხედავად იმისა, ტექსტში ზუსტი ინფორმაცია არის თუ არა მოცემული.

3.6. შესწორება პირველი პრინციპის თავიდან ასაცილებლად

ქარტიის მიერ დადგენილი სტანდარტით, შესწორებული ინფორმაცია შესაძლოა გახდეს პირველი პრინციპის დარღვევის თავიდან აცილების საფუძველი.

საქმე *საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მაგდა კლდიაშვილის წინააღმდეგ* (2018 წელი)

სადავო სტატია ipress.ge-ზე გამოქვეყნდა სათაურით „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩის უსაფრთხოება ირლანდიის წინააღმდეგ „დინამო არენაზე“ 73 725 ლარი დაუჯდა“. განმცხადებელმა მიუთითა, რომ ფედერაციამ არა 73 725 ლარი, არამედ ორჯერ ნაკლები – 36862.5 ლარი დახარჯა. საქმის გარემოებების შესწავლისას დადგინდა, რომ ციფრების დაჯამებისას ჟურნალისტის

მიერ დაშვებული იყო ტექნიკური, და არა განზრახი, შეცდომა. როგორც კი შეიტყო ჟურნალისტმა მის მიერ დაშვებული შეცდომის შესახებ, მან, ეთიკის ქარტიის სტანდარტების შესაბამისად, დროულად და ადეკვატურად გამოასწორა დაშვებული შეცდომა. მათ შორის:

- აღარ იძებნებოდა სტატია ძველი, არასწორი სათაურით;
- შეიქმნა ახალი სტატია სწორი ინფორმაციის შემცველი სათაურით;
- განახლებულ სტატიაში აღნიშნეს, რომ ჟურნალისტის მიერ ამ თემაზე მომზადებულ წინა სტატიაში დაშვებული იყო შეცდომა;
- განახლებული სტატია ხელახლა გამოქვეყნდა მედიასაშუალების FACEBOOK-გვერდზე, ასევე ჟურნალისტმა იგი გააზიარა FACEBOOK-ის თემატურ ჯგუფებში იმის მითითებით, რომ წინა ვერსიაში არასწორი ინფორმაცია იყო მითითებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ საბჭომ აღნიშნა, რომ:

> *„ქარტიის დანიშნულება არ არის მხოლოდ ეთიკური პრინციპების დარღვევების იდენტიფიცირება, არამედ მნიშვნელოვანია ეთიკური ჟურნალისტიკის წახალისებაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცალსახაა, რომ ჟურნალისტი აცნობიერებს მის მიერ დაშვებულ შეცდომას, ყველა ღონეს ხმარობს ადეკვატურ დროში გამოსასწორებლად და იმავე აუდიტორიისთვის შესწორებული ინფორმაციის მიწოდებას, რომელმა აუდიტორიამაც არასწორი ინფორმაცია მიიღო. მსგავსი სახის ტექნიკური შეცდომებისაგან არავინ არის დაზღვეული. ამავე დროს, როცა ჟურნალისტი აცნობიერებს, აღიარებს დაშვებულ შეცდომას და ასწორებს მას დადგენილი სტანდარტებით, მხოლოდ ფორმალურად გავრცელებული არასწორი ინფორმაციის საფუძველზე არ დგინდება ეთიკის პრინციპების დარღვევა. ეთიკის პრინციპების დაცვისთვის მნიშვნელოვანია ჩანდეს, თუ რამდე-*

ნად სცემს პატივს ჟურნალისტი ეთიკურ პრინციპებს. სწორედ პრინციპებისათვის პატივისცემა დადასტურდა მაგდა კლდიაშვილის ქმედებებში, როცა მან ინფორმაცია შეასწორა და შესწორების/დაშვებული შეცდომის შესახებ საჯაროდ აღიარა“.

იგივე მიდგომა ჰქონდა ქარტიის საბჭოს საქმეში – ***ტელეკომპანია „მეცხრე არხი“ – მაია მეცხვარიშვილის, დავით მჭედლიძისა და ირაკლი მანაგაძის წინააღმდეგ* (2013 წელი),** სადაც დადგინდა, რომ მოპასუხე ჟურნალისტმა მაია მეცხვარიშვილმა არასწორი ინფორმაციის შემცველი მასალის გამოქვეყნებიდან მალევე, დაახლოებით საათ-ნახევარში, გაასწორა უზუსტობა, გასწორებულ სტატიას შენიშვნის სახით დაურთო ინფორმაცია დაშვებული შეცდომის შესახებ. შესაბამისად, მაია მეცხვარიშვილს არ დაუდგინდა ქარტიის პირველი პრინციპის დარღვევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დროული და ადეკვატური შესწორება პირველი პრინციპის დარღვევის გამომრიცხავი გარემოება შეიძლება იყოს, თუ:

1. **შეცდომის საფუძველი არ არის განზრახვა;**
2. **მასალა სწორდება ადეკვატურ და გონივრულ დროში;**
3. **მასალა შესწორდა ეთიკის საბჭოს მიერ დადგენილი რეკომენდაციების მიხედვით.**[6]

6 შესწორების სტანდარტთან მიმართებით საუბარია დანართ 1-სა და მეხუთე პრინციპთან დაკავშირებულ თავში.

4. მეორე პრინციპი

დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.

ქარტიის მე-2 პრინციპის დარღვევის დადგენის მოთხოვნით განმცხადებლებმა სულ ორჯერ მიმართეს ქარტიის საბჭოს და მხოლოდ ერთ შემთხვევაში დადგინდა ქარტიის მე-2 პრინციპის დარღვევა საქმეზე – ***შალვა რამიშვილი გიორგი ბახტაძის წინააღმდეგ***. შესაბამისად, ქარტიის საბჭოს პრაქტიკა მე-2 პრინციპის კუთხით მხოლოდ ამ გადაწყვეტილებით შემოიფარგლება.

საქმე *შალვა რამიშვილი გიორგი ბახტაძის წინააღმდეგ* (2016 წელი)

განმცხადებელი შალვა რამიშვილი მიუთითებდა, რომ მასზე განხორციელდა ზეწოლა ტელეკომპანია „იმედის“ გენერალურ დირექტორ გიორგი ბახტაძის მიერ. კერძოდ, გიორგი ბახტაძე შალვა რამიშვილს სთხოვდა, გადაცემა “პოლიტიკაში”, რომლის წამყვანი და პროდიუსერი თავად იყო, მოეწვია მის მიერ მითითებული სტუმრები.

შალვა რამიშვილმა იძულების ფაქტის დასადასტურებლად წარმოადგინა მიმოწერა[7] მასა და გიორგი ბახტაძეს შორის. შალვა რამიშვილი მიუთითებდა, რომ გადაცემა „პოლიტიკაში“ დაგეგმილი ჰქონდა ლევან მურუსიძის მოწვევა და ასევე სურდა, გადაცემაში მონაწილეობა მიეღოთ ოპონენტებს ლევან მურუსიძისათვის კრიტიკული კითხვების დასმის მიზნით, ხოლო გიორგი ბახტაძე სთხოვდა, ოპონენტების სახით მოეწვია მის მიერ დასახელებული პირები (სხვა მოქმედი მოსამართლეები). თავის მხრივ, შალვა რამიშვილი მიიჩნევდა, რომ გიორგი ბახტაძის მიერ შერჩეული სტუმრები არ იყვნენ რეალური ოპონენტები.

7 გიორგი ბახტაძისა და შალვა რამიშვილის დეტალური მიმოწერა – https://bit.ly/2I0uW0x

მოპასუხე მხარემ ქარტიის საბჭოს განუცხადა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი, ზეწოლა არ ყოფილა და აღნიშნა, რომ გიორგი ბახტაძე, გარდა გენერალური დირექტორის პოზიციისა, ასევე ითავსებდა მთავარი რედაქტორის მოვალეობებსაც და მონაწილეობას იღებდა გადაცემების დაგეგმვაში. შესაბამისად, ქარტიის საბჭოს ამოცანა იყო, შეეფასებინა, წარმოდგენილი მიმოწერა მისაღები და ჩვეულებრივი პროცესი იყო რედაქტორსა და ჟურნალისტს შორის ურთიერთობისას, თუ ატარებდა ზეწოლის ხასიათს.

გარდა მიმოწერისა, შალვა რამიშვილმა განმხილველ სხდომაზე განაცხადა, რომ ასევე შედგა სატელეფონო საუბარი, რომლის დროსაც ბახტაძემ კიდევ ერთხელ მოსთხოვა წინასწარ შერჩეული „ოპონენტების“ მოწვევა და ასევე ყურადღება გაუმახვილა გადაცემის რეიტინგზე.

ქარტიის საბჭომ შეისწავლა მიმოწერა და მიიჩნია, რომ მსგავსი ტიპის მიმოწერა სცდებოდა რედაქტორსა და ჟურნალისტს შორის დაშვებულ კომუნიკაციას და ატარებდა ზეწოლის (იძულების) ნიშნებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქარტიის საბჭომ ზეწოლის ფაქტის დასადგენად ყურადღება გაამახვილა გიორგი ბახტაძის თანამდებობრივ მდგომარეობაზე (გიორგი ბახტაძე იყო ტელეკომპანია „იმედის“ გენერალურ დირექტორი). მხოლოდ რესპონდენტების მოწვევის მოთხოვნა, თუ ამის უკან არ დგას რეალური საფრთხე/შესაძლებლობა, რომ დაუმორჩილებლობას ნეგატიური შედგები მოჰყვება, შეიძლება არ შეფასდეს ზეწოლად.

„სწორედ მის (გიორგი ბახტაძის, როგორც ტელეკომპანიის დირექტორის) კომპეტენციას წარმოადგენდა შალვა რამიშვილთან დაკავშირებული საკონტრაქტო ურთიერთობის სამართლებრივი ბედის განსაზღვრა, მიუხედავად იმისა, რომ მიმოწერის დროს გიორგი ბახტაძეს პირდაპირ არ მიუთითებია რაიმე სანქციაზე, რომელიც შეიძლება მოჰყოლოდა შალვა რამიშვილისათვის მისი მოთხოვნების შეუსრულებლობას, გადაცემის რეიტინგზე ხაზგასმა და ასევე ბახტაძის თანამდებობრივი მდგომარეობა, შალვა რამიშვილისთვის ლეგიტიმურ მოლოდინს ქმნიდა, რომ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლე-

ბელია ამას ზეგავლენა მოეხდინა შალვა რამიშვილის სამსახურებრივ კონტრაქტზე.“

ქარტიის მეორე პრინციპი კიდევ ერთ დილემას წამოჭრის – იძულების შემთხვევაში, თუკი ჟურნალისტი დაექვემდებარა წნეხს, დარღვევა უნდა დაუდგინდეს მხოლოდ ზეწოლის მომხდენ მხარეს, თუ ჟურნალისტსაც ეკისრება პასუხისმგებლობა. კონკრეტულად ამ გადაწყვეტილებაში ქარტიის საბჭომ მე-2 პრინციპის დარღვევა არ დაუდგინა შალვა რამიშვილს, მაგრამ შეაფასა შალვა რამიშვილის ქმედებები. როგორც ფაქტობრივი გარემოებებიდან დგინდებოდა, შალვა რამიშვილი თავდაპირველად ეწინააღმდეგებოდა დაკვეთით რესპონდენტების მოწვევას, მაგრამ საბოლოოდ მაინც დასთანხმდა. ქარტიის საბჭომ ხაზი გაუსვა, რომ:

„ეთიკური ჟურნალისტიკის მიზნებისათვის შალვა რამიშვილი ვალდებული იყო, არ დაქვემდებარებოდა ზეწოლის ფაქტს და მის შესახებ დაუყოვნებლივ და საჯაროდ განეცხადებინა, ვინაიდან იგი დაეთანხმა ბახტაძის მოთხოვნას, ამით მაყურებელს შესთავაზა ხელოვნური დებატები და შეიყვანა შეცდომაში როგორც მაყურებლები, ისე თანაწამყვანი თეონა გეგელია (რომლისთვისაც არ იყო ცნობილი, რომ მოწვეული მოსამართლეები რეალურად ოპონენტები არ იყვნენ), რაც თავის მხრივ მიუღებელია ეთიკური ჟურნალისტიკისათვის“.

სავსებით შესაძლებელი იყო, ამ შემთხვევაში საბჭოს მე-2 პრინციპის დარღვევა დაედგინა შალვა რამიშვილისთვისაც, რადგან საბჭომ პირველად იმსჯელა მეორე პრინციპთან დაკავშირებით. არ არის გამორიცხული, მომავალში პრაქტიკა დაიხვეწოს და მოდიფიცირდეს.

ქარტიის საბჭოს მე-2 პრინციპის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე საბჭომ ასევე იმსჯელა საქმეში – ***თინათინ შარაშენიძე გვანცა გიორგობიანის წინააღმდეგ* (2017 წელი),** სადაც მე-2 პრინციპის დარღვევა არ დადგინდა. განსხვავებით საქმისგან – ***შალვა რამიშვილი გიორგი ბახტაძის წინააღმდეგ.*** ამ შემთხვევაში განმცხადებელი არ იყო თავად ჟურნალისტი, იგი იყო მესამე პირი (თინათინ შარაშენიძე), რომელიც მიიჩნევდა, რომ, მისი ვარაუდით, ჟურნა-

ლისტს „დააძალეს“ მადისკრედიტებელი სტატიის დაწერა. როგორც გადაწყვეტილებიდან ირკვევა, განმცხადებელმა ვერ წარუდგინა საბჭოს დაძალების ან ზეწოლის დამადასტურებელი მტკიცებულებები და მე-2 პრინციპის დარღვევა ვერ დადასტურდა.

ამ ორი საქმის ანალიზიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ მე-2 პრინციპის დარღვევის დადგენის ალბათობა იზრდება, თუ უშუალოდ ზეწოლის ობიექტი ჟურნალისტი თანამშრომლობს საბჭოსთან, აწვდის მას ინფორმაციასა და მტკიცებულებებს. ანუ მე-2 პრინციპის დარღვევა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ შეფასებით.

ზეწოლად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ისეთი გარემოების შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს ჟურნალისტის საქმიანობაზე ზეგავლენას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზეწოლის ან იძულების ფაქტი იყოს რეალური და მის განმახორციელებელ პირს ჰქონდეს იძულების/ზეწოლის განხორციელების საშუალება, ძალაუფლება და ბერკეტი.

5. მესამე პრინციპი

ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია.

მესამე პრინციპი ერთადერთია, რომლის რედაქციაც შეიცვალა ქარტიის დაფუძნების შემდეგ. ცვლილებები განხორციელდა 2019 წლის აპრილში. ცვლილებებამდე პრინციპი ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: „**ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია“.**

პრინციპის ცვლილების საჭიროება საქმის განხილვის პრაქტიკი-

დან გამომდინარე დადგა. მე-3 პრინციპის რედაქცია პრაქტიკაში კოლიზიაში აღმოჩნდა სხვა პრინციპებთან. კერძოდ, „არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია“ მოიცავს იმავე დარღვევას, რომელიც მოცემულია მე-11 პრინციპში – „ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება“, დოკუმენტისა და ინფორმაციის გაყალბება შინაარსობრივად ფაქტის განზრახ დამახინჯებას იწვევს. რაც შეეხება წინადადებას – „ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები“, პრაქტიკამ აჩვენა, რომ განმცხადებლების უმრავლესობა ქარტიის მე-3 პრინციპს ამ ნაწილში დარღვეულად მიიჩნევდა იმ საფუძვლით, რომელსაც უთითებდა პირველი პრინციპის (არასწორი ინფორმაციის გავრცელება) დასასაბუთებლად. ლოგიკურადაც, მნიშვნელოვანი ფაქტის მიჩქმალვა, საბოლოო ჯამში, აუდიტორიისათვის არასწორი, ნაკლული, შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდებას იწვევს. შესაბამისად მე-3 პრინციპის ცვლილებამდე არსებული რედაქციიდან ამოღებულ იქნა პირველი ორი წინადადება და დარჩა მხოლოდ „ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია“.

საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ქარტიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ცვლილებებს. მიუხედავად აღნიშნულისა, ქარტიის საბჭოს 2019 წლის აპრილამდე რამდენიმე საქმეში დადგენილი აქვს განცალკევებულად მე-3 პრინციპის დარღვევა, ოღონდ მხოლოდ ფაქტების მიჩქმალვის ნაწილში.

5.1. მნიშვნელოვანი ფაქტის მიჩქმალვა

საქმე *თინათინ შარაშენიძე გვანცა გიორგობიანის წინააღმდეგ* (2017 წელი)

საქმე ეხებოდა სტატიას „ვინ არის კონსტანტინე შარაშენიძე და რა თანხების გაფლანგვას ედავება მას კონტროლის პალატა?“ სტატიის თანახმად, „ბიუჯეტის ფულით კოტე შარაშენიძემ 145 000-ლარიანი გრეიდერი იყიდა, რომელიც შპს „ტექნოსერვისს“

გადაულოცა“. აღნიშნული წინადადებიდან ჩანდა, რომ კონსტანტინე შარაშენიძემ სახელმწიფოს ფულით იყიდა ქონება და იგი გადასცა უსასყიდლოდ კერძო კომპანიას. აუდიტის დასკვნაში (ქარტიის საბჭოს მიერ დადგინდა, რომ ჟურნალისტი იცნობდა აუდიტის დასკვნას) ცალსახად იყო მითითებული, რომ შპს „ტექნოსერვისის“ მფლობელი მუნიციპალიტეტი იყო (100 %-იანი წილი). იმისათვის, რომ მკითხველს არ დარჩენოდა შთაბეჭდილება, თითქოს კერძო კომპანია იღებდა სარგებელს სახელმწიფოსგან, მნიშვნელოვანი იყო, ჟურნალისტს აღენიშნა, რომ „ტექნოსერვისი“ მუნიციპალიტეტის კომპანიაა. ამ გარემოების გამოტოვებით საბჭომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტმა მიჩქმალა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. შესაბამისად, სხვა პრინციპებთან ერთად, ამ საქმეში მესამე პრინციპის დარღვევა დადგინდა.

საქმე – *ჟურნალისტიკის რესურსცენტრი ვახო ხუზმიაშვილის წინააღმდეგ* (2017 წელი)

განმცხადებელი სადავოდ ხდიდა ,,იბერია TV-ს“ საინფორმაციო გამოშვებაში გასულ სიუჟეტს **„პასპორტი ღორებისთვის? – ახალი დადგენილების გამო მთავრობა კვლავ მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა“**. მასალა ეხებოდა ახალმიღებულ ნორმატიულ აქტს (დადგენილებას): „ღორის იდენტიფიკაცია – რეგისტრაციისა და მისი სადგომის რეგისტრაციის წესი“. გადაწყვეტილების თანახმად:

> *„ჟურნალისტი „ღორის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მისი სადგომის რეგისტრაციის წესს“ უწოდებს კომიკურ დადგენილებას. ცდილობს დადგენილება წარმოაჩინოს როგორც არასერიოზული, აღუსრულებელი რეგულაცია, რომელიც პრობლემებს შეუქმნის მოსახლეობას. ჟურნალისტი არ აწვდის მაყურებელს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც არსობრივად შეცვლის დადგენილების აღქმას. [...] დადგენილების მიზანია, რომ რეგისტრირებული და კონტროლის ქვეშ იყვნენ ის ცხოველები, რომელთა ხორცი შესაძლებელია, რეალიზებულ და გამოყენებულ იქნეს საკვებად. შინაური ცხოველის იდენტიფიკაცია/რეგისტრაცია, სურსათის უვნებლობის მნიშვნელოვანი ნაწილია და მის სათანადო განხორციელებაზეა დამოკიდებული ადამი-*

ანთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა, დაავადებათა პრევენცია. ეს ვალდებულება საქართველოს ნაკისრი აქვს ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებშიც. აღნიშნული ინფორმაციის მაყურებლისათვის არმიწოდება იწვევს ქარტიის მე-3 პრინციპის დარღვევას".

შესაბამისად, ჟურნალისტის მიერ დადგენილების შინაარსისა და მიზნების აუდიტორიისათვის სრულად მიუწოდებლობით, ჟურნალისტმა მიჩქმალა მნიშვნელოვანი გარემოება.

საქმე *სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთი" ანა მარშანიას წინააღმდეგ* (2018 წელი)

ქარტიის საბჭოს განცხადებით მიმართა სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთმა", რომელიც მიიჩნევდა, რომ, ვებგვერდზე – interpressnews.ge – გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, IPR & Analytical Center-მა 2017 წლის ოქტომბერ-ნოემბერში რადიოს აუდიტორიის კვლევა ჩაატარა და დაადგინა, რომ თბილისში ყველაზე ხშირად რადიო „პალიტრის" საინფორმაციო გამოშვებას უსმენენ. სტატიაში არ იყო მითითებული კვლევის ჩამტარებელი კომპანიის (IPR & Analytical Center) შესახებ ინფორმაცია. საქმის განხილვისას დადგინდა, რომ IPR & Analytical Center რეალურად თავად ჰოლდინგ „კვირის პალიტრის" ბალანსზე არსებული ცენტრი იყო, რომელიც კვლევით საქმიანობასთან ერთად ითავსებდა ქოლცენტრის ფუნქციებს.

ქარტიის საბჭომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში დაირღვა ქარტიის მე-3 პრინციპი, კერძოდ, მიიჩქმალა მნიშვნელოვანი ფაქტი – სადავო ჟურნალისტურ პროდუქტში არ იყო მითითებული იმის შესახებ, რომ კვლევა, რომლის მიხედვითაც თბილისში ყველაზე ხშირად „პალიტრის" საინფორმაციო გამოშვებას უსმენენ, ჩატარებული იყო თავად ჰოლდინგ „კვირის პალიტრის" ბალანსზე არსებული ქოლცენტრის მიერ.

„საბჭო განმარტავს, რომ საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისათვის მნიშვნელოვანია მედიასაშუალების რეიტინგი და, თავის მხრივ, ამ რეიტინგის სანდოობა. ასეთ დროს კრიტიკულად მნიშვნელოვანია, გამჭვანებული იყოს, თუ

ვინ ჩაატარა კვლევა, რათა დაინტერესებულ პირს საშუალება მიეცეს შეაფასოს კვლევის სანდოობა. [.....] სტატიაში აუცილებლად უნდა აღნიშნულიყო, რომ შპს „კვირის პალიტრის“ ბალანსზე არსებულმა ცენტრმა ჩაატარა ის კვლევა, რომლის თანახმად, ყველაზე ხშირად რადიო „პალიტრის“ საინფორმაციო გამოშვებას უსმენენ. სტატიაში კვლევის განმახორციელებლად მითითებული იყო IPR & Analytical Center-ი, რომელიც, მოპასუხის განმარტებით, ცენტრის საფირმო სახელწოდებაა. ინფორმაციის ამგვარად გავრცელებით, რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს კვლევა არა თავად „პალიტრის“ ჰოლდინგმა, არამედ სხვა, მიუკერძოებელმა კომპანიამ ჩაატარა. ამ მნიშვნელოვანი ფაქტის მიჩქმალვით გავრცელდა ინფორმაცია, რაც არასწორ აღქმას იწვევდა მკითხველში“.

საქმეზე *შპს „აიპლუსი“ ბესო მახარაშვილის წინააღმდეგ* (2017 წელი)

სადავო ჟურნალისტური პროდუქტი ეხებოდა კომპანია „აიპლუსს“. ყურადღება გამახვილებული იყო ამ კომპანიის უარყოფით მხარეებზე, სტატია ასევე შეიცავდა ინტერვიუს ნანიკო ხაზარაძესთან, როგორც დაზარალებულ მომხმარებელთან. საქმის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ ფაქტი, რომელმაც ნანიკო ხაზარაძის უკმაყოფილება გამოიწვია, მომხდარი იყო სტატიის გამოქვეყნებამდე ექვსი წლით ადრე. ეს გარემოება ცნობილი იყო ჟურნალისტისათვის, მაგრამ სტატიაში არ იყო მითითებული. აღნიშნული საფუძვლით ქარტიის საბჭომ დაადგინა ფაქტების მიჩქმალვა, კერძოდ აღნიშნა, რომ:

- *როცა სტატია ეხება კომპანიის საქმიანობას, და წარმოჩნდება ნეგატიურად, მნიშვნელოვანია ინფორმაციის სრულყოფილად გავრცელება. მაგალითად, ექვსი წლის წინანდელი მომსახურებით უკმაყოფილო მომხმარებელი არ შეიძლება იყოს წარმოჩენილი როგორც პირი, რომელსაც უახლოეს წარსულში შეექმნა პრობლემები. 2011 წლის ფაქტის თარიღის გარეშე მითითებით მკითხველს უჩნდება პრობლემების განგრძობადობის შეგრძნება, რომ მოკლე პერიოდში ბევრ სხვადასხვა პირს ჰქონდა პრეტენზია შპს „აიპლუსის“*

მიმართ. ასევე აღსანიშნავია, რომ სატელეფონო საუბრის დროს კომპანიის წარმომადგენელი არაერთხელ უმეორებს ჟურნალისტს, რომ ამბავი მოხდა დიდი ხნის წინ და სრულყოფილი ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ არ ინახებოდა. საბჭო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ნანიკო ხაზარაძესთან დაკავშირებული ფაქტის თარიღი არსებითად მნიშვნელოვანი დეტალია, რისი მითითებაც აუცილებელი იყო".

შესაბამისად, მნიშვნელოვანი ფაქტის მიჩქმალვა დადგინდება, თუ ჟურნალისტი ფლობდა ისეთ ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანი ნაწილია ჟურნალისტურ პროდუქტში მოთხრობილი ამბისთვის, ამ ინფორმაციის დამალვით კი აუდიტორიამ ვერ მიიღო სრული და ზუსტი ინფორმაცია .

ეს შეჯამება ეხება მე-3 პრინციპის ცვლილებებამდე არსებულ რედაქციას, კერძოდ, ფაქტების მიჩქმალვის ნაწილს, რომელიც ცვლილებების შემდეგ გამოყენებული იქნება ქარტიის პირველი პრინციპის დასაბუთების მიზნით, ანუ მნიშვნელოვანი ფაქტების მიჩქმალვის დადგენა ჩაითვლება ქარტიის პირველი პრინციპის დარღვევად.

5.2. დადასტურებული წყარო

ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია.

ასეთი ეთიკური მოთხოვნა ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურია საბჭოს პრაქტიკაში და, შესაძლებელია ითქვას, არაქმედითიც. სულ რამდენიმე შემთხვევაში აპელირებდა განმცხადებელი, რომ, მისი აზრით, ჟურნალისტს წყარო არ ჰყავდა, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ დადგინდა მე-3 პრინციპის დარღვევა ამ საფუძვლით.

საქმე *"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" გაზეთ „რეზონანსის" ჟურნალისტ თაია არდოტელის წინააღმდეგ* (2015 წელი)

განცხადების თანახმად, ქარტიის პრინციპები დაირღვა თათია არდოტელის ავტორობით გაზეთ „მთელი კვირა/რეზონანსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში: „უბანი ქალაქის ცენტრში, სადაც 2 კვირა წყალი არ ჰქონდათ“. განმცხადებელი ამბობდა, რომ საერთოდ არ არსებობდნენ „ხილიანის ქუჩის მცხოვრებნი“, რომლებმაც განაცხადეს, რომ 2 კვირის განმავლობაში წყალი არ მიეწოდებოდათ. ქარტიის საბჭომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ, მართალია, არ იყო რესპონდენტის სახელი და გვარი იდენტიფიცირებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს საერთოდ არ არსებობდა ასეთი წყარო. ამასთან, ჩანდა, რომ *„ჟურნალისტმა მიწოდებული ინფორმაცია გადაამოწმა GWP-ს წარმომადგენელთან.“*

მხოლოდ რესპონდენტის არაიდენტიფიცირება რომ არ იწვევს ამ პრინციპის დარღვევას, მითითებულია პრინციპის განმარტებაშიც, რომელიც ქარტიის დაფუძნებიდან მალევე ჩამოყალიბდა. ამ განმარტების თანახმად:

> *„წყარო დადასტურებულია ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ჟურნალისტმა იცის, ვინ არის ამა თუ იმ ფაქტის წყარო – თუმცა, შეუძლია, მისი ვინაობა არ გაამხილოს. ამ მუხლის ქვემდებარე არ არის წყაროს სანდოობის საკითხი.“*

პრინციპის ამგვარი განმარტება იწვევს რისკს იმისას, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში მოპასუხე ჟურნალისტს შეუძლია, მიუთითოს, თითქოს მას ჰყავდა წყარო და უფლებას იტოვებს, არ გაამხილოს. ყველა ასეთი „გამართლების“ შემთხვევაში პრინციპი დარღვეულად ვერ ჩაითვლება და თეორიულად ერთადერთი შემთხვევა, როცა შეიძლება დადგინდეს, რომ ჟურნალისტს წყარო არ ჰყავდა, არის, როცა თავად ჟურნალისტი აღიარებს ამას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის დღის წესრიგში დადგეს პრინციპის – **„ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია“ –** ცვლილებისა და გაუქმების საკითხი, მისი არაქმედითობის გამო.

6. მეოთხე პრინციპი

ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს.

ამ პრინციპის თავისებურება ისაა, რომ მას განმცხადებლები დარღვეულად მიიჩნევდნენ რამდენიმე ათეულ განცხადებაში, თუმცა საბჭოს მიერ დარღვევად მხოლოდ ერთ საქმეში დადგინდა.

***ანონიმური საქმე* (2016 წელი)**

ქარტიის მე-4 პრინციპი დარღვეულად იქნა მიჩნეული საქმეში, რომელიც რეგისტრირებულია როგორც „ანონიმური საქმე“, ვინაიდან სადავო სტატია განმცხადებელზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტს ასახავდა და გადაწყვეტილებაში არ არის იდენტიფიცირებული განმცხადებელი. სადავო ჟურნალისტური პროდუქტი შეიცავდა განმცხადებლის FACEBOOK-სტატუსს მისი გაუპატიურების შესახებ და აღწერდა პირად ემოციებს, რის მიმართაც არ არსებობდა ობიექტური საზოგადოებრივი ინტერესი[8]. განმცხადებელმა საბჭოს წარუდგინა მტკიცებულება (მიმოწერა), სადაც განმცხადებელი მასა და ჟურნალისტს შორის კომუნიკაციაში შუამავალ პირს ატყობინებდა, რომ არ სურდა, მისი FACEBOOK-სტატუსი გამოყენებული ყოფილიყო ჟურნალისტურ მასალაში, რომ ეს სტატუსი განკუთვნილი იყო მხოლოდ მეგობრებისათვის. მიუხედავად აღნიშნული მოთხოვნისა, ჟურნალისტმა მაინც გამოიყენა FACEBOOK-სტატუსი და, შესაბამისად, დაარღვია ქარტიის მეოთხე პრინციპი. აქვე აღსანიშნავია, რომ სტატიაში მითითებული ფაქტებისა და FACEBOOK-სტატუსის გამოქვეყნების ერთობლიობით შესაძლებელი გახდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება.

ქარტიის საბჭოს პრაქტიკით, ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვების მეთოდის კეთილსინდისიერად და

8 ობიექტური საზოგადოების ინტერესი განმარტებულია მე-10 პრინციპზე მსჯელობისას.

სამართლიანად შეფასებისათვის მნიშვნელოვანია, ჯერ დადგინდეს, გამოქვეყნებული ინფორმაციის მიმართ არსებობს თუ არა საზოგადოების ინტერესი და მხოლოდ ამ ინტერესის შეფასების შემდეგ შეიძლება მოხდეს უშუალოდ ინფორმაციის მიღების გზებზე მსჯელობა.

საქმეებში, სადაც არ დადგინდა მე-4 პრინციპის დარღვევა, განმცხადებლები, ძირითადად, პრინციპს დარღვეულად თვლიდნენ შემდეგი არგუმენტაციით:

- **წყაროს კონფიდენციალურობის დარღვევა.** საქმეები: *ანონიმური საქმე, რუსუდან ბოლქვაძე შოთა ფალავანდიშვილის წინააღმდეგ* (2017 წელი);
- **საჯარო სივრცეში გადაღებული ფოტოს გამოყენება.** საქმე *არჩილ ხაჭაპურიძე და მიხეილ ყელბერაშვილი ზაზა დავითაიას წინააღმდეგ* (2016 წელი);
- **არქივის კადრების გამოყენება.** საქმე *მედეა ვასაძე ჯაბა ანანიძისა და ირმა ზოიძის წინააღმდეგ* (2014 წელი);
- **ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც არ არის, როგორც წესი, საჯაროდ ხელმისწავდომი,** მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილება. საქმე *გიორგი მდინარაძე მირიან ბოქოლიშვილის წინააღმდეგ* (2017 წელი);
- **ფარული აუდიოჩანაწერის გამოყენება**. საქმე *ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ირაკლი ჩიხლაძისა და ვარლამ წიკლაურის წინააღმდეგ* (2018 წელი);
- **ზუსტად ვერ ხდებოდა ინფორმაციის მოპოვების წყაროს იდენტიფიცირება.** საქმე *კობა კობალაძე მარიამ გაფრინდაშვილისა და ირინა ჯორბენაძის წინააღმდეგ* (2014 წელი).

ცალკე აღსანიშნავია საქმე ***სახალხო დამცველი ნათია ამირანაშვილის წინააღმდეგ* (2017 წელი).** სადავო სტატიაში გამოყენებული იყო სახალხო დამცველისა და მისი მოადგილის (უჩა ნანუაშვილი და ნათია კაციტაძე) არაფორმალურ გარემოში გადა-

ღებული ფოტო და მოპოვებული იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან, სოციალური ქსელიდან. ამასთან, ორიგინალ ფოტოსურათში იყო ოთხი პირი, რომელთაგანაც ორი ჩამოჭრილია ისე, რომ ფოტოსურათზე პირების განლაგება არ არის შეცვლილი და დაუმუშავებელ ფოტოშიც უჩა ნანუაშვილი და ნათია კაციტაძე ერთმანეთის გვერდით დგანან. მსგავსი სახით ფოტოს მოპოვება და დამუშავება (ჩამოჭრა) ქარტიის საბჭომ არ მიიჩნია ფოტოს არაკეთილსინდისიერად და არასამართლიანად გამოყენებად.

7. მეხუთე პრინციპი

მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება

ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის ჟურნალისტური, არ არის დაზღვეული შეცდომებისგან, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს სისწრაფით, ყურადღების ნაკლებობით, გამოუცდელობით და ა.შ. ამასთან, თუ ჟურნალისტი ამის შემდეგ აღიარებს და ასწორებს მის მიერ არასწორად გავრცელებულ ინფორმაციას, ამით კიდევ ერთხელ ადასტურებს მის პატივისცემას ეთიკური ჟურნალისტიკისადმი. მეტიც, როგორც პირველი პრინციპის კომენტირებისას აღნიშნულია, ზოგ შემთხვევაში შესწორებამ შეიძლება ჟურნალისტს თავიდან ააცილოს პირველი პრინციპის დარღვევა.

პრინციპის რედაქციაში მითითებულია, რომ „არაზუსტი“ ინფორმაცია უნდა შესწორდეს. როგორც ქარტიის პირველი პრინციპის პრაქტიკის ანალიზისას აღინიშნა, პირველი პრინციპი ასევე დარღვეულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ არ არის ბალანსი დაცული. შესაბამისად, მე-5 პრინციპის დარღვევა დადასტურდება, თუ, მიმართვის მიუხედავად, მედიასაშუალება არ გამოაქვეყნებს იმ პირის საპასუხო კომენტარს, რომლის მიმართაც გაისმა ბრალდებები ჟურნალისტურ მასალაში და არ მიეცა მას პასუხის საშუალება.

ქარტიის პრაქტიკის თანახმად, იმისათვის, რომ ჟურნალისტს და-

უდგინდეს მე-5 პრინციპის დარღვევა, აუცილებელია:

1. დადგინდეს, რომ პირველი პრინციპი დარღვეულია (არაზუსტი, დაუბალანსებელი ან გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება);

2. საბჭო დარწმუნდეს, რომ ჟურნალისტმა ან მედიასაშუალებამ (რომლის სახელითაც გამოქვეყნდა ჟურნალისტური პროდუქტი) გაიგო არაზუსტი, დაუბალანსებელი ან გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების გამო განმცხადებლის პრეტენზიის შესახებ.

3. ინფორმაცია არ შესწორდა სათანადოდ.

ქარტიის პრაქტიკის ანალიზის შედეგად, მე-5 პრინციპზე მსჯელობისას, ძირითადად, ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ მიმართულებაზე: რა ითვლება ჟურნალისტისთვის შესწორების მოთხოვნის შესახებ მიმართვად და, მეორე, როგორ უნდა შეასწოროს არასწორი ინფორმაცია.

ქარტიის საბჭოს პრაქტიკა სხვა პრინციპებთან შედარებით ყველაზე ცვალებადია მე-5 პრინციპის იმ ნაწილში, თუ როდის თვლის ქარტიის საბჭო, რომ ჟურნალისტისთვის ცნობილი იყო არასწორი ინფორმაციის გავრცელების შესახებ.

7.1. ჟურნალისტის მიერ არასწორი ინფორმაციის შესახებ ინფორმაციის მიღება

შესწორების პრინციპზე მსჯელობა ქარტიის საბჭოს პირველად 2013 წელს მოუწია. ამ პერიოდში საბჭო დეტალურად იკვლევდა, ქარტიაში განცხადების შემოსვლამდე იცოდა თუ არა ჟურნალისტმა, რომ შეცდომა დაუშვა. მაგალითად, საქმეზე – ***ახალგაზრდა ადვოკატები გიორგი გაბუნიას წინააღმდეგ* (2014 წელი) –** ქარტიის საბჭომ დადასტურებულად მხოლოდ მას შემდეგ მიიჩნია, რომ ჟურნალისტმა იცოდა განმცხადებლის პრეტენზიის შესახებ, რაც წარადგინა მტკიცებულება, კერძოდ წერილი, რომლითაც ააიპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მიმართეს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ს“ და განმარტავდნენ ჟურნალისტის მიერ გავრცე-

ლებული ფაქტის სიმართლესთან შეუსაბამობას. ამასთან, დადგინდა, რომ ააიპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ გამართეს პრესკონფერენცია სადავო გადაცემასთან დაკავშირებით, რომელსაც, წარმოდგენილი ფოტომასალის თანახმად, ესწრებოდა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გადამღები ჯგუფიც. ზოგიერთ საქმეში, მაგალითად: ***გიორგი ტატიშვილი ირაკლი მანაგაძის წინააღმდეგ* (2017 წელი), *თინათინ შარაშენიძე გვანცა გიორგობიანის წინააღმდეგ* (2017 წელი), *ნოდარ მელაძე ოთარ სტეფანიშვილის წინააღმდეგ* (2017 წელი),** თავად მოპასუხე ჟურნალისტები ადასტურებენ, რომ მათ მიმართეს შესწორების მოთხოვნით, შესაბამისად, ცალსახა იყო, რომ ჟურნალისტებმა იცოდნენ პრეტენზიის შესახებ.

საინტერესო შემთხვევაა საქმე ***სს დაზღვევის კომპანია „ქართუ“ ეკა კვესიტაძის წინააღმდეგ* (2017 წელი).** განცხადება ეხებოდა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერში გასულ გადაცემა „განსხვავებულ აქცენტებს“. ამ საქმეში დადგინდა ქარტიის პირველი პრინციპის (სიზუსტე) დარღვევა. როგორც საბჭომ მოიკვლია, სადავო გადაცემის ეთერში გასვლამდე პერიოდულად გადაიცემოდა ანონსიც. გადაცემის გასვლამდე განმცხადებლის, სს „დაზღვევის კომპანია „ქართუს“ მიერ გაკეთდა საჯარო განცხადება, რომ ანონსში მითითებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს. ასევე დადგინდა, რომ მოპასუხე ჟურნალისტისათვის ცნობილი იყო განმცხადებლის გამოხმაურების შესახებ, კერძოდ, მან ამის შესახებ FACEBOOK-ის საკუთარ გვერდზე დაწერა. ეს FACEBOOK-პოსტი საბჭოს მიერ ჩაითვალა როგორც მტკიცებულება, რომ ჟურნალისტმა იცოდა განმცხადებლის პრეტენზიის შესახებ.

ზოგადად, სოციალური ქსელით კომუნიკაცია საბჭოს მიერ ითვლება როგორც შესწორების მოთხოვნა, მაგალითად, საქმეში – ***მარინე მინდორაშვილი 5 მედიასაშუალების წინააღმდეგ* (2017 წელი) –** დადგინდა, რომ, სადავო მედიაპროდუქტების გამოქვეყნების შემდეგ სტატიების ქვემოთ Facebook plugin-ის გამოყენებით, მარინე მინდორაშვილმა დაწერა კომენტარი, რომლის მიხედვით, სტატიებით არასწორი ინფორმაცია ვრცელდებოდა. ეს გარემოება საბჭოს მიერ ჩაითვალა როგორც განმცხადებლის

მოთხოვნა არაზუსტი ინფორმაციის გავრცელების შესახებ. იმავე პრინციპით იხელმძღვანელა საბჭომ საქმეში – ***ლგბტქი ასოციაცია „თემიდა“ ნუგზარ რუხაძის წინააღმდეგ* (2019 წელი).**

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ქარტიის საბჭო იმ ფაქტის დადგენას, ცნობილი იყო თუ არა მოთხოვნა ჟურნალისტისთვის, ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ ორი საქმე (ორივე საქმე განხილული იქნა 2018 წელს), ორივე საქმეში განმცხადებელი იყო გიორგი ყიფიანი, ხოლო მოპასუხეები ქეთი ბრაჭული და ირაკლი ჩიხლაძე; ორივე შემთხვევაში გიორგი ყიფიანს არასწორი ინფორმაციის გასწორების მოთხოვნით მიმართული ჰქონდა ტელეკომპანია „იმედის“ თვითრეგულირების ორგანოსათვისაც, მაგრამ ერთ საქმეში დადგინდა მე-5 პრინციპის დარღვევა, მეორე საქმეში – არა. კერძოდ, გადაწყვეტილებაში, სადაც არ დადგინდა მე-5 პრინციპის დარღვევა, ქარტიის საბჭო აღნიშნავს:

> *„განმცხადებლის მიერ საბჭოს წარედგინა მტკიცებულება, რომ მან თავისი პრეტენზიით მიმართა ტელეკომპანია „იმედის“ თვითრეგულირების ორგანოს, რომელმაც უარი უთხრა საჩივრის განხილვის/დაკმაყოფილების შესახებ. არც ერთი ზემოაღნიშნული დოკუმენტით არ დასტურდებოდა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესწორების შესახებ ცნობილი გახდა უშუალოდ მოპასუხე ჟურნალისტებისათვის ან გადაცემის რედაქტორისათვის/პროდიუსერისათვის. შესაბამისად, ვერ დგინდება შესწორებაზე მოთხოვნის რელევანტური ადრესატისათვის მიწოდების ფაქტი, ამიტომ მე-5 პრინციპი დარღვეულად ვერ ჩაითვლება.“*

იმ გადაწყვეტილებაში კი, სადაც მე-5 პრინციპი მიჩნეული იყო დარღვეულად, აღნიშნულია:

> *„განმცხადებლის მიერ საბჭოს წარედგინა მტკიცებულება, რომ მან თავისი პრეტენზიით მიმართა ტელეკომპანია „იმედის“ თვითრეგულირების ორგანოს და შემდგომ საპელაციო ორგანოს, რომლებმაც უარი უთხრეს საჩივრის განხილვის/დაკმაყოფილების შესახებ. შპს „ტელეიმედის“ თვითრეგულირების საპელაციო კომისიის 2018 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3*

მუხლის თანახმად, დასტურდება, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესწორების/არასწორი ინფორმაციის გავრცელების შესახებ ცნობილი გახდა მოპასუხე ჟურნალისტებისათვის/ გადაცემის რედაქტორისათვის/ პროდიუსერისათვის. შესაბამისად, ვინაიდან დადგინდა, რომ არასწორი ინფორმაცია გავრცელდა და შემდგომ არ შესწორდა, ქარტიის მე-5 პრინციპი ჩაითვალა დარღვეულად“

ზემოაღნიშნული პრაქტიკა მნიშვნელოვნად იცვლება 2019 წლიდან, კერძოდ საქმეში – ***საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ნათია სონღულაშვილის წინააღმდეგ* (2019 წელი) –** ტელეკომპანია „იმედის“ თვითრეგულირების ორგანოსათვის მიმართვა ავტომატურად ჩაითვალა, რომ ჟურნალისტმა იცოდა შესწორების მოთხოვნის შესახებ. მეტიც, თანდათანობით მკვიდრდება პრაქტიკა, რომ თავად საბჭოს მიერ ჟურნალისტისთვის, მედიასაშუალებისათვის ინფორმაციის მიწოდება, რომ მათ წინააღმდეგ ქარტიაში შემოვიდა განცხადება პირველი პრინციპის დარღვევის შესახებ, ჩაითვალა ჟურნალისტის ინფორმირებად დაშვებული სავარაუდო უზუსტობის შესახებ. მაგალითად, საქმეში – ***ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ირაკლი ჩიხლაძისა და ვარლამ წიკლაურის წინააღმდეგ* (2018 წელი) –** ქარტიის საბჭო აღნიშნავს:

„ქარტიის საბჭოს მიერ დადგინდა, რომ ვარლამ წიკლაურმა გაავრცელა არასწორი ინფორმაცია, მას ქარტიის საბჭოს სამდივნოს მეშვეობით გაეგზავნა განმცხადებლის პრეტენზია, სადაც განმცხადებელი მიუთითებდა ამის შესახებ. მიუხედავად ამისა, არ მოხდა შესწორება და ამით დაირღვა ქარტიის მე-5 პრინციპი“.

გარდა იმისა, რომ ჟურნალისტს, მედიასაშუალებას უშუალოდ მიმართავს განმცხადებელი და ატყობინებს მის მიერ არასწორი ფაქტის გავრცელებას, რამდენიმე საქმეში საბჭომ დაადგინა, რომ მიმართვის გარეშეც ჟურნალისტისათვის ცნობილი იყო უზუსტობის შესახებ და ვალდებული იყო, ემოქმედა პროაქტიულად.

საქმეში – ***ელისო ჩაფიძე საინფორმაციო სააგენტო GHN -ზე გამოქვეყნებული სტატიის ავტორის წინააღმდეგ* (2016 წელი) –** გა-

ნმცხადებელი სადავოდ ხდიდა GHN-ზე გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც მითითებული იყო, რომ **„**დეპუტატი ელოსო ჩაფიძე მომავალ არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი არ იქნება". ამ ინფორმაციას უარყოფდა ელისო ჩაფიძე. მასალაში არ ჩანდა, თუ რას ეყრდნობოდა ჟურნალისტი, არ ახლდა ელისო ჩაფიძის ამ პარტიის („ქართული ოცნების") წარმომადგენლის კომენტარი. რამდენიმე დღის შემდეგ იმავე საინფორმაციო საა-გენტოს მიერ გამოქვეყნდა ელისო ჩაფიძის თანაპარტიელ გია ვოლსკის კომენტარი, სადაც ის აღნიშნავდა, რომ: „არავინ იცის, ვის უარი ეთქვა მაჟორიტარობაზე, ვინ ვის ჩაანაცვლებს და ვინ იქნება მაჟორიტარობის კანდიდატი". საბჭომ აღნიშნა: სადავო სტატიის ავტორისათვის ცნობილი იყო, რომ საპარლამენტო უმ-რავლესობის ერთ–ერთი ლიდერი უარყოფდა ჟურნალისტის მიე-რვე გავრცელებულ ინფორმაციას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ მოხდა სადავო სტატიის გასწორება/კომენტარის დამატება, რა-მაც გამოიწვია მე-5 პრინციპის დარღვევა.

დაახლოებით იგივე მიდგომა გამოიყენა საბჭომ საქმეში – ***მშვი-დობის ფონდი, MDF, TDI და GDI ეკა სალაღაიას წინააღმდეგ*** **(2016 წელი)**. კერძოდ, დადგინდა, რომ სტატიაში **„ტაში, ბიჭო, ვართა-ნუშა!..",** რომელიც გამოქვეყნდა kvirispalitra.ge-ზე, გავრცელდა გადაუმოწმებელი და დაუბალანსებელი ინფორმაცია. მოგვია-ნებით, იმავე ვებგვერდზე ასევე განთავსდა ორი სხვა სტატია, რომლებშიც განმარტებული იყო სადავო სტატიაში არასწორად გადმოცემული ფაქტები. მიუხედავად ამისა, სადავო სტატია არ შესწორებულა, არ დამატებია მეორე მხარის კომენტარი.

> მე-5 პრინციპს თან ახლავს დილემა, რომელიც, როგორც გადაწყვეტილებებიდან ჩანს, საბჭოს პრაქტიკაში არ და-მდგარა, მაგრამ შესაძლებელია, მომავალში გამოწვევა იყოს, კერძოდ, ვისი უფლებამოსილებაა მასალის შესწო-რება. მაგალითად, სადავო ჟურნალისტური პროდუქტის ავტორს შესაძლებელია, შესწორების სურვილი ჰქონდეს, მაგრამ ამისათვის მას სჭირდება საეთერო დრო ან საგა-ზეთო გვერდი და ა.შ., რომელთა დათმობა, გარკვეულწი-ლად, შეიძლება, დამოკიდებული იყოს რედაქტორის ან მედიასაშუალების მენეჯმენტის ნებართვაზე. ასეთ შემ-

თხვევაში შეიძლება დადგეს საკითხი, ვინ იქნება მოპასუხე მე-5 პრინციპის ჭრილში. ამ კითხვებზე პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს, რადგან საბჭო ამ დილემის წინაშე არ დამდგარა, მაგრამ შესაძლებელია, მომავალში მოუწიოს ამ საკითხზე მსჯელობა.

7.2. შესწორების სტანდარტი

ქარტიის საბჭო თავის გადაწყვეტილებებში ასევე განსაზღვრავს, თუ რა ითვლება შესწორებად. საქმეების ნაწილში მოპასუხე ჟურნალისტებმა ამა თუ იმ ფორმით სცადეს ინფორმაციის შესწორება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქარტიის მე-5 პრინციპი მაინც დარღვეულად იქნა მიჩნეული. საბჭოს პრაქტიკის თანახმად, იმისათვის, რომ მართლაც შესწორდეს ინფორმაცია, აუცილებელია, აუდიტორიისთვის ნათელი გახდეს დაშვებული შეცდომის შესახებ. მაგალითად, ამის შესახებ მიუთითა საქმეში – ***ელენე მეჩიტოვა, ინა სუკიასიანი და ედიტა ბადასიანი ვებგვერდ ARTINFO.GE-ზე გამოქვეყნებული სტატიის ავტორის, ასევე მაკა ცინცაძის, ნათია ხართიშვილისა და ზურაბ პატარიძის წინააღმდეგ* (2016 წელი).**

ამ საქმეში დადგინდა, რომ გადაცემა „2030“-ში (ტელეკომპანია „მე-9 არხი“) გავრცელდა არასწორი ინფორმაცია. მომდევნო დღეს აღნიშნულ საკითხზე „2030“-მა კიდევ ერთი სიუჟეტი მოამზადა, სადაც მაყურებელს სრულად გააცნო განმცხადებლის პრეტენზიები/კომენტარი, მაგრამ საბჭომ ეს შესწორებად არ ჩათვალა, ვინაიდან არ იყო აღნიშნული, რომ წინა გამოშვებაში ამ თემაზე არასწორი ინფორმაცია გავრცელდა. ქარტიის საბჭოს განმარტებით, იმისათვის, რომ შეცდომა გამოსწორებულად ჩაითვალოს, საჭიროა მასზე ხაზგასმა და მითითება, რომ მანამდე გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს.

საქმე – *„ჯიპიაი ჰოლდინგი“ თეა ზიბზიბაძისა და ანა ჯანაშიას წინააღმდეგ* (2014 წელი)

საქმის მასალების თანახმად, განმცხადებელი „ჯიპიაი ჰოლდინგი“ დაუკავშირდა ჟურნალისტს და მოსთხოვა არსებითად მცდარი ინფორმაციის გასწორება. ჟურნალისტმა „ჯიპიაი ჰოლდი-

ნგის“ მიმართვა უცვლელად გამოაქვეყნა ვებსაიტზე, მაგრამ სტატიაში არასწორი ინფორმაცია არ გაუსწორებია. საბჭომ მიიჩნია, რომ მასალა არ შესწორდა ჯეროვნად, ვინაიდან თავდაპირველი, არასწორი ინფორმაციის შემცველი ჟურნალისტური პროდუქტი უცვლელი სახით ისევ განთავსებული იყო ვებგვერდზე, შესაბამისად ისევ ვრცელდებოდა არასწორი ინფორმაცია, ანუ ჟურნალისტური პროდუქტი კვლავ ხარვეზიანი იყო.

საქმე *საქართველოს უზენაესი სასამართლო მაია ფურცელაძის, marshalpress.ge-ს, digest.pia.ge-ს, exclusivenews.ge-ს და resonancedaily.com-ის არაიდენიტიფიცირებული ჟურნალისტების წინააღმდეგ* (2019 წელი)

საქმის მასალების თანახმად, დგინდება, რომ გაზეთ „ვერსიას“ ელექტრონულ გვერდზე გამოქვეყნდა არასწორი ინფორმაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ. სტატიის გასაჯაროებისთანავე უზენაესმა სასამართლომ წერილობით მიმართა მედიასაშუალებას, რომ მათ მიერ ვრცელდებოდა არასწორი ინფორმაცია. ამის შემდეგ სადავო სტატია დაიბეჭდა გაზეთის ბეჭდურ გამოცემაშიც მე-3 გვერდზე. სტატიამ დაიკავა ერთი საგაზეთო გვერდი. ამავე ნომერში სადავო სტატიის შემდგომ, მე-4 გვერდზე კი უფრო პატარა შრიფტით განათავსა უზენაესი სასამართლოს განცხადება. ქარტიის საბჭომ ეს ქმედება არ მიიჩნია შესწორებად, ვინაიდან „ვერსიისთვის“ უკვე ცნობილი იყო უზენაესი სასამართლოს პოზიცია, რომელიც უნდა აესახა თავად სტატიაში, ნაცვლად სხვა გვერდზე, უფრო პატარა და ნაკლებად შესამჩნევი შრიფტით განთავსებისა. ამასთან, თავად სტატიაში არ იყო მითითებული, რომ ამავე გაზეთის ნომერი შეიცავდა უზენაესი სასამართლოს პოზიციასაც. როგორც საბჭომ აღნიშნა, *„ამით შეიზღუდა მკითხველის უფლება, რომ გასცნობოდა მეორე მხარის პოზიციას“.*

საქმე *ნინო ვეზდენი თამარ ბოჭორიშვილის წინააღმდეგ* (2018 წელი)

POSTV-ის ვიდეო სოციალურ ქსელში გააზიარა ჟურნალმა „რეიტინგმა“. გამოტანილი ციტატა არ ეკუთვნოდა იმ პირს, ვინც ფოტოზე ჩანდა. მასალის გავრცელებიდან რამდენიმე საათში განმცხადებელი დაუკავშირდა „რეიტინგს“, რომელმაც მასალა ჯერ ჩაა-

სწორა და შემდეგ საერთოდ ჩახსნა. აღნიშნულ საქმეში მასალის ჩახსნა საბჭომ არ მიიჩნია მე-5 პრინციპის დაცვად, საბჭო აღნიშნავს:

> *„მასალის ჩასწორება/ჩახსნა ავტომატურად არ გამორიცხავს ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპების დაცვას და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოებები, შეფასდეს არასწორი ინფორმაციის გავრცელებით გამოწვეული ზიანი და მედიასაშუალების საპასუხო ქმედებების ადეკვატურობა. [...] სხვა პირის ფოტოს და ციტატის მითითება, რასაც პირის დისკრედიტაცია მოჰყვება, უხეში გაუფრთხილებლობაა, ამიტომაც მხოლოდ მასალის ჯერ ჩასწორება და შემდეგ წაშლა, კონკრეტულ შემთხვევაში ვერ შეფასდება როგორც ადეკვატური რეაგირება. როგორც მინიმუმ ჟურნალისტს იმავე ფეისბუქგვერდზე ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უნდა გაეცხადებინა, რომ მან დაუშვა შეცდომა, აღეწერა ეს შეცდომა და ნათელი გაეხადა მისი მკითხველისათვის, რომ ისინი შეცდომაში შეიყვანა. აქვე აღსანიშნავია, რომ სოციალური ქსელის ბუნება, არასწორი ინფორმაციის ერთხელ გავრცელება ართულებს იმ აუდიტორიისათვის შეცდომის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელმაც ერთხელ უკვე ნახა და დაიჯერა არაზუსტი ფაქტი“.*

საქმე *„ფრესკო“ მზია შარაშენიძის, უშო რუხაძის და ნათია ჩიქოვანის წინააღმდეგ* (2019 წელი)

საბჭომ დაადგინა, რომ „ფრესკოს“ წარმომადგენელი დაუკავშირდა გადაცემის პროდიუსერს და სთხოვა ინფორმაციის შესწორება და „ფრესკოს“ კომენტარის გავრცელება. როგორც საბჭოსთან სატელეფონო გასაუბრებისას პროდიუსერმა ქარტიის საბჭოს აცნობა, მათ ვერ შეძლეს „ფრესკოს“ მოთხოვნის დაკმაყოფილება, ვინაიდან სადავო გადაცემა უკვე დახურული იყო.

> *„ქარტიის საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს გარემოება არ გამორიცხავს მედიასაშუალების პასუხისმგებლობას, ვინაიდან მათ შეეძლოთ სპეციალური განცხადებით, სხვა გადაცემის ფორმატში ანდა ვებსაიტის მეშვეობით გამოხმა-*

ურებოდნენ „ფრესკოს“ პრეტენზიას და მაყურებლისათვის მიეწოდებინათ მათი პოზიცია“.

აღსანიშნავია, რომ საბჭო ასევე ყურადღებას აქცევს, თუ რა ფორმით ხდება შესწორების მოთხოვნა.

საქმე *შპს „აიპლუსი“ ბესო მახარაშვილის წინააღმდეგ* (2017 წელი)

განმცხადებლის პოზიციით, სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ის დაუკავშირდა ჟურნალისტს და მოსთხოვა ინფორმაციის შესწორება. აღნიშნულის დასადასტურებლად განმცხადებელმა წარმოადგინა აუდიოჩანაწერი. გადაწყვეტილების თანახმად, ჩანაწერის გაცნობის შემდეგ საბჭომ დაასკვნა, რომ განმცხადებელმა მოითხოვა არა ჩასწორება, მიუთითა არა იმაზე, თუ რა ფაქტი იყო არასწორი და როგორ უნდა შესწორებულიყო, არამედ ითხოვდა სტატიის ჩახსნას ვებსაიტიდან. რადგან არ იყო ჩასწორების მოთხოვნა, მე-5 პრინციპის დარღვევაც საბჭომ არ დაადგინა.

ქარტიის პრაქტიკის თანახმად, ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპების დაცვისათვის მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტებმა პატიოსნად განაცხადონ არაზუსტი ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ და შეასწორონ ის. შესწორება უნდა მოხდეს თანაზომიერად, ადეკვატურად, აღარ უნდა იძებნებოდეს არასწორი/დაუბალანსებელი ინფორმაცია, ჟურნალისტმა უნდა სცადოს შესწორებული ჟურნალისტური პროდუქტის აუდიტორიისათვის ხელახლა მიწოდება.

შესწორების სტანდარტი, რომელიც შემუშავდა ქარტიის საბჭოს და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე, მოცემულია დანართ N1-ში: „შესწორების სტანდარტი მედიაში – სახელმძღვანელო წესები“

8. მეექვსე პრინციპი

ჟურნალისტის მორალური პასუხისმგებლობაა, არ გამჟღავნოს კონფიდენციალურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო.

მნიშვნელოვანია, რომ წყაროს კონფიდენციალურობა ასახულია კანონმდებლობაშიც, კერძოდ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის თანახმად, პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის არ აქვს უფლება, მოითხოვოს ამ წყაროს გამხელა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად კი, მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება ჟურნალისტს, პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

ქარტიის საბჭომ მე-6 პრინციპი დარღვეულად მიიჩნია ორ საქმეში, რომელთაგან ერთი საქმეც პერსონალური ინფორმაციის გამო რეგისტრირებულია როგორც „ანონიმური საქმე“

***ანონიმური საქმე* (2014 წელი)**

გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებების თანახმად, ჟურნალისტის მიერ მომზადდა სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა კონკრეტული ვირუსის მატარებელთა რიცხვის ზრდას. გადაცემის მომზადებამდე ჟურნალისტი ერთ-ერთი ორგანიზაციის შუამდგომლობით დაუკავშირდა ვირუსის მატარებელს და სთხოვა საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება. რესპონდენტი ინტერვიუს დასთანხმდა კონფიდენციალურობის დაცვის წინაპირობით. სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი რესპონდენტის კონფიდენციალურობა, კერძოდ არ იყო შეცვლილი მისი ხმა, ხოლო ზოგიერთ ეპიზოდში, არასრულყოფილი გადაფარვის გამო, ვიდეოკადრებში რესპონდენტის ვიზუალურად ამოცნობაც შეიძლებოდა. საბჭომ ხაზი გაუსვა, რომ:

> ***„ჟურნალისტის პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენდა, უზრუნველეყო რესპონდენტის ვინაობის კონფიდენციალურობა,*** *მეტიც, ჟურნალისტი წინასწარ იყო გაფრთხილებული და სწორედ კონფიდენციალურობის დაცვა წარმოადგენდა ინტერვიუს მიცემის წინაპირობას“.*

აღნიშნულ შემთხვევაში საბჭოს მიერ დადგინდა, რომ ჟურნალისტმა, მართალია, არა განზრახ, მაგრამ გაუფრთხილებლობით დაარღვია რესპონდენტის კონფიდენციალურობა და მიმართა რეკომენდაციით ტელეკომპანიას, რომლის ეთერშიც სიუჟეტი გადაიცა, რომ მასალა საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებში აღარ ყოფილიყო განთავსებული.

საქმე *რუსუდან ბოლქვაძე შოთა ფალავანდიშვილის წინააღმდეგ* (2018 წელი).

სადავო იყო სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან ქეთი დოლიძის გათავისუფლებას. სიუჟეტი შეიცავდა ამავე თეატრის მსახიობის, რუსუდან ბოლქვაძის ინტერვიუს, სადაც ის საუბრობდა როგორც თეატრში განვითარებულ მოვლენებზე, ასევე მის პირად უარყოფით დამოკიდებულებაზე ქეთი დოლიძის მიმართ. როგორც გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რუსუდან ბოლქვაძე არ დასთანხმებია ინტერვიუზე, არამედ ის თანახმა იყო, ყოფილიყო ჟურნალისტის კონფიდენციალური წყარო, რომელიც მიაწვდიდა ინფორმაციას თეატრში განვითარებულ მოვლენებზე. შეთანხმების მიუხედავად, რუსუდან ბოლქვაძის შეფასებები, პოზიცია და მის მიერ მოწოდებული სხვა ინფორმაცია გასაჯაროვდა და სატელეფონო ინტერვიუ, რესპონდენტის მითითებით, ეთერში გავიდა. შესაბამისად, საბჭოს შეფასებით, სახეზე იყო ჟურნალისტის მიერ კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმების არშესრულება და მე-6 პრინციპის დარღვევა.

კონფიდენციალური წყარო, უმეტესწილად, ნდობის ნაკლები ხარისხით სარგებლობს, მაგრამ, ამასთან, შესაძლებელია, ასეთი წყარო ფლობდეს მნიშვნელოვან, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციას, რომლის გასაჯაროებაზეც

მხოლოდ კონფიდენციალურობის დაცვის პირობით დასთანხმდეს. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ წყაროს მოთხოვნა კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ იყოს უზრუნველყოფილი. დაუშვებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით კონფიდენციალური წყაროს პირდაპირ ან ირიბად იდენტიფიცირება. მსგავსი ქმედება ხელს უწყობს წყაროთა უნდობლობას, ზოგადად, ჟურნალისტების მიმართ და, შესაბამისად, იზრდება რისკი, წყაროებმა ინფორმაცია არ მიაწოდონ ჟურნალისტებს იმის შიშით, რომ მათ შესახებ ინფორმაცია გახდება საჯარო.

9. მეშვიდე პრინციპი

ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

პირველი პრინციპის შემდეგ ქარტიის პრაქტიკაში მე-7 პრინციპის დარღვევა ყველაზე მეტჯერ დადგინდა. ასევე ეს პრინციპი თავის ფორმალურ რედაქციასთან შედარებით ყველაზე ფართოდ იქნა განმარტებული. კერძოდ, მე-7 პრინციპმა დისკრიმინაციასთან ერთად მოიცვა სიძულვილის ენა და სტიგმის გაძლიერება. შესაბამისად, ჟურნალისტმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ თავიდან აიცილოს დისკრიმინაცია, სიძულვილის ენა და სტიგმის გაძლიერება.

პირველი საქმე, რომელიც დისკრიმინაციის კუთხით განიხილა საბჭომ, იყო **ფონდი ,,ინკლუზივი“ ალექსანდრე ელისაშვილის წინააღმდეგ (2010 წელი).** გადაწყვეტილებაში საბჭომ აღნიშნა, რომ *„ჟურნალისტი ვალდებულია, ერკვეოდეს, რას ნიშნავს დისკრიმინაცია და დისკრიმინაციის წახალისება, სიძულვილის ენა და*

არატოლერანტული გამონათქვამები, რათა საჭირო მომენტში გაიცნობიეროს და სწორად შეაფასოს პრობლემა“.

საქმე *თორნიკე კაკალაშვილი გიორგი გაბუნიას წინააღმდეგ* (2018 წელი)

ამ საქმეში საბჭომ მიუთითა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებულ რეკომენდაციაზე: *„სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით“.* საბჭომ აღნიშნულ განმარტებას დაამატა, რომ *„სიძულვილის ენა უნდა იყოს კონკრეტული ჯგუფის მიმართ და ატარებდეს შეურაცხმყოფელ ხასიათს, თუმცა ყველა შეურაცხმყოფელი ტექსტი არ შეიძლება იყოს სიძულვილის ენა“*.

ამ განმარტებით საბჭომ ასევე ერთმანეთისაგან გამიჯნა დისკრიმინაცია და დისკრედიტაცია, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, განმცხადებლები მე-7 პრინციპს დარღვეულად თვლიდნენ იმ საფუძვლით, რომ ჟურნალისტის მიერ ხდებოდა მათი შეურაცხყოფა და დისკრედიტაცია. როგორც საბჭო თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნავს, მე-7 პრინციპის ჭრილში შეიძლება განხილული იყოს მხოლოდ ის შეურაცხმყოფელი და მადისკრედიტებელი მასალა, რომელიც შეიცავს სიძულვილის ენას, იწვევს დისკრიმინაციას ან სტიგმის გაძლიერებას. მაგალითად, საქმეში – ***ივდითი კვიტაია გიორგი გაბუნიას წინააღმდეგ* (2018 წელი) –** განმცხადებელი უთითებდა, რომ მე-7 პრინციპი დაირღვა, ვინაიდან წამყვანმა ბიძინა ივანიშვილი მოიხსენია როგორც „ხეგლეჯია რუსი ოლიგარქი“. საბჭომ აღნიშნა, რომ *„ბიძინა ივანიშვილი არის საჯარო პირი და იგი ვალდებულია, ითმინოს მის მიმართ ნეგატიური შეფასებები, მათ შორის შეურაცხმყოფელი გამონათქვამები. თავად ტერმინი „ხეგლეჯია რუსი ოლიგარქი“ ცალკე არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც სიძულვილის ენა, ვინაიდან ეს ტერმინი შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, მაგრამ არ ჯდება სიძულვილის ენის იმ განმარტებაში“.*

სტიგმის გაძლიერებაც მე-7 პრინციპის დაფარვის სფეროდ ჩაითვალა. საქმეში ***– იდა ბახტურიძე და სხვები ირაკლი ხრიკაძის, გიორგი მასხარაშვილის, გიორგი ასანიშვილის და ვახო გეგელიას წინააღმდეგ* (2014 წელი) –** საბჭომ განმარტა, რომ დისკრიმინაცია შეიძლება გამოწვეული იყოს საზოგადოებრივი ჯგუფის მიმართ არსებული სტიგმის გაძლიერებით.

9.1. დისკრიმინაცია ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით

ქარტიის საბჭომ დისკრიმინაციად მიიჩნია პირის ეთნიკურ წარმომავლობაზე ხაზგასმა ანტისოციალური ქცევის გაშუქებისას.

საქმე *აიდან იუსუბოვა დავით დვალიშვილის წინააღმდეგ* (2019 წელი)

სადავო სიუჟეტში ჟურნალისტი დავით დვალიშვილი სპეცოპერაციის დეტალებზე საუბრობდა პირდაპირ ეთერში, რა დროსაც ჟურნალისტმა ხაზი გაუსვა სავარაუდო ნარკორეალიზატორ(ებ)ის ეთნიკურ წარმომავლობას. ქარტიის საბჭომ აღნიშნა, რომ ქარტიის მიერ შემუშავებული „კრიმინალის გაშუქების სახელმძღვანელო წესების“ თანახმად,

> *„დაუშვებელია ბრალდებულის ეთნიკური, რელიგიური ან სხვა სახის იდენტობის დაკავშირება დანაშაულთან, ან მისი იდენტობის ხსენება, თუკი ის პირდაპირ არ უკავშირდება დანაშაულის მოტივს“, განსახილველ შემთხვევაში სავარაუდო დანაშაული იყო ნარკორეალიზაცია, რომელიც არ უკავშირდება რაიმე სახის იდენტობას. ეთნიკურ იდენტობაზე ხაზგასმით იზრდება სტიგმატიზების საფრთხე, ალბათობა, რომ დანაშაულის ეს სახე – „ნარკორეალიზაცია“ – დაუკავშირდეს როშელიმე ეთნიკურ ჯგუფს, რაც ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპებისათვის მიუღებელია და იწვევს ქარტიის მე-7 პრინციპის დარღვევას“.*

საქმე *გიორგი ტუმასიანი ნანა ძველაიას წინააღმდეგ* (2015 წელი)

სადავო სტატია „სკანდალი სომხურ დამწერლობაზე – სომხური კი არა, ეთიოპიური ალფავიტია! – მესროპ მაშტოცმა ასოები ეთი-

ოპიელებს მოპარა?“ ქარტიის საბჭომ მიიჩნია, რომ სტატია ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან სტატიაში გამოყენებული იყო დამცინავი და ირონიული ფრაზები ეთნიკურად სომეხი მესროპ მაშტოცისადმი, რომელიც მიიჩნევა სომხური დამწერლობის ავტორად; იგი ასევე მოხსენიებული იყო როგორც „ქურდბაცაცა“, „თაღლითი“. სტატია შეიცავდა ცალსახად დისკრიმინაციულ და შეურაცხმყოფელ წინადადებას – „მეტი რა შეუძლიათ ფანდურის, ლავაშის, ტოლმის, ხაშის, ხალიჩების და ათასობით ხალხური მელოდიის – ანუ, ყველაფერი იმის, რაც პირველად სხვა ხალხებთან ნახეს თავიანთი უბადრუკი გადაადგილების დროს ფინიკიიდან ფრიგიის, აღმოსავლეთ ანატოლიის და სპარსეთის გავლით კავკასიაში, მიმთვისებელ სომხებს?“. ანუ სტატია აქცენტირებული იყო ეთნიკური ნიშნით შეურაცხყოფაზე. აღსანიშნავია, რომ სადავო სტატია იყო ერთი წლით ადრე უცხოურ წყაროზე გამოქვეყნებული ჟურნალისტური პროდუქტის თარგმანი. საბჭომ აღნიშნა, რომ *„ერთი წლის დაგვიანებით ცალსახად დისკრიმინაციული, არგუმენტირებულ მსჯელობას მოკლებული სტატიის თარგმნა და გამოქვეყნება მიზნად მხოლოდ დისკრიმინაციის წახალისებას ისახავს და ჟურნალისტი (რედაქტორი) ხელს უწყობს მის გავრცელებას“.*

საქმე *მშვიდობის ფონდი, MDF, TDI და GDI ეკა სალაღაიას წინააღმდეგ* (2016 წელი)

„ტაში, ბიჭო, ვართანუშა!..” ასეთი სათაურით გამოქვეყნდა სტატია, რომლის მიხედვითაც, გევორქიანების ანსამბლმა თითქოს ქართული ცეკვა „დაისი“ წარადგინა როგორც სომხური საქორწინო ცეკვა. ამავე საქმეში დადგინდა, რომ ეს ინფორმაცია არასწორი იყო. სტატიაში გამოყენებული იყო შეფასება: „ისაც კი თვალში საცემად უნიჭოდ ფარჩხავს თითებს, მისი „კდემამოსილებით“ თავბრუდახვეული ვართანა კი ლამის თავზე გადაახტეს, ისე დაკუნტრუშებს სცენაზე“. ამასთან, ხაზგასმული იყო იმ პირების ეთნიკური წარმომავლობა, რომელთა მიმართაც ხდება ასეთი ტერმინოლოგიის გამოყენება. გარდა იმისა, რომ ჟურნალისტი თავად იყენებდა ეთნიკური ნიშნით შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას, ხელს უწყობდა რესპონდენტების ქსენოფობიური გამონათქვამების ტირაჟირებას: „სომხეთში არიან „ავადმყოფური ისტორიზმის“ სენით შეპყრობილი მუსიკოსები, მსახიობები,

მწერლები, ისტორიკოსები“. „რამ დაგაბრმავათ და რამ დაგაყრუათ! ვისაც ეს ეხება, სომხებს კანონით გასცეს პასუხი ქართული კულტურის შეურაცხყოფისთვის. მოვითხოვ, ბოდიში მოუხადონ ქართულ კულტურას და ქართველ ერს“.

იმის გათვალისწინებით, რომ გავრცელებული ინფორმაცია არასწორი იყო (თითქოს ქართული ცეკვა ეთნიკურად სომეხმა პირებმა სომხურად გაასაღეს, ან სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ რომ მიითვისეს), საბჭოს დარჩა შთაბეჭდილება, რომ სახეზე იყო ეთნიკური ნიშნით შუღლის გაღვივებისა და დისკრიმინაციის მცდელობა. ამასვე ადასტურებს სადავო სტატიის ქვემოთ მკითხველის კომენტარები, სადაც სტატიაში მითითებული არასწორი ფაქტების საფუძველზე გამოთქვამდნენ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციულ და შეურაცხმყოფელ შეფასებებს.

საბჭო ხშირად აქცევს ყურადღებას აუდიტორიის გამოხმაურებებს ისეთ ჟურნალისტურ პროდუქტებზე, სადაც, სავარაუდოდ, დარღვეულია მე-7 პრინციპი. ეს კარგი ინდიკატორია იმის დასადგენად, ნამდვილად იყო თუ არა სიძულვილის ენის შემცველი ან დისკრიმინაციული სადავო ჟურნალისტური პროდუქტი.

9.2. დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით

ქარტიის საბჭო მე-7 პრინციპს დარღვეულად თვლის იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებულია ისეთი ტერმინები, რომლებიც თანხვედრაშია ჰომოფობიური ჩაგვრის (როგორც ვერბალური ისე ფიზიკური) პრაქტიკაში დამკვიდრებულ ტერმინებთან, ატარებს დამაკნინებელ და შეურაცხმყოფელ ხასიათს ლგბტქ ადამიანების მიმართ. მაგალითად საქმეში – **ააიპ *„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ მაკა რაზმაძის წინააღმდეგ* (2018 წელი) –** რესპონდენტის მიერ სექსუალური უმცირესობის „პიდარასტებად“ მოხსენიება, ხოლო საქმეში ***– ბექა გაბადაძე თეა ადეიშვილის წინააღმდეგ* (2017 წელი) –** რესპონდენტის მიერ ტერმინ „მამათმავლის“ გამოყენება გახდა მე-7 პრინციპის დარღვევის საფუძველი.

საქმე ***ბექა გაბადაძე თეა ადეიშვილის წინააღმდეგ*** გამოირჩევა ასევე იმით, რომ რესპონდენტმა „მამათმავლობა“ „უღირს“ თვი-

სებად შეაფასა და შეადარა ზოოფილიასა და ლოთობას. ეს კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი იყო, რათა ამ საქმეში დადგენილიყო მე-7 პრინციპის დარღვევა. საბჭომ მიიჩნია, რომ ჰომოსექსუალობის ანტისოციალურ ქცევასთან ასოცირება დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ საქმეებში სიძულვილის ენა გამოიყენეს რესპონდენტებმა, მაგრამ პრინციპი დარღვეულად დაუდგინდა ჟურნალისტს, ვინაიდან მე-7 პრინციპი თავისი არსით ჟურნალისტს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ ხელი არ შეუწყოს დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის გავრცელებას. როგორც საბჭომ აღნიშნა:

> ***„მედიას აქვს სოციალური პასუხისმგებლობა, არა მხოლოდ არ გაამძაფროს დისკრიმინაცია, არამედ საზოგადოებაში არსებულ ირაციონალური შიშების და ზიზღის წინააღმდეგ საინფორმაციო პროაქტიული ქმედებები განახორციელოს“,*** ანუ, ჟურნალისტმა არა თუ ხელი არ უნდა შეუწყოს დისკრიმინაციის გაღრმავებას, არამედ პირიქით, ყველა ღონე უნდა იხმაროს დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით.

თუ გადაცემა, რომელშიც მსგავსი ტერმინოლოგიაა გამოყენებული, გადის ჩანაწერის სახით, ჟურნალისტმა უნდა უზრუნველყოს ისე დამონტაჟება, რომ ასეთი გამონათქვამები ეთერში არ მოხვდეს, ხოლო რაც შეეხება პირდაპირ ეთერს, ამის შესახებ დეტალურად ვისაუბრებთ ქვეთავში „ჟურნალისტის ქცევა პირდაპირი ეთერის დროს“.

საქმე *ირაკლი მანაგაძე ლევან გოგორელიანის და თემო მჟავიას წინააღმდეგ* (2016 წელი)

სადავო გადაცემაში გამოკითხვა ჩაატარებინეს რესპონდენტს, რომელიც ცნობილი იყო თავისი დისკრიმინაციული პოზიციით ლგბტქ პირთა მიმართ. ის ქუჩაში გამვლელებს ეკითხებოდა აზრს, თუ რას ფიქრობდნენ „ერთსქესიანთა“ ქორწინებაზე. თავად გამოკითხვაში პირები ავლენდნენ ჰომოფობიურ დამოკიდებულებას („უნდა მოვსპოთ“, „ისინი არიან დასახვრეტები“). გამოკითხვა, რომელიც დისკრიმინაციულ, ჰომოფობიურ გამონა-

თქვამებს შეიცავდა, გადაცემის წამყვანი ჟურნალისტების მიერ შეფასდა როგორც „ძალიან კარგი“, გამოკითხვას თან ახლდა ჟურნალისტების ირონიული დამოკიდებულება და დაცინვა იმ რესპონდენტების მიმართ, რომლებიც არ ამჟღავნებდნენ ჰომოფობიას. საბჭოს შეფასებით,

> *„გადაცემის წამყვანი ჟურნალისტები არა თუ გაემიჯნენ დისკრიმინაციას სექსუალური უმცირესობის მიმართ, არამედ პირიქით, თავადაც გამოხატეს ირონიული და დამცინავი დამოკიდებულება, მოიწონეს დისკრიმინაციული გამონათქვამები და ხელი შეუწყეს მათ გავრცელებას. გადაცემის ეს ნაწილი, საბჭოს შეფასებით, არის დისკრიმინაციული, რომელიც უხეშად არღვევს ქარტიის მე-7 პრინციპს“.*

საინტერესოა ქარტიის საბჭოს მსჯელობა საქმეში – ***პლატფორმა „არა ფობიას“ POSTV-ის არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტის წინააღმდეგ* (2019 წელი).** მე-7 პრინციპი საბჭომ დარღვეულად მიიჩნია იმ საფუძვლით, რომ ლგბტ თემთან ასოცირება ჟურნალისტმა გამოიყენა კონკრეტული პირების დისკრედიტაციის მიზნით. კერძოდ, სიუჟეტის მიხედვით, კონგრესის სასახლეში ერთიანი ნაციონალური მოძრაობა თავის მხარდამჭერებს ხვდებოდა, ამასთან, პარალელურად იმართებოდა ლგბტ თემის წვეულება, სადაც სტუმრები უფასო კოქტეილებს და შიდსის ვირუსზე უფასო შემოწმებას მიიღებდნენ.

საბჭომ აღნიშნა, რომ საქართველოში ჰომოფობიური განწყობები მაღალია, რის დასტურადაც მიუთითა კვლევაზე, რომლის თანახმად, საქართველოში მცხოვრები პირებისათვის ლგბტ პირი არასასურველი მეზობელია, თითქმის ისევე, როგორც კრიმინალი მეზობელი. შესაბამისად, საქართველოში ამა თუ იმ პირის მიერ ლგბტ თემის მიმართ სოლიდარობის გამოხატვა ან მათთან რაიმე ფორმით დაკავშირება შეიძლება ამ პირის დისკრედიტაციის საფუძველი გახდეს.

> *„ჟურნალისტმა სცადა, რომ ლგბტ თემთან კავშირით მოეხდინა „ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტაცია. ეს მცდელობა ჟურნალისტის კითხვებშიც ჩანს, როცა ის შეხვედრის ერთ–ერთ მონაწილეს, გიორგი სიგუას ეკითხება:*

„ლგბტ-ის ღონისძიება და თქვენი ღონისძიება ერთ სივრცეში რომ არის, ეს დაგეგმეთ თუ უბრალოდ დამთხვევაა?“ [...] ლგბტ პირების წვეულების პარალელურად შეხვედრის ჩატარება გამოყენებულია დისკრედიტაციის საფუძვლად და წარმოჩენილია არასასურველ ქმედებად. თავად სიუჟეტის კომენტარებიდან ჩანს, რომ ამ სიუჟეტის მომზადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტაცია მოხდა სწორედ ლგბტ თემთან აფილირებით“.

საბჭომ აღნიშნა, რომ ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულ საქმეში კი ჟურნალისტმა პირიქით, მთელი ძალისხმევა მიმართა ლგბტ თემის დისკრიმინაციისა და სტიგმატიზაციის გასაძლიერებლად, გამოიყენა რა ლგბტ თემთან რაიმე ფორმით ასოცირება/დაკავშირება როგორც მადისკრედიტებელი, საზოგადოებისათვის მიუღებელი ქმედება, რითაც ხელი შეუწყო ჰომოფობიური განწყობების გაღვივებასა და გავრცელებას.

სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია (გამორჩევა) დაადგინა საბჭომ საქმეში – ***ირაკლი ვაჭარაძე გაზეთ „ალიონის“ წინააღმდეგ* (2015 წელი).** საქმის გარემოებების თანახმად, გაზეთ „ალიონში“ გამოქვეყნდა მასალა სათაურით – „ოზურგეთის ერთ-ერთ სოფელში ორი გეი ერთად ცხოვრობს.“ საბჭომ აღნიშნა, რომ დისკრიმინაციად ითვლება *„პირის ისეთი ნიშნით გამოყოფა, რომელიც იწვევს მისდამი განსხვავებულ დამოკიდებულებას ან აყენებს პირს ჩვეულებრივისგან განსხვავებულ მდგომარეობაში“.*

თავად სტატია არ შეიცავდა დისკრიმინაციულ ან სიძულვილის ენის ამსახველ გამონათქვამებს, მაგრამ საბჭომ აღნიშნა, რომ თავად მასალის გამოქვეყნების ფაქტი მოკლებული იყო გონივრულ და ობიექტურ კრიტერიუმებს, რაც გაამართლებდა გაზეთ „ალიონის“ მიერ პირთა გამორჩევას და მათ შესახებ მასალის მომზადებასა და გამოქვეყნებას. საბჭოს შეკითხვაზე: „გამოაქვეყნებდა თუ არა რედაქცია მასალას, თუ საკითხი შეეხებოდა ჰეტეროწყვილს“, მოპასუხე ჟურნალისტმა უპასუხა: „არა“, *„რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ რედაქციის მხრიდან მოხდა მათი (გეი წყვილის) არჩევა სწორედ სექსუალური ორიენტაციის გამო“* და აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია მე-7 პრინციპის დარღვევა.

9.3. დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით

საქმე *„ბავშვებისა და ახალგაზრდობის კეთილდღეობისათვის“ საქართველოს კოალიცია გია ჯაჯანიძის და ხათუნა პაიჭაძის წინააღმდეგ* (2015 წელი)

სადავო გადაცემა ეხებოდა ორ სხვადასხვა პანსიონს. ერთი მათგანი იყო ლეონიდ ჩერნოვეცკის საქველმოქმედო ფონდის მიერ ქობულეთში დაარსებული ბავშვთა სახლი, ხოლო მეორე – ე.წ. „მედრესე“[9]. სიუჟეტს, რომელიც აღწერდა ლეონიდ ჩერნოვეცკის საქველმოქმედო ფონდის მიერ დაარსებულ ბავშვთა სახლს, ფონად ედო მხიარული მუსიკა. ჭარბობდა ფერადი კადრები, აჩვენებდნენ, როგორ უხარიათ ბავშვებს ფეიერვერკის გაშვება და, ზოგადად, პანსიონში ყოფნა; რაც შეეხება მედრესეს შესახებ სიუჟეტს, მოიცავდა შავ-თეთრ კადრებს, გაფორმებული იყო დრამატული, კერძოდ ფილმ „შინდლერის სიაში“ გამოყენებული მუსიკით, კადრების დიდი ნაწილი კი შავ-თეთრი იყო, ზოგადი ფონი – ნეგატიური. მინიშნება ხდებოდა, რომ ბავშვებს მათი სოციალური მდგომარეობის გამო იძულებით უწევთ ისლამის შესწავლა მედრესეში. სიუჟეტის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა მედრესეს (ბავშვთა სახლს, რელიგიური სწავლების ელემენტებით), შეიცავდა ამ დაწესებულების არსებობის მოწინააღმდეგეთა კომენტარებს, ხოლო როცა საუბარი ეხებოდა ლეონიდ ჩერნოვეცკის საქველმოქმედო ფონდის მიერ ქობულეთში დაარსებულ ბავშვთა სახლს, იგი მხოლოდ პოზიტიური კუთხით იყო წარმოჩენილი.

საბოლოო ჯამში, ორივე სიუჟეტის შეფასების, შედარების შედეგად საბჭოს შთაბეჭდილება დარჩა, რომ რელიგიური ნიშნით შექმნილი მედრესე, ლეონიდ ჩერნოვეცკის საქველმოქმედო ფონდის მიერ ქობულეთში დაარსებულ ბავშვთა სახლთან შედარებით, ცალსახად ნეგატიურ მოვლენად დაიხატა ჟურნალისტის მიერ. ცდილობდა, ეჩვენებინა, თითქოს ლეონიდ ჩერნოვეცკის საქველმოქმედო ფონდი რომ არა, შეჭირვებულ ოჯახებს ბავშვების მიყვანა მოუხდებათ მედრესეებში, სადაც მათ მოლებად და

9 დაწესებულება, რომელიც თავის არსით წარმოადგენს პანსიონს, სადაც მიზარებულ ბავშვებს უქმნიან ოჯახთან შედარებით უკეთეს სოციალურ პირობებს და, ამასთან, ბავშვები იღებენ რელიგიურ (ისლამის შესახებ) განათლებას.

ხოჯებად გაზრდიან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი და იმავე დანიშნულების მქონე დაწესებულებების აბსოლუტურად სხვადასხვაგვარ კონტექსტში გაშუქება და, ამასთან, ნეგატიურად წარმოჩენილ დაწესებულებასთან დაკავშირებით რელიგიურ ასპექტებზე ხაზგასმა საბჭომ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციად მიიჩნია.

9.4. დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით

საქმე *გიორგი თეთრაძე გიორგი გასვიანის წინააღმდეგ* (2019 წელი)

განმცხადებელი მიუთითებდა, რომ „იმედის“ გადაცემა „სიცრუის დეტექტორში“ გაჟღერდა ქალთა მიმართ ძალადობისა და დამამცირებელი მოპყრობის წამახალისებელი, დისკრიმინაციული განცხადება. გადაცემის წამყვან გიორგი გასვიანის მიერ დასმულ შეკითხვაზე: „უძალადია თუ არა აჩი ფურცელაძეს ქალზე?“ გადაცემის სტუმარი აჩი ფურცელაძე პასუხობდა: „კი“. დაფიქსირდა, რომ ეს პასუხი არის სიმართლე. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ ეს ეპიზოდი, თავისი შინაარსით, ქალზე ძალადობას ჩვეულებრივ ქმედებად წარმოაჩენს.

ქარტიის საბჭომ თავის გადაწყვეტილებაში მოიხმო შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევა, რომელიც ადასტურებს, რომ „ქალზე ძალადობა მნიშვნელოვანი პრობლემა და გამოწვევაა საქართველოში“. საბჭოს თქმით,

> *„როდესაც რესპონდენტი ჟურნალისტს აწვდის ინფორმაციას, რომ მას ქალზე უძალადია, ეს არ უნდა იქნეს აღქმული როგორც ჩვეულებრივი ამბავი და წამყვანმა ცალსახად უნდა დააფიქსიროს ნეგატიური დამოკიდებულება ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ.“*

საბოლოოდ, საბჭომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტმა ყველა ღონე არ იხმარა დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად. ქალი გამოიყვანა როგორც ობიექტი, რომელზეც ძალადობა გაუბრალოებულია.

„ჟურნალისტმა ხელი შეუწყო ქალთა დისკრიმინაციას და იმ სტიგმის გაძლიერებას, რომ ქალზე გარკვეული სახით ან/და „დოზით“ ძალადობა აუცილებელი და მისაღები ქმედება შეიძლება იყოს. ჟურნალისტმა ცალსახად არ აღნიშნა ქალზე ძალადობის მიუღებლობა და სტუმარს საშუალება მისცა, ძალადობის ფაქტზე, როგორც ჩვეულებრივ ამბავზე, ისე ესაუბრა“.

9.5. დისკრიმინაცია, სტიგმატიზაცია სხვა ნიშნებით

საქმეში – *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა გიორგი გაბუნიას და მაია ლომიძის წინააღმდეგ* (2017 წელი) – საბჭომ დისკრიმინაცია დაადგინა გეოგრაფიული წარმომავლობის ნიშნით. წამყვანი გიორგი გაბუნია სიუჟეტში აღნიშნავდა: „ალბათ, დავით ნარმანიას დაავიწყდა, რომ ის დედაქალაქის მერად აირჩიეს და ისევ სადმე სოფელში ჰგონია თავი, სადაც ტუალეტებს დიდი ორმოების თავზე აშენებენ, კანალიზაციის გარეშე.“ საბჭოს შეფასებით,

> *„წამყვანის ტექსტი არის დისკრიმინაცია გეოგრაფიული წარმომავლობის ნიშნით. დავით ნარმანიას წარმომავლობასა და უკანალიზაციო საპირფარეშოების პრობლემის ერთმანეთთან დაკავშირება ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს, რომ თითქოს კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები პირებისთვის მისაღები და დამაკმაყოფილებელია ის, რაც არ შეეფერება ქვეყნის დედაქალაქს. ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის უფლება აქვს ყველა პირს, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა. ის გარემოება, რომ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული თუ ეკონომიკური მიზეზების გამო კონკრეტული პირები ვერ ახერხებენ ღირსეული და სასურველი საცხოვრებელი პირობების შექმნას, არ ნიშნავს, რომ მათთვის მიღებულია საყოფაცხოვრებო პირობების დაბალი სტანდარტი.“*

საქმეში – *გიორგი გაბრიაძე ლერი კვაჭანტირაძის წინააღმდეგ* (2017 წელი) – საბჭომ დისკრიმინაციად ჩათვალა ტერმინ „ზანგის“ გამოყენება, ვინაიდან

„ქართულ ენაში და შესაბამისად, საზოგადოებაში სიტყვა „ზანგს“ უარყოფითი დატვირთვა აქვს, იგი, ძირითადად, გაიგივებულია შავკანიანი მოსახლეობის ცხოვრების იმ პერიოდთან, როდესაც ისინი იმყოფებოდნენ მონურ და უფლებაშელახულ მდგომარეობაში. (...) ჟურნალისტი ვალდებულია, მაღალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, სწორად შეარჩიოს ტერმინები და ფრაზები. არა თუ ხელი არ უნდა შეუწყოს დისკრიმინაციის გაღრმავებას, არამედ თავად უნდა იყოს ანტიდისკრიმინაციული ტერმინოლოგიის და მიდგომების დამცველი. ეთიკური ჟურნალისტური პროდუქტი მკითხველისათვის უნდა იყოს მაგალითი დისკრიმინაციული კონტექსტიდან დაცლილი ინფორმაციის გადმოცემისა, და არა პირიქით“.

9.6. სტიგმის გაძლიერება

სტიგმის გაძლიერებაზე გადაწყვეტილებები, ძირითადად, ეხება გენდერულ თემატიკას და სტიგმების გაძლიერებას ქალთა მიმართ. ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილებებში მე-7 პრინციპი დარღვეულად არის მიჩნეული, როგორც დისკრიმინაციის, ისე სტიგმის გაძლიერების საფუძვლით.

საქმე *ანა სუბელიანი მაია ასათიანის წინააღმდეგ* (2015 წელი)

განცხადების თანახმად, ქარტიის მეშვიდე პრინციპი დაირღვა გადაცემა „პროფილში“, რომლის წამყვანი იყო მაია ასათიანი, ხოლო გადაცემის თემა – „როგორ დავკარგოთ მამაკაცი“. განმცხადებლის პოზიციით, სტუმრების მიერ გადაცემის მსვლელობისას გაჟღერებული პოზიციები და რეპლიკები აძლიერებდა სტიგმას. ქარტიის საბჭომ ყურადღება მიაქცია გადაცემაში რესპონდენტების ფრაზებს: „გულწრფელი ცოლი არის სულელი ცოლი, რომელიც მალე რჩება მარტო“, „მამაკაცს არ უნდა „უბურღავდე“ ტვინს, არასდროს არ უნდა ჰკითხო, სად არის, როდის მოვა, სულ უნდა გქონდეს დაუთოებული მისი ტანსაცმელი, ორი სახის საჭმელი უნდა იყოს მაცივარში“, „კაცს უნდა დაუთმო“, „ძალიან მნიშვნელოვანია, სახლში მეუღლემ აუცილებლად უნდა გაგიმზადოს საჭმელი“.

საბჭომ მიიჩნია, რომ ყველა ზემოთ მითითებული ფრაზა ხელს უწყობს და ამყარებს სტიგმას ქალთა შესახებ, კერძოდ:

> *„[გადაცემაში გამოთქმული] მოსაზრებები ცალსახად ყოფენ ქალის და მამაკაცის როლს ოჯახში და ამ როლის დარღვევის თუ შეუსრულებლობის გამო შესაძლებელია ქალმა შესაბამისი საყვედური მიიღოს/მამაკაცის აგრესია გამოიწვიოს. სტუმრების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ქალმა უნდა იზრუნოს მამაკაცის კომფორტისათვის, არ უნდა შეაწუხოს დამატებით, პირნათლად შეასრულოს „მოვალეობები“ და მხოლოდ ასე შეუძლია მოიპოვოს მამაკაცის კეთილგანწყობა. გადაცემაში გაჟღერებული ფრაზებით მხარდაჭერილია გენდერული დისბალანსი და მამაკაცის უპირატეს როლს უსვამს ხაზს. „მოვალეობების“ არშესრულების მიუხედავად, წარმატებული ოჯახის ქონას „გამართლებად“ მიიჩნევს წამყვანი, ანუ სტანდარტად შემოთავაზებულია, რომ წარმატებული ოჯახის არსებობის წინაპირობა ქალის მიერ მამაკაცზე უპრეტენზიო ზრუნვაა“.*

საქმე აიპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ ტელეკომპანია „იმედის“ არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტის წინააღმდეგ (2018 წელი)

სადავო სიუჟეტი შეეხებოდა მკვლელობას, რომლის მსხვერპლიც ახალგაზრდა გოგო იყო. მკვლელობის ბრალდებით მამაკაცი დააკავეს, რომლის ადვოკატი მკვლელობის მიზეზად ბრალდებულის მხრიდან ეჭვიანობას ასახელებდა და აცხადებდა, რომ: „საქმეში ფიგურირებს შავი BMW-ს მძღოლი, გარდაცვლილსა და შავ BMW-ს მძღოლს შორის, როგორც ირკვევა საქმიდან, იყო ინტიმური ურთიერთობა. ხალათით ვისთან იყო (მსხვერპლი), ეს არის გამოძიების დასადგენი და გასარკვევი“.

ქარტიის საბჭომ მიიჩნია, რომ ამ ინტერვიუს გამოყენება/გავრცელებით ჟურნალისტმა ხელი შეუწყო სტიგმის გაძლიერებას, რომ სხვა პირთან ინტიმური კავშირი შეიძლება იყოს მკვლელობის „გამამართლებელი“ არგუმენტი. გადაწყვეტილებაში საბჭომ მიუთითა სახელმძღვანელო წესებზე გენდერული საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად:

„ჟურნალისტმა ხელი არ უნდა შეუწყოს მსხვერპლის ისე წარმოჩენას, თითქოს ის აძლევდა საფუძველს და უბიძგებდა მოძალადეს დანაშაულის ჩადენისკენ. დანაშაულის მიზეზად „ეჭვიანობის ნიადაგის“ დასახელებით ჟურნალისტი „უნებურად მიანიშნებს იმაზე, რომ მსხვერპლი ქალი „არასწორად“ იქცეოდა, პროვოცირება გაუკეთა მოძალადეს და მისცა საფუძველი დანაშაულის ჩადენისა. გარდა იმისა, რომ არ არსებობს რაიმე ტიპის ქცევა, რაც გაამართლებს მოძალადის ქმედებას, საკანონმდებლო ბაზა დანაშაულის მოტივად არ სცნობს „ეჭვიანობის ნიადაგს“. არსებობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, დისკრიმინაცია, შურისძიება და ა.შ., რაც შესაძლებელია დანაშაულის საფუძველი იყოს, მაგრამ არა „ეჭვიანობს ნიადაგი“. [...] ფემიციდის გაშუქებისას ისე, როგორც ძალადობის სხვა ფორმებზე ყურადღების გამახვილებისას, არ უნდა მოხდეს იმის კვლევა, რა დააშავა ქალმა და რატომ მოკლეს ის. მნიშვნელოვანია არა მიზეზი, არამედ ფაქტი. ვერც ერთი მიზეზი ვერ გაამართლებს მკვლელობას“.

ამ გადაწყვეტილებაში საბჭომ ასევე აღნიშნა, რომ, ზოგადად, ინტერვიუს გავრცელება არ იყო აუცილებელი ამბის გაშუქებისათვის და ის არ წარმოადგენდა საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანს.

ზემოაღნიშნული საქმის მსგავსი **საქმეა *თამარ ჯანჯღავა ეკა ბარაბაძის წინააღმდეგ* (2015 წელი).** სადავო გახდა სტატია სათაურით – „როგორ აქცია ქალმა ქმარ-შვილი მკვლელებად და რა გახდა სასტიკი დანაშაულის მიზეზი“. სტატია ეხებოდა დანაშაულებს, კერძოდ ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის მცდელობის ფაქტს, და შვილის მიერ ნათესავის მკვლელობას. სტატიაში ჟურნალისტი და რესპონდენტები მოკლული ქალის მიერ დაუდასტურებელი სექსუალური კავშირის ფაქტს აფასებდნენ როგორც ქალის ბრალს ქმრის მიერ დანაშაულის ჩადენაში. სტატიაში აქცენტი გაკეთებული იყო არა დანაშაულზე, როგორც ანტისოციალურ ქმედებაზე, არამედ დაზარალებული ქალის ცხოვრების წესზე, რომელიც მხოლოდ ვარაუდებს ეყრდნობოდა.

„მიუხედავად იმისა, რომ ქალი მსხვერპლია, სტატიაში მითითებული გარემოებებით თითქოს ხდება მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამართლება, რაც ხელს უწყობს იმ დისკრიმინაციული სტიგმის გაძლიერებას, რომ ქალის სექსუალური ცხოვრების წესი შეიძლება ამართლებდეს მის მიმართ ჩადენილ დანაშაულს“.

საქმე აიპ *„საფარი მაია ასათიანის წინააღმდეგ“* (2017 წელი)

მაია ასათიანის საავტორო გადაცემა „პროფილში“ რესპონდენტის სტატუსით მოწვეული იყო მარიამი, 5 შვილის დედა, ყოფილი ჟურნალისტი, რომელიც თავს სექსსამუშაოთი ირჩენდა. სტუდიაში ასევე მოწვეული იყვნენ სტუმრები, რომლებიც აფასებდნენ რესპონდენტის მიერ შემოსავლის მიღებას სექსსამუშაოთი. საბჭომ აღნიშნა, რომ:

„პირის, რომელიც სექსუალური მომსახურებით იღებს შემოსავალს, გადაცემაში მოწვევა სტუდიის სტუმრების მიერ მისი საქციელის განსჯის/შეფასების მიზნით, უკვე დისკრიმინაციის წინაპირობაა. გადაცემის სტუმრები მას ეკითხებიან, როგორ არის შინაგანად, არის თუ არა მისთვის ეს საქმიანობა (სექსუალური მომსახურება) მორალურად ძნელი, ჰკიცხავენ, თუ რატომ ვერ ახერხებს უფრო „პატიოსანი“ გზით შემოსავლის მიღებას. ყველაფერი ეს კი ცალსახად მიუთითებს, რომ, როგორც წამყვანი, ისე მისი სტუმრები აპრიორი თვლიან, რომ სექსუალური მომსახურება არის „ამორალური“, „არაპატიოსანი“. რესპონდენტი და მისი საქმიანობა *გამოდის „მორალურ სამსჯავროზე“, მსგავსი სახით გადაცემის მომზადება და წარმართვა იწვევს არა მხოლოდ მოწვეული სტუმრის დისკრიმინაციას, არამედ იმ ჯგუფს, რომელიც ახორციელებს სექსუალურ მომსახურებას, წარმოაჩენს, როგორც „ამორალურს“ და „არაპატიოსანი საქმიანობით დაკავებულს“ და ახდენს მათ სტიგმატიზებას. [...]იმის გათვალისწინებით, რომ სექსმუშაკები ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან, ხშირია მათზე როგორც ფიზიკური, ისე მორალური ძალადობა, გარიყულნი არიან საზოგადოებიდან, ეთიკური ჟურნალისტიკის მიზნებისათვის დაუშვებელია, რომ ჟურნალისტი ახალისებდეს და ამყარებდეს მათ მიმართ სტიგმას.“*

საინტერესოა საბჭოს მსჯელობა **საქმეში – *WISG და EMC სოფო მთივლიშვილის წინააღმდეგ* (2017 წელი)**, სადაც სტიგმის გაძლიერება დაადგინა არა ჟურნალისტის ტექსტით, არამედ გადაცემის ვიზუალური მხარის საფუძველზე. სადავო სიუჟეტში სტუდიაში მოწვეული ტრანსგენდერი ქალები საუბრობდნენ. კადრებით აქცენტი კეთდებოდა იმ განმასხვავებელ ნიშნებზე (მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, ტანსაცმელი, მკვეთრი მაკიაჟი), რომლებიც საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებებით, შეუფერებელია ტრანსგენდერი ქალების ბიოლოგიური სქესისთვის. საბჭომ მიიჩნია, რომ:

> *„მსგავსი სახით გაშუქებამ გამოიწვია ტრანსგენდერი ქალების ეგზოტიკურ პირებად წარმოჩენა და მათ მიმართ სტიგმის გაძლიერება“ [...]. ჟურნალისტი ვალდებული იყო, რომ აქცენტი არ გაეკეთებინა გარეგნულ ნიშნებზე და ამით ხელი არ შეეწყო სექსუალური უმცირესობების განსხვავებულ და უჩვეულო პირებად წარმოჩენისათვის. სიუჟეტში ჟურნალისტი მაყურებელს ასევე აწვდის ინფორმაციას, რომ „მათი (ტრანსგენდერი ქალების) ერთადერთი შემოსავლის წყარო სხეულით ვაჭრობაა“. [...] ჯგუფის უხილავობის ფონზე, ამ კონკრეტული სიუჟეტით და ავტორის მიდგომებით, ტრანსგენდერი ადამიანების შესახებ საზოგადოებაში არსებული სტიგმა კიდევ უფრო ძლიერდება და ჯგუფის მარგინალიზებას უწყობს ხელს. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ პროსტიტუცია საქართველოში არ არის ლეგალური საქმიანობა. ჩვენს ქვეყანაში პროსტიტუცია წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რისთვისაც კანონით გათვალისწინებულია ჯარიმა. შესაბამისად, სიუჟეტში გამოთქმული ამგვარი დამოკიდებულება ამძაფრებს სტიგმას ტრანსგენდერი ქალების მიმართ.”*

9.7. ჟურნალისტის ქცევა პირდაპირი ეთერის დროს

როგორც აღინიშნა, მე-7 პრინციპი თავისი არსით ჟურნალისტს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ თავად ჟურნალისტი არ უნდა იყოს დისკრიმინაციის, სიძულვილის ენის წყარო და, ამასთან, ხელი არ უნდა შეუწყოს რესპონდენტების მიერ ამგვა-

რი გამოხატვის ტირაჟირებას. ეს ვალდებულება განსაკუთრებით ყურადღებით შესასრულებელია პირდაპირი ეთერის დროს. მაგალითად, საქმეში – ***აიპ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ მაკა რაზმაძის წინააღმდეგ* (2018 წელი) –** საბჭომ დაადგინა მაკა რაზმაძის მიერ მე-7 პრინციპის დარღვევა, ვინაიდან მისი რესპონდენტი, დავით ახრახაძე იყენებდა სიძულვილის ენას ლგბტქ პირების მიმართ. ამის მიუხედავად, მაკა რაზმაძეს არ ჰქონდა არავითარი რეაქცია რესპონდენტის მიერ ჰომოფობიური ტერმინის გამოყენებისას. არ გამიჯვნია და არ უჩვენებია აუდიტორიისათვის, რომ არ იზიარებს რესპონდენტის სიძულვილის ენას. საბჭომ აღნიშნა, რომ:

> *„რესპონდენტთა შერჩევისას აუცილებელია, წინასწარ იქნეს გათვალისწინებული, რამდენად მოსალოდნელია მათ მიერ დისკრიმინაციული მიდგომების ტირაჟირება და მაქსიმალურად თავი შეიკავოს მათი დისკრიმინაციული პოზიციების გასაჯაროების ხელშეწყობისაგან. თუ ასეთი პირების მოწვევა გარდაუვალი აუცილებლობაა (მაგალითად მონაწილეობენ ისეთ პროცესებში, რომელთა მიმართაც არის საზოგადოების ობიექტური ინტერესი და არ არსებობს სხვა ალტერნატიული და რელევანტური რესპონდენტი), ყველა ღონე იხმაროს, რომ მას საშუალება არ მიეცეს დისკრიმინაციის ტირაჟირებისათვის. ეს შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს როგორც შეზღუდული ქრონომეტრაჟით, ისე ცალსახა გამიჯვნით დისკრიმინაციისაგან, კითხვებით და გადაცემის დაგეგმვისას აქცენტი უნდა გაკეთდეს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებაზე და არა რესპონდენტთა დისკრიმინაციული პოზიციების გავრცელებაზე.“*

თუ როგორი უნდა იყოს წამყვანის ქცევა მაშინ, როცა მისი რესპონდენტი იყენებს სიძულვილის ენას, მითითებულია საქმეში – ***ტრანსგენდერ ქალთა ცენტრი არჩილ გამზარდიას წინააღმდეგ* (2018 წელი).** საქმის გარემოებების თანახმად, არჩილ გამზარდიას რესპონდენტებმა: გიორგი გიგაურმა და გია კორკოტაშვილმა გამოიყენეს სიძულვილის ენა და ჰომოფობიური შეფასებები ლგბტქ პირთა მიმართ. ამის პარალელურად წამყვანმა არჩილ გამზარდიამ: 1) როდესაც რესპონდენტმა ჰომოსექსუალობა „ავადმყოფობად“ მოიხსენია, მისცა შენიშვნა და შეახსენა, რომ ჯა-

ნდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჰომოსექსუალობა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციიდან ამოიღო; 2) ფეხბურთელ გურამ კაშიას მიერ ლგბტქ სამკლავურის გაკეთების შეფასებისას არჩილ გამზარდიამ თქვა, რომ ამ სამკლავურის გაკეთება არის წინააღმდეგობა ლგბტ პირების დისკრიმინაციის მიმართ და ამ მიზნით თავადაც გაიკეთებდა სამკლავურს. არჩილ გამზარდიას ეს ქმედებები საბჭომ შეაფასა ცხად და მკაფიო გამიჯვნად ჰომოფობიური განწყობების მქონე რესპონდენტებისგან, რითაც თავიდან აიცილა ქარტიის მე-7 პრინციპის დარღვევა. საბჭომ გადაწყვეტილებებში მიუთითა:

> *„თუ განცხადება (იგულისხმება დისკრიმინაციული/სიძულვილის ენის შემცველი განცხადება) კეთდება პირდაპირ ეთერში, ჟურნალისტმა მაშინვე ცხადად უნდა დააფიქსიროს, რომ დისკრიმინაციული ტერმინოლოგია/დამოკიდებულება არის მიუღებელი როგორც მისთვის, ისე მედიასაშუალებისათვის“. (ააიპ ,,ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ მაკა რაზმაძის წინააღმდეგ, 2018).*

10. მერვე პრინციპი

ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.

ქარტია ბავშვად მოიაზრებს ყველა პირს 18 წლის ასაკამდე. ხშირად არასრულწლოვნები სხვადასხვა გარემოების საფუძველზე ექცევიან საზოგადოებისა და მედიის ყურადღების ქვეშ და არის ხოლმე შემთხვევები, როცა არასრულწლოვნების შესახებ ინფო-

რმაცია ისე საჯაროვდება მედიასაშუალების მიერ, რომ ამის ობიექტური ინტერესი და საჭიროება არ არსებობს. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში არსებობს რისკი, რომ არასრულწლოვნების შესახებ გავრცელდეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ლახავდეს და მომავალშიც შელახოს მათი ინტერესი.

როგორც თავად პრინციპის შინაარსი, ისე ქარტიის საბჭოს პრაქტიკა მიუთითებს, რომ მე-8 პრინციპის კუთხით მნიშვნელოვანია, რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჟურნალისტური პროდუქტი აზიანებს არასრულწლოვნის ინტერესს და რას გულისხმობს მშობლის ან მეურვის თანხმობა.

10.1. მშობლის ან მეურვის თანხმობა

ქარტიის საბჭოს პრაქტიკის თანახმად, მშობლის ან მეურვის ფორმალური თანხმობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ჟურნალისტი გათავისუფლდეს ეთიკური პასუხისმგებლობისაგან არასრულწლოვანთან დაკავშირებული სიუჟეტების მომზადებისას. ქარტიის საბჭოს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა არასრულწლოვნის მშობელი არა მხოლოდ უშუალოდ სიუჟეტის მომზადების დროს ეთანხმებოდა ჟურნალისტის ქმედებას, არამედ საქმის განხილვის დროსაც გამოცხადდა საბჭოს სხდომაზე და მიიჩნევდა, რომ ჟურნალისტი არ არღვევდა მისი შვილის ინტერესებს. ასეთი საქმეა ***„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მარი მალაზონიას წინააღმდეგ* (2017 წელი)**. სადავო გადაცემაში მონაწილეობდა არასრულწლოვანი, რომლის ნახევრად შიშველი სხეული აჩვენეს კონკრეტულ დაავადებაზე საუბრისას.[10] საბჭომ აღნიშნა, რომ ბავშვთან დაკავშირებით არსებითია არა კანონიერი წარმომადგენლის ფორმალური თანხმობა, არამედ თავად ბავშვის ინტერესი.

> *„ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპებიდან გამომდინარე, ჟურნალისტის პოზიტიური ვალდებულებაა, იზრუნოს ბავშვის ინტერესზე. მშობლის თანხმობა არ უნდა ჩაითვალოს*

10 აღნიშნული საქმის ფაქტობრივი გარემოებები დეტალურად არის აღწერილი ქვეთავში – არასრულწლოვნის ინტერესი.

პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლად, როცა ლოგიკური განსჯის შედეგად ცალსახაა, რომ არ არსებობს არასრულწლოვნის პირადი ინტერესი და მეტიც, ხდება მისი პირადი ცხოვრების ხელყოფა. ცალსახაა, რომ ბავშვი ვერ აცნობიერებს მის გადაცემაში მონაწილეობის შედეგებს. შესაძლებელია, თავად მისთვის სახალისო და მოსაწონი იყოს ტელეეკრანზე გამოჩენა და იგივე მოტივი ამოძრავებდეს მშობელსაც, მაგრამ უნდა შეფასდეს, რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს მას ზრდასრულ ასაკში, [...] პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ქმედუნარიანი პირის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაა, ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს ბავშვი და ხშირად მშობლის ინტერესი და თანხმობა შეიძლება არ იყოს შესაბამისობაში ბავშვის ინტერესთან“.

ქარტიის საბჭომ მყარად ჩამოაყალიბა პრაქტიკა და მიდგომა მშობლის ან მეურვის როლთან დაკავშირებით – მათი თანხმობის მიუხედავად, პასუხისმგებლობას აკისრებს ჟურნალისტს. სწორედ მან უნდა შეაფასოს, დაცული იქნება თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესი ჟურნალისტურ პროდუქტში.

10.2. არასრულწლოვნის ინტერესი

არასრულწლოვნის ინტერესის დარღვევად საბჭო მიიჩნევს ისეთ შემთხვევებს, როცა გავრცელებულმა ინფორმაციამ იმ მომენტში ან მომავალში შესაძლოა, ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს არასრულწლოვანზე. ამ პრინციპისთვის მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ არასრულწლოვანი, მისი ასაკიდან გამომდინარე, ვერ იაზრებს გადაცემაში მონაწილეობის შედეგებს, მაგრამ უნდა შეფასდეს, რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს ამ ჟურნალისტური პროდუქტის მიმართ არასრულწლოვანს ზრდასრულ ასაკში, მეტიც, ხომ არ არსებობს ალბათობა, რომ ეს სიუჟეტი არა შორეულ, არამედ ახლო მომავალშიც შეუქმნის მას პრობლემებსა და დისკომფორტს, ხომ არ გამოიწვევს არასრულწლოვნის ბულინგს, დისკრიმინაციას ან სტიგმატიზებას.

საქმე „ბავშვებისა და ახალგაზრდობის კეთილდღეობისათვის

***საქართველოს კოალიცია“ გია ჯაჯანიძის და ხათუნა პაიჭაძის წინააღმდეგ* (2015 წელი)**

საბჭომ დაადგინა, რომ სიუჟეტში, რომელიც პანსიონში მცხოვრებ ბავშვებს ეხებოდა, ჟურნალისტი არასრულწლოვანს კითხვებს უსვამს მათთვის ტრაგიკულ მოვლენებზე, რითაც არაპირდაპირ აიძულებს მას, ისაუბროს ისეთ ფაქტებზე (დედასთან დაშორების შესახებ, გარემო პირობების იძულებით შეცვლაზე, მათ განცდებზე მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით), რომლებიც მათ ემოციურ ტანჯვას აყენებენ. საბჭო აღნიშნავს, რომ სიუჟეტში არ იყო გათვალისწინებული არასრულწლოვნების ინტერესები, მომავალში შესაძლო ნეგატიური შედეგები. მეტიც, არათუ მომავალში, საბჭოს აზრით, არსებობდა დიდი ალბათობა, რომ მსგავსი სახით გადაცემის მომზადებამ, ინტერვიუებმა და შემდგომ ეთერში გასვლამ უკვე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა სიუჟეტის გმირების ფსიქოლოგიურ-ემოციურ მდგომარეობაზე და ხელი შეუწყო მათ რეტრავმირებას.

საქმე *„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მარი მალაზონიას წინააღმდეგ* (2017 წელი)

სადავო გადაცემა შეეხებოდა D ვიტამინისა და კალციუმის ნაკლებობას ბავშვებში და შესაძლო ნეგატიურ შედეგებს. გადაცემაში მონაწილეობდა არასრულწლოვანი, რომლის ნახევრად შიშველი სხეული აჩვენეს კონკრეტულ დაავადებაზე საუბრისას. განმცხადებელი აპელირებდა, რომ „გადაცემის წამყვანმა ბავშვის სხეული გამოიყენა საჩვენებელ ობიექტად. შედეგად, მან ხელყო ბავშვის ღირსება, ხოლო მისი დეფორმირებული გულ-მკერდის ჩვენებით გაუმართლებლად შეიჭრა ბავშვის პირად ცხოვრებაში. ამასთან, გადაცემაში ნაჩვენები კადრები, შესაძლოა, გამხდარიყო ბავშვებს შორის ბულინგის საფუძველი სასწავლო დაწესებულებაში“. მოპასუხე ჟურნალისტმა მარი მალაზონიამ მიუთითა, რომ გადაცემაში ბავშვის მდგომარეობა არ იყო შეფასებული როგორც დაავადება, არ აღუნიშნავთ, რომ სწორედ ამ ბავშვს აქვს ე.წ. „ქათმის გულ-მკერდი“. ჟურნალისტმა ასევე მიუთითა, რომ მათ მხოლოდ პოზიტიური განზრახვა ამოძრავებდათ და სურდათ საზოგადოების ინფორმირება იმ ფართოდ გავრცელებულ და ნეგატიურ შედეგებზე, რასაც არასრულწლოვნებში კალციუმისა და D ვიტამინის ნაკლებობა იწვევს.

ქარტიის საბჭოს აზრით, მაყურებელს რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ დაავადება გადაცემაში მონაწილე არასრულწლოვანს აღენიშნებოდა, რის საფუძველზეც დაასკვნა, რომ დაირღვა ბავშვის ინტერესი, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, ბავშვი იყო თუ არა დაავადებული, ის ასეთად იყო წარმოჩენილი და აღქმული.

> *„დაავადების პრევენციის მიმართ შესაძლებელია არსებობდეს საზოგადოებრივი ინტერესი, მაგრამ ამან არ უნდა ხელყოს თავად ბავშვის ინტერესი. მისი სხეულის ჩვენება და აზრის შექმნა, რომ მას აქვს სხეულის დეფორმაცია, დიდი ალბათობით შეიძლება აღმოჩნდეს მისი ღირსების შემლახველი როგორც ახლო მომავალში, ისე ზრდასრულ ასაკში“.*

ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი ამ პრინციპის ჭრილში არის ე.წ. „საქველმოქმედო სიუჟეტები“, სადაც აღწერილია არასრულწლოვნების შეჭირვებული მდგომარეობა და საზოგადოების მიზანი მათთვის დახმარების მოწოდებაა. მიუხედავად ასეთი მიზნისა, ქარტიის საბჭო მიიჩნევს, რომ, ძირითადად, მსგავსი სიუჟეტებით ირღვევა ქარტიის მე-8 პრინციპი. ჟურნალისტმა თავისი პროფესიონალიზმით უნდა მოახერხოს სიუჟეტის მომზადება ისე, რომ, ერთი მხრივ, გამოიწვიოს საზოგადოების თანაგრძნობა, ხოლო, ამასთან, არ უნდა ხელყოს არასრულწლოვნის ინტერესები. ასეთი შემთხვევის მაგალითია **საქმე *აიპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ ტელეკომპანია „ობიექტივის“ არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტის წინააღმდეგ* (2018 წელი).** სიუჟეტი ეხებოდა მაშველ მანუჩარ მელიქიძის ტრაგედიას, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მძიმე ტრავმა მიიღო და საწოლს მიეჯაჭვა. სიუჟეტში ნაჩვენები იყვნენ მისი არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც კამერის წინ თავად ჰყვებოდნენ თავიანთი მძიმე სოციალური მდგომარეობის შესახებ. სიუჟეტში სრულად იდენტიფიცირებული იყო (ვიზუალი, სახელი/გვარი, საცხოვრებელი ადგილი) ორივე არასრულწლოვანი, მათი მძიმე სოციალური ყოფა, ასევე ნაჩვენები იყო მათი განცდები, თუ როგორი მძიმე სოციალური მდგომარეობა/გაჭირვება აქვთ.

> *„ქარტიის საბჭო მიიჩნევს, რომ ჟურნალისტის მიზანი იყო, გამოეწვია საზოგადოების თანაგრძნობა შეჭირვებული არა-*

სრულწლოვნების მიმართ შემდგომი დახმარების იმედით. მიუხედავად ამისა, საბჭო ეთიკურად ვერ შეაფასებს ამ სახით ბავშვებზე სიუჟეტის მომზადებას, რადგან ბავშვთა საკითხების გაშუქება განსაკუთრებულ სიფრთხილეს და პასუხისმგებლობას გულისხმობს, ჟურნალისტს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, შეაფასოს თუ რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ამ სიუჟეტმა ბავშვებზე, მისი გავრცელების შემდეგ. (...) ჟურნალისტმა უნდა შეაფასოს, სიუჟეტი ხომ არ გამოიწვევს ბავშვის სტიგმატიზებას, ხომ არ გახდება დაცინვის ობიექტი თუნდაც თანატოლებისგან. საბჭო იზიარებს განმცხადებლის პოზიციას, რომ „ადვილი შესაძლებელია, მათი (ბავშვების) მდგომარეობა განხილვის საგანი გახდეს სკოლასა თუ მათთვის ნაცნობ სხვა გარემოში როგორც უფროსების, ისე თანატოლების მხრიდან, რაც აღნიშნულ საკითხზე კომუნიკაციისას ბავშვებისთვის განმეორებითი ტრავმისა და სტრესის მუდმივობის საფუძველს ქმნის“. სიუჟეტში არასრულწლოვნები გამოყენებულნი იყვნენ ემოციების გასამძაფრებელ ობიექტად, ამ კონტექსტში ბავშვის ჩვენება არ ემსახურებოდა მის საუკეთესო ინტერესს“.

ქარტიის საბჭო ასევე განსაკუთრებული ყურადღებით აფასებს, რამდენად გააზრებული აქვს ჟურნალისტს ის შედეგი, რაც მასალის გამოქვეყნებას შეიძლება მოჰყვეს და ხომ არ შეექმნება საფრთხე არასრულწლოვანს.

საქმე *ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა დიტო ჩუბინიძის წინააღმდეგ* (2017 წელი)

ამ საქმეში დადგინდა, რომ ქალაქ ხობის სსიპ №2 საჯარო სკოლის უფროსკლასელებმა საკუთარი ინიციატივით შეადგინეს ტექსტი და ჩაწერეს ვიდეო, რომელშიც ისინი მხარს უჭერდნენ ადამიანებს შორის თანასწორობის იდეას. აღნიშნულ ფაქტზე „ასავალ-დასავალმა“ მოამზადა სტატია, სადაც ჟურნალისტი თანასწორობის შესახებ ვიდეორგოლს მოიხსენიებს „ლგბტ კლიპად“. სტატია შეიცავდა კლიპში მონაწილე არასრულწლოვანთა ფოტოებს, სახელსა და გვარს და ისინი გამოყვანილი იყვნენ „მორალურ“ სამსჯავროზე. მასალა მიზნად ისახავდა ფოტოებზე გამოსახული

არასრულწლოვნების, როგორც თანასწორობის იდეის მქონე პირთა, მიმართაც აგრესიის გაღვივებას.

სხდომის მიმდინარეობისას დამსწრე მოსწავლეებმა დაუდასტურეს საბჭოს, რომ მათმა იდენტიფიცირებამ ნეგატიური შედეგი მოიტანა, სოციუმში (მეზობლებისგან, ნათესავებისაგან) იქცნენ კრიტიკის ობიექტად და მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ამ ფაქტმა უარყოფითად იმოქმედა. საბჭომ აღნიშნა, რომ მერვე პრინციპი უხეშად იყო დარღვეული, ვინაიდან:

> *„ჟურნალისტმა არა თუ დაიცვა არასრულწლოვანთა ინტერესები, არამედ ყველა პირობა შექმნა (არასწორი ინფორმაციის შემცველ, დისკრიმინაციულ სტატიაში ბავშვთა ფოტოების გამოქვეყნება და მათი იდენტიფიცირება), რომ შელახულიყო ბავშვთა საუკეთესო ინტერესი და მათ მიეღოთ ფსიქოლოგიურ-ემოციური ტრავმა.“*

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვნის ინტერესი დაცულ იქნეს, როცა ის რამე სახით ფიგურირებს მისი ან ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებულ ძალადობის ფაქტში, ან თავად არის ეჭვმიტანილი დანაშაულებრივ ქმედებაში.

საქმე *პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის ნატა ტაბიძის წინააღმდეგ* (2017 წელი)

სადავო სიუჟეტი ეხებოდა არასრულწლოვნებს შორის ბულინგის პრობლემას. საკითხი გაშუქდა ერთი კონკრეტული ტრაგიკული შემთხვევის – არასრულწლოვნის თვითმკვლელობის – მაგალითზე: არსებობდა მოსაზრება/ვარაუდი, რომ ის თვითმკვლელობამდე სხვა თანატოლის მიერ განხორციელებულმა ბულინგმა მიიყვანა, თუმცა ეს ფაქტი დადასტურებული არ იყო. ამასთან, გადაცემაში გადმოცემული ინფორმაციით, სავარაუდო ბულინგის განმახორციელებელი არასრულწლოვანი იდენტიფიცირებადი იყო.

> *„არასრულწლოვანი აღქმულია მოძალადედ, რომელსაც ბრალი მიუძღვის სხვა არასრულწლოვანის თვითმკვლელობამდე მიყვანაში. ეს რეალურად საფრთხეს უქმნის მას და თვალნათელია შესაძლო ნეგატიური შედეგები. მეტიც,*

როგორც სიუჟეტი, ისე სიუჟეტზე გამოხმაურებები შეიცავენ მუქარებს ამ არასრულწლოვანის მიმართ, შესაბამისად, ცალსახაა, რომ სიუჟეტის მომზადებისას არ იქნა გათვალისწინებული არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები“.

ქარტიის საბჭო თავის გადაწყვეტილებაში ასევე უთითებს ჟურნალისტის ვალდებულებაზე, რომ არასრულწლოვანი დაიცვას მავნე ზეგავლენისაგან.

საქმე *„სუიციდის პრევენციის ასოციაცია“ მარიჯა გოცირიძის წინააღმდეგ* (2018 წელი)

სადავო სიუჟეტი ეხებოდა ახალ ინტერნეტთამაშს. ჟურნალისტი აღნიშნავდა, რომ თამაში, რომელშიც, ძირითადად, არასრულწლოვნები არიან ჩართულნი, სახიფათოა, ვინაიდან ამ თამაშით მოსარგებლეებს შორის „არის რამდენიმე შემთხვევა სუიციდისა“. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტი თავად აცხადებდა და ადასტურებდა, თუ რა საშიშია ახალი ინტერნეტთამაში, სიუჟეტი შეიცავდა თითქმის სრულ ინფორმაციას თამაშის შესახებ. მითითებული იყო თამაშის პრინციპები, ახსნილი, როგორ არის შესაძლებელი კავშირის დამყარება. სიუჟეტში ჩანდა ის ნომერიც, რომელზე დარეკვითაც შესაძლებელი იყო ინტერნეტთამაშში ჩართვა. ქარტიის საბჭომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ:

„არასრულწლოვნები მათი ასაკიდან გამომდინარე საზოგადოების მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან და მათ შესახებ ან მათთვის მისაწოდებელი ინფორმაცია განსაკუთრებული სიფრთხილით შერჩევას მოითხოვს, რათა ჟურნალისტურმა პროდუქტმა არ გამოიწვიოს არასრულწლოვანთა ინტერესების შელახვა ან მათი მომავლისათვის საფრთხის შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ჟურნალისტის მიერ სრულად მოხდა საშიში ინტერნეტთამაშის იდენტიფიცირება, დაირღვა ქარტიის მე-8 პრინციპი. კერძოდ, სიუჟეტით არასრულწლოვანებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ის ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია ინტერნეტთამაშში ჩართვა და ეს კი თავის მხრივ საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს მათთვის. რა თქმა უნდა, ჟურნალისტის მოვალეობაა, გააშუქოს ისეთი ამბები, რომელთა

მიმართაც არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, მოამზადოს სიუჟეტები არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ პოტენციურ საფრთხეებზე, მათი იდენტიფიცირებისა და პრევენციის მიზნით, მაგრამ ამ პროცესში თავად ჟურნალისტური პროდუქტი არ უნდა იქცეს იმ ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც არასრულწლოვანი შეიძლება გახდეს უფრო მოწყვლადი ან/და ამ კონკრეტულ შემთხვევაში – ჩაებას საშიშ თამაშში“.

არასრულწლოვნის ინტერესთან დაკავშირებით საბჭოს პრაქტიკით გამოიკვეთა, რომ ჟურნალისტური პროდუქტი არ უნდა ქმნიდეს ალბათობას, მოხდეს არასრულწლოვნის რეტრავმირება, მისი ნეგატიური ემოციური მდგომარეობის გაძლიერება, არ უნდა იწვევდეს არასრულწლოვნის სტიგმატიზებას ან/და დისკრიმინაციის საფრთხეს, დაცული უნდა იქნეს არასრულწლოვანი მავნე ზეგავლენისაგან. სიუჟეტი ასევე უნდა შეფასდეს შორეული პერსპექტივიდანაც, მას შემდეგ, რაც სიუჟეტში მონაწილე მიაღწევს სრულწლოვანების ასაკს, რამდენად იქნება მისთვის მისაღები სიუჟეტის ასეთის სახით არსებობა/მომზადება ან სიუჟეტთან მისი ასოცირება. გასათვალისწინებელია, რომ ზუსტად თავისი ასაკიდან გამომდინარე, არასრულწლოვანი ვერ აანალიზებს ჟურნალისტური პროდუქტის და მისი ინტერესების შესაბამისობას, ამდენად, ასეთი ანალიზის ტვირთი ჟურნალისტზე მოდის. ქარტიის პრაქტიკა აჩვენებს, რომ არასრულწლოვნის ინტერესის დაცვა თითოეულ შემთხვევაში სხვადასხვა შეიძლება იყოს და არ არსებობს მისი უნივერსალური განმარტება. შესაბამისად, საბჭოც თითოეულ საქმეს ინდივიდუალურად უდგება და აფასებს, მასალის მომზადების დროს რამდენად იყო გათვალისწინებული ბავშვის ინტერესი.

მე-8 პრინციპთან დაკავშირებით ქარტიის საბჭოს პრაქტიკის შესაბამისი რეკომენდაციები მოცემულია დანართ N2 ში: „ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო“.

11. მეცხრე პრინციპი

სარედაქციო მასალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებული მასალებისაგან.

სარედაქციო მასალების გამიჯვნა კომერციული ინტერესების მქონე მასალისგან აქტუალური პრობლემაა მედიაში. ხშირ შემთხვევაში მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ ატარებს სტანდარტული სარეკლამო მასალის ნიშნებს, მაგრამ შესაძლებელია, რომ მასალა შექმნილი იყოს დამკვეთის მიერ გადახდილი საფასურის სანაცვლოდ. ამასთან, რთულია დადასტურდეს, რომ მედიაპროდუქტი ატარებდა კომერციულ ხასიათს, რასაც ადასტურებს ქარტიის პრაქტიკაც. მიუხედავად რამდენიმე განცხადებისა, სადაც მხარეები მე-9 პრინციპს დარღვეულად მიიჩნევდნენ, მხოლოდ ერთ შემთხვევაში დადგინდა დარღვევა და ამ საქმეშიც თავად ჟურნალისტმა დაადასტურა, რომ ჟურნალისტური პროდუქტი მომზადდა როგორც სარეკლამო მასალა.

საქმე *ვასილ ცინაძე თამთა ონოფრიშვილის წინააღმდეგ* (2018 წელი)

ვებსაიტზე – primetime.ge – გამოქვეყნდა სტატია სათაურით – „QNET ლეგალური ბიზნესია და ფინანსურ პირამიდასთან მას არანაირი კავშირი არ აქვს“. სადავო ჟურნალისტური პროდუქტი, ძირითადად, მოიცავდა ქსელური მარკეტინგის კომპანია „QNET“-ის დირექტორის, ტიმ ჰარნის და ამავე კომპანიის ოპერაციების უფროსის დსთ-ის სივრცეში, ბატირ კომურზოევის შეფასებებს „QNET“-ის საქმიანობასთან დაკავშირებით, სადაც ისინი დადებითად აფასებენ მათი კომპანიის მოღვაწეობას. ამასთან, სტატია არ შეიცავდა ინფორმაციას, თუ რა პრეტენზიები აქვთ მომხმარებლებს აღნიშნული კომპანიის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს მასშტაბით „QNET“-ს არაერთი უკმაყოფილო მომხმარებელი ჰყავს, ანუ სტატია მიმართული იყო QNET-ის დადებით კონტექსტში წარმოჩენისკენ. თავად ჟურნალისტმა აღიარა, რომ სტატია დაფინანსებული იყო. ამ აღიარების გარეშე მე-9 პრინციპის დარღვევა ვერ დადგინდებოდა, ვინაიდან საბჭოს არ ჰქონდა მტკიცებულებები,

რომ ჟურნალისტური მასალა თანხის სანაცვლოდ გამოქვეყნდა. მტკიცების ტვირთის ჭრილში მე-9 პრინციპი ანალოგიურია მე-2 პრინციპისა – ორივე შემთხვევაში გარემოებების დადგენა დამოკიდებულია თავად ჟურნალისტზე ან პროცესში უშუალოდ მონაწილე სხვა პირზე.

ქარტიის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, მე-9 პრინციპის კუთხით, პრეცედენტული საქმეა ***გიორგი მოსიაშვილი მაია მამულაშვილის წინააღმდეგ* (2015 წელი).** მართალია, ამ საქმეში არ დადგინდა ქარტიის მე-9 პრინციპის დარღვევა, მაგრამ გადაწყვეტილება შეიცავს მნიშვნელოვან განმარტებებს პრინციპთან დაკავშირებით.

საქმის მასალების მიხედვით, ვებსაიტ www.knews.ge-ზე (R) ნიშნით გამოქვეყნდა მასალა: **„ბიზნესმენი შოთა დემინაშვილი „კანონიერი ქურდის“ მკვლელობასთან მისი შვილის კავშირს კატეგორიულად გამორიცხავს“.** მოპასუხე ჟურნალისტმა დაადასტურა, რომ აღნიშნული მასალის გამოქვეყნება ატარებდა ფინანსურ ინტერესს და, შესაბამისად, სტატიაზე მიუთითა ნიშანი (R). ასეთი ფორმალობის დაცვის გამო ქარტიის საბჭოს მიერ არ დადგინდა ქარტიის მე-9 პრინციპის დარღვევა, თუმცა საბჭო გადაწყვეტილებაში აღნიშნავს:

> *„რეკომენდაციის სახით საბჭო მიუთითებს, რომ ეთიკური პრინციპების დაცვისათვის მიზანშეწონილია, მედიასაშუალებამ თავი შეიკავოს საფასურის სანაცვლოდ ისეთი მასალის გამოქვეყნებისაგან, რომელიც არ წარმოადგენს პირდაპირ სარეკლამო/სასპონსორო*[11] *ინფორმაციას და მასში*

11 გადაწყვეტილებაში მითითებულია რეკლამისა და სპონსორების კანონისმიერი განმარტება, კერძოდ: **რეკლამა** – საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში – საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას. **სპონსორობა** – ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობაში წვლილის შეტანა (ფულადი სახსრების, ქონების, ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგების, მომსახურების გაწევისა და გაწეული მომსახურების, სამუშაოს შესრულების სახით) სპონსორის მიერ წარმოებული საქონლის რეკლამის გავრცელების პირობით.

ხდება კონკრეტულ ფაქტებზე ან პირებზე მითითება, ვინაიდან ასეთი მასალა ყველაზე მეტად ჰგავს ჟურნალისტურ პროდუქტს და ამასთან არსებობს იმის ალბათობა, რომ მასალაში ფაქტები არ იყოს ზუსტი, შეიცავდეს ცილისმწამებლურ განცხადებებს და ა.შ.

თუ, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მედიასაშუალება გადაწყვეტს, საფასურის სანაცვლოდ გამოაქვეყნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც თავისი არსით არ წარმოადგენს წმინდა სახის სარეკლამო/სასპონსორო მასალას, მან უნდა უზრუნველყოს, რომ ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი იყოს მითითება იმის შესახებ, რომ მასალაზე არ ვრცელდება სარედაქციო პასუხისმგებლობა. მკითხველს/მსმენელს აქვს მოლოდინი, რომ მედიასაშუალებით გამოქვეყნებული მასალის შინაარსი ასახავს ავტორი ჟურნალისტის ძალისხმევას, რომ გაევრცელებინა სწორი და გადამოწმებული ინფორმაცია და თუ გამოქვეყნებული მასალა გადახდილი საფასურის სანაცვლოდ ატარებს სხვა პირის ინტერესს, ამის შესახებ ცალსახად და ვრცლად უნდა იყოს ხაზგასმული, კერძოდ მითითებული უნდა იყოს, რომ ინფორმაციაზე არ ვრცელდება სარედაქციო პასუხისმგებლობა და უნდა აღინიშნოს, ვის მიერ დაფინანსდა მასალის გამოქვეყნება.

საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, მედიასაშუალება ვალდებულია, აუდიტორიას ცხადად მიაწოდოს ინფორმაცია საფასურის სანაცვლოდ გამოქვეყნებული მასალის შესახებ; აუდიტორიისათვის ცხადი გახადოს, მისთვის შეთავაზებული ჟურნალისტური პროდუქტის უკან დგას თუ არა სხვა პირის კომერციული ინტერესი.

გამიჯვნის სტანდარტი, რომელიც შემუშავდა ქარტიის საბჭოს და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე, მოცემულია დანართ N 3 ში: „სარეკლამო და სარედაქციო მასალების გამიჯვნა, სახელმძღვანელო წესები“

12. მეათე პრინციპი

ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.

ქარტიის მე-10 პრინციპი ერთ-ერთია იმ პრინციპთაგან, რომლებიც ერთმანეთთან აპირისპირებს საზოგადოების წევრების უფლებებს, ერთი მხრივ, დაცული იყოს მათი პირადი ცხოვრება, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფილ იქნეს მათ მიერ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება. ქარტიის საბჭო ამ შემთხვევაში წყალგამყოფად მიიჩნევს სწორედ საზოგადოებრივ ინტერესს, კერძოდ, შესაძლებელია, პირის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია გახდეს საჯარო, თუ ეს ინფორმაცია ემსახურება საზოგადოების ინტერესს.

მე-10 პრინციპზე პრეცედენტული გადაწყვეტილება იქნა მიღებული საქმეში – ***განმცხადებელთა ჯგუფი გიორგი გვიმრაძის და ირინა დეკანოიძის წინააღმდეგ* (2017 წელი) –** მკაფიოდ გაიმიჯნა საჯარო ინტერესი და ცნობისმოყვარეობა. გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია ის საფრთხეები, რომლებიც შეიძლება თან ახლდეს პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელ ჩარევას.

ამ საქმეში სადავო მასალა იყო ვიდეო, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდზე განთავსდა და აღწერს, თუ როგორ აყენებს შეურაცხყოფას პოეტი ზვიად რატიანი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს. აღნიშნული ფაქტის საფუძველზე ზვიად რატიანი დააკავეს.

საბჭოს სადავოდ არ გაუხდია, რომ ე.წ „რატიანის საქმე“ მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს ატარებდა. ვიდეომასალა დაკავშირებული იყო სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტთან, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, შესაბამისად, თავად დაკავების მიმართ, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა, მაგრამ საბჭომ ასევე იმსჯელა, უშუალოდ გავრცელებული ვიდეომასალის მიმართ არსებობდა თუ არა განსაკუთრებული და

ობიექტური საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც გაამართლებდა მის გასაჯაროებას.

> *„საზოგადოებრივი ინტერესი შეფასების საგანია. „ინტერესი“ არ ნიშნავს რომელიმე პირის სუბიექტურ სურვილს, რომ იხილოს სხვა პირის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალა, არამედ ობიექტურად უნდა დადგინდეს, რამდენად იყო საზოგადოებისათვის აუცილებელი ვიდეომასალის ნახვა, რათა მიეღო ისეთი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებას ზვიად რატიანის დაკავების ფაქტზე სრულ სურათს შეუქმნიდა“.*

საბჭოს სადავოდ არ გაუხდია, რომ საზოგადოებაში იმ მომენტისთვის არსებობდა პასუხგაუცემელი კითხვები: ვინ დაიწყო კონფლიქტი? გადაამეტა თუ არა პოლიციამ უფლებამოსილებას? როგორ ექცეოდნენ რატიანს პოლიციელები რამდენიმე საათის განმავლობაში? ხომ არ იძალადეს პოლიციელებმა? და ა.შ. საბჭოს შეფასებით კი, გავრცელებული ვიდეოდან ეს და სხვა მნიშვნელოვანი კითხვები პასუხგაუცემელი დარჩა. ვიდეოდან საზოგადოებამ მხოლოდ ის გაიგო, რომ „მთვრალი რატიანი პოლიციას აგინებდა“. ეს ინფორმაცია თავად ზვიად რატიანმა არაერთხელ საჯაროდ დაადასტურა, მათ შორის სასამართლო პროცესზეც და ეს აღიარება საჯაროდ, სხვადასხვა წყაროს მიერ გავრცელდა. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ ვიდეომასალის გასაჯაროებით საზოგადოებას საქმის გარემოებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ახალი ინფორმაცია არ მიუღია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია, რომ *„საზოგადოების ემოციებზე ზემოქმედებისა და შსს-ს რეპუტაციის გაკეთილშობილების გარდა, ვიდეომასალის გავრცელებას არ გააჩნდა არავითარი ობიექტური მიზანი ანდა საფუძველი“.*

ამავე გადაწყვეტილებაში საბჭომ გამოაქვეყნა ზოგადი რეკომენდაცია პირადი ცხოვრების შემცველი ინფორმაციის გასაჯაროების შესახებ.

> *„პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი ფართო ცნებაა და არ გააჩნია ზუსტი განმარტება. თუმცა პირად ცხოვრებაში ცალსახად შედის ის მომენტები, რაც ზვიად*

რატიანის ვიდეოჩანაწერში ჩანს. მაგალითად, პირადი რეპუტაციის დამაზიანებელი მასალების ჩვენება. ამ შემთხვევაში ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ რატიანის არაფხიზელ, როგორც თავად სასამართლოში აღნიშნა, მისთვის მიუღებელ სიტუაციაში ჩვენება. ასევე ვიდეოში ისმის ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის (კონკრეტული სამედიცინო ჩვენების) შესახებ. რაც ასევე მკაცრად დაცული პირადი ინფორმაციაა (...). საერთაშორისო პრაქტიკა ასეთ შემთხვევაში აუცილებლად მიიჩნევს, ჟურნალისტებმა კარგად გაიაზრონ ის საზოგადოებრივი სიკეთე, რომელსაც მსგავსი მასალების გასაჯაროება ემსახურება, ჟურნალისტები უნდა დარწმუნდნენ, რომ ვიდეოს გავრცელება საზოგადოებისთვის მეტ სიკეთეს მოიტანს და ამიტომაც ღირს კონკრეტული ინდივიდისთვის ზიანის მიყენება.

ორი დათქმა შეიძლება არსებობდეს პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების დროს: 1. პირის თანხმობა მის გამოქვეყნებაზე, ან 2. დეტალური დასაბუთება, თუ რატომ ხდება პირადი ინფორმაციის გასაჯაროება. რატიანის შემთხვევაში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ვერც ერთი ეს მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილა. არ ჩანდა ზემოთქმულიდან რომელიმე დათქმის გათვალისწინების მცდელობაც.

თუ მედია მაინც გადაწყვეტს ამგვარი ინფორმაციის გასაჯაროებას, საერთაშორისო პრაქტიკა რამდენიმე ტესტს აწესებს – პირადი ცხოვრების გასაჯაროება უნდა ემსახურებოდეს საჯარო სახსრების არასათანადოდ გამოყენებას, თანამდებობის პირების მხილებას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებს, საარსებო გარემოს შესახებ ინფორმაციას, ეროვნული უსაფრთხოების დაცვას, მნიშვნელოვანი დანაშაულის სააშკარაოზე გამოტანას და ა.შ. თუმცა, შეუძლებელია, ეს ჩამონათვალი ამომწურავი იყოს და მედიამ ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან რატიანის ვიდეოს ჩვენება შეიძლება მხოლოდ ბოლო ტესტს, დანაშაულის მხილებას მივუსადაგოთ, მაგრამ გაგვიჭირდება იმ არგუმენტების მოძიება, თუ რატომ იყო აუცილებელი ამ ვიდე-

ოს გამოქვეყნება რატიანის „დანაშაულში“ მხილებისთვის მაშინ, როცა მის მიერ, სავარაუდოდ, ჩადენილი დანაშაული არ განეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, მისი საქმე ადმინისტრაციული წესით იხილება და საბოლოო დადასტურების შემთხვევაშიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი არ არის. თანაც იმ ფონზე, როცა ვიდეოს გამოქვეყნებამდე რატიანს უკვე „აღიარებული“ ჰქონდა, რომ პოლიციას წინააღმდეგობას უწევდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. შესაბამისად, მისი ამსახველი კადრების გამოქვეყნება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი დანაშაულის მხილებას არ ემსახურებოდა.

საბჭოს ზოგადი რეკომენდაციაა, რომ მედიასაშუალებებმა ყველა მსგავსი შემთხვევისას ინდივიდუალურად განიხილონ გამოქვეყნების მაპროვოცირებელი და ხელშემშლელი გარემოებები, დეტალურად გაიაზრონ, გამოქვეყნებით დაკმაყოფილებული საჯარო ინტერესი გადაწონის თუ არა პირისთვის მიყენებულ ზიანს. საბჭო მიიჩნევს, რომ მედიასაშუალებებმა ყველა ასეთი შემთხვევის დროს საჯაროდ უნდა ახსნან, აუდიტორიას შეატყობინონ დასაბუთება, რატომ გადაწყვიტეს პირადი ცხოვრების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის გასაჯაროება“.

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში ცალსახად ჩანს საბჭოს მიდგომა, თუ როდის და როგორ თვლის დასაბუთებულად პირის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას.

ქარტიის მეათე პრინციპის დარღვევაზე – თუ რა შემთხვევაში ირღვევა პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და რა უნდა გაითვალისწინონ ჟურნალისტებმა – ამ თემებზე მუშაობისას საბჭომ კიდევ არაერთ გადაწყვეტილებაში იმსჯელა.

საქმე *ააიპ „მომავლის სოფელი“ მაია ასათიანის წინააღმდეგ* (2016 წელი)

გადაცემა ეხებოდა სტალინის კულტს, მის პატივისცემას საზოგადოების ნაწილის მიერ. როგორც წამყვანის მიერ დასმული კითხვების, ისე რესპონდენტების პასუხით მაყურებლისათვის იქ-

მნებოდა შთაბეჭდილება, რომ ერთ-ერთ რესპონდენტს ჰქონდა ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ გარკვეული სახის პრობლემები. საბჭოს მიაჩნია, რომ პირის ჯანმრთელობის შესახებ დადასტურებული ან სავარაუდო ინფორმაციის გავრცელება იწვევს ქარტიის მე-10 პრინციპის დარღვევას, რადგან არ არსებობდა საზოგადოებრივი ინტერესი ამ რესპონდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართ.

საქმე *„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მარიამ გაფრინდაშვილის წინააღმდეგ* (2018 წელი)

სიუჟეტი ეხებოდა ბარნოვის ქუჩაზე მოკლული ქალის საქმეს. სიუჟეტის თანახმად, სასამართლო პროცესის დროს სასამართლოს დერეფანში ერთმანეთს მოკლულის დედა და ბრალდებულის შვილი დაუპირისპირდნენ. სიუჟეტში ნაჩვენები იყო დაპირისპირების დეტალები, შეურაცხმყოფელი გამონათქვამები ერთმანეთის მიმართ, ემოციები (ტირილი და ა.შ.). საბჭოს პოზიციით, ეს ინფორმაცია არ წარმოადგენდა საზოგადოების ობიექტური ინტერესის საგანს და აუდიტორიას არ აწვდიდა არავითარ დამატებით ინფორმაციას დანაშაულის ან მასში მონაწილე პირების შესახებ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია, რომ სასამართლოს დერეფანში მომხდარი დაპირისპირების გასაჯაროებით მოხდა ინციდენტში მონაწილე პირების პირად ცხოვრებაში არაგონივრული შეჭრა და, შესაბამისად, მე-10 პრინციპის დარღვევა.

საქმე *აიპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ ტელეკომპანია „იმედის“ არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტის წინააღმდეგ (2018 წელი)*

სადავო სიუჟეტი ეხებოდა ახალგაზრდა გოგოს მკვლელობას. სიუჟეტში მკვლელობაში ბრალდებული მამაკაცის ადვოკატი მკვლელობის მიზეზად ბრალდებულის მხრიდან ეჭვიანობას ასახელებდა და აზუსტებდა – „საქმეში ფიგურირებს შავი BMW-ს მძღოლი. გარდაცვლილსა და შავი BMW-ს მძღოლს შორის, როგორც ირკვევა საქმიდან, იყო ინტიმური ურთიერთობა. „ხალათით ვისთან იყო (მსხვერპლი), ეს არის გამოძიების დასადგენი და გასარკვევი“. ქარტიის საბჭო მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ გავრცელებული

ინფორმაცია არ იყო საზოგადოების ობიექტური ინტერესის საგანი, პირიქით, ადვოკატი ხელს უწყობდა სტიგმის გაძლიერებას, რომ სხვა პირთან ინტიმური კავშირი შეიძლება იყოს მკვლელობის „გამამართლებელი“ არგუმენტი. სიუჟეტი ასევე შეიცავდა მსხვერპლის მეზობლებთან ინტერვიუებს, რომლებიც საუბრობენ გარდაცვლილის პირადი ცხოვრების დეტალებზე: რომ დილის 5 საათზე გავიდა შეყვარებულის სანახავად, რასაც ასევე მოსდევს რესპონდენტის მიერ მსხვერპლის ოჯახის გაკიცხვა, რატომ დართეს 5 საათზე გარეთ გასვლის უფლება.

> *„ქარტიის საბჭომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება პირის პირადი ცხოვრების დეტალების გასაჯაროება, თუ ამ ინფორმაციის მიმართ არსებობს საზოგადოების ობიექტური ინტერესი, რაც ცნობისმოყვარეობას არ გულისხმობს. როგორც ადვოკატის, ისე მეზობლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა მსხვერპლის პირად ცხოვრებას, არ იძლეოდა დანაშაულის შესახებ მნიშვნელოვან დეტალებს, ატარებდა მხოლოდ სპეკულაციურ ხასიათს და აძლიერებდა სტიგმას. შესაბამისად, ქარტიის საბჭო მიიჩნევს, რომ დაირღვა ქარტიის მე-10 პრინციპი“.*

ქარტიის საბჭოს პრაქტიკაში ასევე პრეცედენტულია საქმე ***სალომე ბელქანია ნოდარ მელაძის წინააღმდეგ*** **(2018 წელი).** ამ საქმეში არ დადგენილა მე-10 პრინციპის დარღვევა, მაგრამ მნიშვნელოვანია საბჭოს არგუმენტაცია, თუ რის საფუძველზე მიიჩნია პირად ცხოვრებაში შეჭრა ლეგიტიმურად

საქმე ეხებოდა ტყიბულის შახტში მომხდარ უბედურ შემთხვევას, რომელსაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. კადრები ასახავდა ერთ-ერთი გარდაცვლილის დის მძიმე ემოციურ მდგომარეობას, პირად განცდებს. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ სიუჟეტით გარდაცვლილი პირის ნათესავის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაირღვა, ვინაიდან „რუსთავი 2-ის“ მასალა ემსახურებოდა შოუს დადგმას და რეიტინგზე ზრუნვას და არა პრობლემის წარმოჩენას. მისი აზრით, ჭირისუფლის პირადი ემოციების ნაცვლად ყურადღება უნდა გამახვილებულიყო შრომითი უფლებების დაცვასა და სამუშაო პირობების უსაფრთხოებაზე.

საბჭომ თქვა, რომ, მართალია, სიუჟეტი ასახავდა პირის ტრაგედიას და მის მძიმე ემოციურ განცდებს, თუმცა უნდა შეფასდეს, რამდენად არსებობდა საზოგადოების ობიექტური ინტერესი, რომელსაც შეეძლო გადაეწონა პირად ცხოვრებაში შეჭრა. საბჭომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- ***„მოვლენის მნიშვნელობა*** *– სიუჟეტი ეხებოდა ქვეყანაში არსებულ სერიოზულ პრობლემას, კერძოდ შრომით ადგილებზე დასაქმებულების გარდაცვალების გახშირებულ ფაქტებს. განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს საკითხი ტყიბულში, სადაც თითქმის ყოველ წელს საწარმოო პროცესში იღუპებიან დასაქმებულები. აღნიშნულ პრობლემაზე სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ არაერთი ჟურნალისტური პროდუქტის მომზადების მიუხედავად წლების განმავლობაში პრობლემა მოუგვარებელია, შესაბამისად თითოეული ტრაგედიის მიმართ არსებობს განსაკუთრებით მაღალი საჯარო ინტერესი*

- ***სიუჟეტის გადაღების ადგილი*** *– პირი მის მძიმე ემოციურ მდგომარეობას გამოხატავდა ქუჩაში, საჯარო ადგილას, ათეულობით სხვადასხვა მოქალაქის, მათ შორის მედიის წარმომადგენლების თანდასწრებით. შესაბამისად, ასეთი ადგილი დაცვის უფრო ნაკლები სტანდარტით ხასიათდება, ვიდრე უშუალოდ პირადი სივრცე.*

- ***მონაწილე პირები*** *– სიუჟეტში ასევე ჩანს, რომ ადგილზე იმყოფება იმ დროისათვის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი. შესაბამისად, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი იყო, სცოდნოდა მინისტრის რეაქციები, დამოკიდებულება ამ ტრაგიკულ ფაქტთან დაკავშირებით.*

- ***მგლოვიარე პირის მოწოდებები*** *– აღსანიშნავია, რომ მგლოვიარე პირის ემოციები და განცხადებები აღწერდა არა მხოლოდ მის პირადულ, არამედ ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების დამოკიდებულებას და შეიცავდა პრეტენზიებს და დამოკიდებულებას ხელისუფლების, მათ შორის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვი-*

ლის მიმართ, რომელსაც ბრალს სდებდა უყურადღებობა-ში. მიიჩნევდა, რომ ტრაგედიაში ხელისუფლებას მიუძღო-და წვლილი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მედიამ ერთი პირის პროტესტი, მათ შორის პირადი ტრაგედიის ფონზე აჩვენოს აუდიტორიას. მით უფრო, რომ პროტესტის ერთ-ერთი ადრესატი ადგილზე იმყოფებოდა.

- ***ემოციური მდგომარეობის ჩვენება –*** *რა თქმა უნდა, მედია ვალდებულია, აქცენტი გააკეთოს ზოგადად პრობლემაზე (შრომითი უსაფრთხოების პრობლემა), მაგრამ ეს არ გა-მორიცხავს მედიის უფლებას, ცხადი და ხელშესახები გა-ხადოს სხვა მოქალაქეებისთვისაც პრობლემის ტრაგიკული შედეგები რა ემოციურ ტრავმებს და ტკივილებს იწვევს. ცხა-დია, ემოციური მდგომარეობის ჩვენება არ უნდა იყოს ჟურ-ნალისტის თვითმიზანი და არაგონივრულად არ უნდა შეიჭ-რას პირის პირად ცხოვრებაში, მაგრამ თუ სხვა გარემოებე-ბის ერთობლიობით პრობლემის მთელი სიცხადე სწორედ პირის პირადი ტრაგედიის ჩვენებით წარმოჩნდება, მედიამ უარი არ უნდა თქვას მის ჩვენებაზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის მძიმე საყურებელი იქნება აუდიტორიისთვის.*

  საბჭო მიიჩნევს, რომ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდი-ნარე განსახილველ შემთხვევაში არსებობდა განსაკუთრე-ბული საზოგადოებრივი ინტერესი. პირის პირადი ემოციე-ბის ჩვენებით ცხადად და რეალურად წარმოჩნდა, ერთის მხრივ, ტრაგიკული შედეგები, რასაც შრომითი უსაფრთხო-ების წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემა იწვევს და მეორეს მხრივ, ცხადი გახდა, რომ არც ხელი-სუფლებას არ აქვს რეალური და ქმედითი პასუხი მოქალა-ქის ბრალდებებზე.“

საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკით, საზოგადოებრივ ინტერესად არ შეიძლება ჩაითვალოს ცნობისმოყვარეობა და საზოგადოების სუბიექტური სურვილი, იცოდეს ამა თუ იმ ამ-ბის, მით უფრო, პირადი ცხოვრების ამსახველი ფაქტის შესა-ხებ. სხვა პირის პირადი ცხოვრება საზოგადოების ობიექტური ინტერესის საგანი შეიძლება იყოს, როცა ინფორმაცია ეხე-ბა მნიშვნელოვან სოციალურ თუ პოლიტიკურ მოვლენას და

ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმაციულ არჩევანს, ასახავს ანტისოციალურ ან კრიმინალურ შემთხვევას, ამხელს ხელისუფლებას.

13. მეთერთმეტე პრინციპი

ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები:

- ***ფაქტის განზრახ დამახინჯება;***
- ***ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ;***
- ***პლაგიატი.***

მე-11 პრინციპი სამ დამოუკიდებელ ეთიკურ დარღვევას ფარავს. ქარტიის საბჭოს არც ერთ შემთხვევაში არ დაუდგენია მე-11 პრინციპის დარღვევა მესამე ნაწილის საფუძვლით: „ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ“, მეტიც, ამ საფუძვლით არც ერთი მასალა სადავოდ არ გაუხდია განმცხადებელს.

ქარტიის საბჭოს პრაქტიკის თანახმად, არაერთ საქმეში დადგინდა მე-11 პრინციპის დარღვევა ფაქტის გაზრახ დამახინჯების ან პლაგიატის საფუძვლით.

13.1. პლაგიატი

ქარტიის საბჭოს მიერ პლაგიატის საფუძვლით მე-11 პრინციპი დარღვეულად იქნა მიჩნეული ორ გადაწყვეტილებაში.

***საქმე საინფორმაციო ცენტრების ქსელი ჟურნალისტების: ვანო ჯავახიშვილისა და ცოტნე გეგეჭკორის წინააღმდეგ* (2015 წელი)**

საინფორმაციო ცენტრების ქსელის განცხადების თანახმად, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გადაცემა „ვანოს შოუში“ და ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „იმედის კვირაში“ გამოიყენეს კახეთის საინფორმაციო ცენტრის ვიდეომასალა „ნაკურთხი პრემიების შესახებ“ ისე, რომ არცერთხელ არ ყოფილა მითითება წყაროს შესახებ და ეთერში გასული ვიდეომასალიდანაც წაშლილი იყო კახეთის საინფორმაციო ცენტრის ლოგო. საბჭომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში სახეზე იყო პლაგიატის სტანდარტული შემთხვევა – სხვისი მასალის კოპირება/იმიტირება და საკუთარ მასალად გასაღება. აღსანიშნავია, ერთ-ერთმა მოპასუხემ ლოგოს მოჭრის არგუმენტად მიუთითა, რომ კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გადაღებული ვიდეოს ფორმატი არ ემთხვეოდა ტელეკომპანიის ფორმატს და ამან გამოიწვია ლოგოს არგამოჩენა. როგორც საბჭომ აღნიშნა, შესაძლებელი იყო ტექსტური ან სხვა რამე სახით გაკეთებულიყო მინიშნება ვიდეოს პირველწყაროს ვინაობაზე. იგივე პოზიცია ჰქონდა საბჭოს საქმეში ***– ელისო ჯანაშია დავით კაკულიასა და ნოდარ მელაძის წინააღმდეგ* (2017 წელი),** სადაც ასევე ლოგო იყო ჩამოჭრილი.

პრეცედენტულად შეიძლება ჩაითვალოს ქარტიის გადაწყვეტილება საქმეზე ***– ჩაიხანა ნინუცა კახნიაურის წინააღმდეგ* (2019 წელი).** ამ გადაწყვეტილებაში ქარტიის საბჭომ უფრო ფართოდ განმარტა პლაგიატი და მიიჩნია, რომ ჟურნალისტის შრომის უგულებელყოფა და არასათანადო მითითება ასევე შეიძლება ჩაითვალოს პლაგიატად.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში გადაცემა „ახალ კვირაში“ გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით „გოგონა მზის ჩასვლის სოფლიდან“. სიუჟეტი სოფელ გუმბათის მასწავლებელ ირა ძირკვაძეს ეხებოდა. ამასთან, მანამდე, დაახლოებით სამი კვირით ადრე, ონლაინპლატფორმა „ჩაიხანას“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ასევე ირა ძირკვაძეზე მომზადებული ვიდეომასალა სახელწოდებით „გოგონა მზის ჩასვლის მხარიდან“.

ქარტიის საბჭომ მიიჩნია, რომ ირა ძირკვაძის (უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა თავის სოფელში და სკოლაში ბავშვებს ქართულსა და ინგლისურს ასწავლიდა) საქმიანობა იწვევდა საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს; მეორე მხრივ,

საბჭომ ხაზი გაუსვა, რომ მასალა არ ასახავდა მიმდინარე ახალ ამბავს, რომელმაც აქტუალურობა მხოლოდ სიუჟეტების მომზადების პერიოდში შეიძინა.

გადაწყვეტილებიდან დგინდება, რომ ქარტიის საბჭომ დამატებით მოიკვლია გარემოებები და დაადგინა, რომ ირა ძირკვაძე „ჩაიხანას“ ჟურნალისტმა აღმოაჩინა, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ჟურნალისტმა კი ირა ძირკვაძის საქმიანობის შესახებ სწორედ „ჩაიხანას“ მიერ მომზადებული სიუჟეტიდან შეიტყო.

ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილებაში ასევე სრულად მოცემულია საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „იმედის კვირის“ წამყვანის ტექსტი, რომელიც საბჭომ შემდეგნაირად შეაფასა:

> *„ტექსტის მიხედვით, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გმირი – ირა ძირკვაძე, „ახალი კვირის“ ჟურნალისტის, ნინუცა კახნიაურის „აღმოჩენილი“ იყო, და არც თავად წარდგენის ტექსტში და არც შემდგომ რეპორტაჟში არ ახსენეს, რომ ამბავი დაახლოებით სამი კვირის წინ პირველად „ჩაიხანამ“ გააშუქა“.* ქარტიის საბჭო იქვე აღნიშნავს, რომ *„გადაცემის წამყვანის და ასევე ჟურნალისტის მიერ სრულიად უგულებელყოფილი იქნა „ჩაიხანას“ ჟურნალისტის მიერ გაწეული შრომა. მათ არ ახსენეს, არ მიუთითეს პირვანდელი სიუჟეტის ავტორი ან/და ონლაინგამოცემა, რომელსაც, როგორც ქარტიის საბჭომ მოიკვლია, დაეყრდნო მასალის მომზადებისას. ამით სრულად იქნა უგულებელყოფილი, „ჩაიხანას“ მიერ გაწეული ძალისხმევა“.*

როგორც აღინიშნა, გადაწყვეტილებაში საბჭომ გააფართოვა პლაგიატის განმარტება და იგი დაუკავშირა სხვა ჟურნალისტის შრომის უგულებელყოფას, რასაც ასაბუთებს შემდეგი არგუმენტაციით:

> *„თითოეული მასალის მომზადებას სჭირდება ადამიანური და მატერიალური რესურსი, წყაროსთან/წყაროებთან ურთიერთობა, გმირის აღმოჩენა, მასთან დაკავშირება და შეთანხმება, სიუჟეტის მთავარი აქცენტების გამოკვეთა. ეს ყველაფერი ხშირად დიდ შრომასთან არის დაკავშირებუ-*

ლი. სწორედ ამ შრომას უნდა სცეს პატივი კეთილსინდისიერმა ჟურნალისტმა და საკუთარ ჟურნალისტურ პროდუქტში ახსენოს პირველწყარო. გარდა იმისა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტმა „ჩაიხანას“ სიუჟეტიდან შეიტყო ახალგაზრდა პედაგოგის მოღვაწეობის ამბავი, არც კი ეცადა, რომ ირა ძირკვაძის ისტორია სხვა კუთხიდან გაეშუქებინა, ეპოვა სხვა რესპონდენტები და ახალი, განსხვავებული აქცენტებით მოემზადებინა მასალა. სიუჟეტების სათაურებიც კი თითქმის იდენტურია – „ჩაიხანას“ მიერ მომზადებულ ვიდეოს ჰქვია „გოგონა მზის ჩასვლის მხარიდან“, სადავო სიუჟეტის სახელწოდებაა „გოგონა მზის ჩასვლის სოფლიდან“.

„თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სულ უფრო ადვილი ხდება ერთი პლატფორმიდან მეორეზე მასალის გავრცელება, პირველწყაროს მითითების გარეშე ჟურნალისტური პროდუქტის ტირაჟირება. შესაბამისად, მომხმარებლების ამ პლატფორმაზე გადასვლა. ავტორის აღნიშვნის გარეშე კი მედიასაშუალება, რომელმაც გასწია ძალისხმევა, მის მოსამზადებლად დახარჯა მატერიალური და ადამიანური რესურსი, კარგავს აუდიტორიას. ამიტომაც მედიასაშუალებამ სათანადოდ უნდა მიუთითოს მასალის პირველწყარო და პატივი სცეს მის მიერ გაწეულ შრომას. ამ პირობებში პლაგიატი განიმარტება უფრო ფართოდ და მოიცავს არა მხოლოდ პირდაპირ კოპირებას, არამედ არასათანადო ციტირებას, მითითებას და პირველწყაროს აღნიშვნას“.

როგორც გადაწყვეტილებიდან ჩანს, საქმეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქარტიის საბჭოს წევრებს შორის წამოიჭრა საკითხი, რომ ქარტიის ეს გადაწყვეტილება არ შეფასებულიყო როგორც „თემის პლაგიატი“.

„წინამდებარე შემთხვევაში ქარტიის საბჭოს მიერ მე-11 პრინციპის დარღვევის დადგენა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, თითქოს ქარტიის საბჭო ადგენს „თემის პლაგიატს“, საბჭო დასაშვებად და ეთიკურ ჟურნალისტიკასთან შესაბამისად მიიჩნევს სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ ერთი

და იმავე თემის გაშუქებას. განსახილველ შემთხვევაში მე-11 პრინციპის დარღვევა გამოიწვია სხვა გარემოებების ერთობლიობამ, რომელიც აღწერილია წინამდებარე გადაწყვეტილებაში".

13.2. ფაქტის განზრახ დამახინჯება

განცხადებების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ უმეტეს შემთხვევაში, როცა განმცხადებელი დარღვეულად მიიჩნევდა ქარტიის პირველ პრინციპს (არასწორი ინფორმაციის გავრცელება), ასევე დარღვეულად მიიჩნევდა მე-11 პრინციპს, კერძოდ ფაქტის განზრახ დამახინჯებას. თავად ქარტიის საბჭოს პრაქტიკა კი ცხადყოფს, რომ **ფაქტის განზრახ დამახინჯება** მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში დადგინდა და ისიც მკაცრად განსაზღვრული წინაპირობებით.

საბჭოს მიერ ფაქტები განზრახ დამახინჯებულად ჩაითვალა, როცა დადგინდა, რომ:

1. ჟურნალისტმა ზუსტად იცოდა, რა იყო სწორი ინფორმაცია და, მიუხედავად ამისა, მაინც არაზუსტი ინფორმაცია გაავრცელა;

2. ობიექტური გარემოებები იძლეოდნენ დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ჟურნალისტმა იცოდა ნამდვილი ფაქტი და მაინც არაზუსტად გაავრცელა;

3. მედიასაშუალებების მიერ ამ თემაზე არასწორი ინფორმაციების გავრცელება ატარებს კამპანიურ და განგრძობად ხასიათს.

საქმე *თინათინ შარაშენიძე გვანცა გიორგობიანის წინააღმდეგ* (2017 წელი)

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიმართა თინათინ შარაშენიძემ, რომელიც მიიჩნევდა, რომ ვებსაიტ for.ge-ზე გვანცა გიორგობიანის ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაში „ვინ არის კონსტანტინე შარაშენიძე და რა თანხების გაფლანგვას ედავება მას კონტროლის პალატა?" სხვა პრინციპებთან ერთად

დარღვეული იყო ქარტიის მე-11 პრინციპი. სადავო სტატია შეიცავდა რამდენიმე ფაქტობრივ გარემოებას, რომლებიც, სტატიის თანახმად, ჟურნალისტმა მოიპოვა სახელმწიფო აუდიტის დასკვნიდან. ანუ დადგენილ ფაქტად მიჩნეული იყო, რომ ჟურნალისტი იცნობდა აუდიტის დასკვნას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავად აუდიტის დასკვნაში მითითებულ ინფორმაციას ჟურნალისტი არასწორად ავრცელებდა.

აღსანიშნავია, რომ მე-11 პრინციპზე მსჯელობისას ქარტიის საბჭომ ყურადღება გაამახვილა სადავო სტატიაში გამოქვეყნებულ ტერმინოლოგიაზეც:

> *„სტატიაში გამოყენებული დამცინავი/ირონიული სიტყვები და შეფასებები ცალსახად ხაზს უსვამს თავად ჟურნალისტის ნეგატიურ დამოკიდებულებას კონსტანტინე შარაშენიძის მიმართ. მაგ.: „ოცნება აუხდა შარაშენიძეს. აუხდა იმიტომ, რომ მისი კალამი ადგილობრივი ბიუჯეტის ჩეხვის ბასრ იარაღად იქცა“, „ჭრიდა და კერავდა ისე, როგორც მოისურვებდა“, „გაფეოდალებული გამგებელი“, „პოლიტიკურ ძაბრში შარაშენიძე საკმაოდ უცნაურად გაძვრა“.*

ეს მკვეთრად ნეგატიური და დამცინავი ტერმინები ხაზს უსვამდა ჟურნალისტის განზრახვას, რომ უარყოფითად წარმოეჩინა კონსტანტინე შარაშენიძე.

***საქმე დავით მახარაშვილი დიანა ჯოჯუას და თამარ ბაღაშვილის წინააღმდეგ* (2018 წელი)**

ქარტიის საბჭოს განცხადებით მიმართა დავით მახარაშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გადაცემა „კურიერის“ სიუჟეტთან დაკავშირებით – „**მორიგი სკანდალური ბრალდება – კახა კალაძე ქართველ სამხედროებს აგვისტოს ომში თანამებრძოლების მიტოვებაში ადანაშაულებს“.** სადავო სიუჟეტი ეხებოდა თბილისის მერის, კახა კალაძის, ბრიფინგს. წამყვანმა დიანა ჯოჯუამ მტკიცებით ფორმაში განაცხადა, რომ კახა კალაძემ ქართველი სამხედროები საკუთარი თანამებრძოლების ცხედრების ბრძოლის ველზე მიტოვებაში დაადანაშაულა, იგივე გაიმეორა ჟურნალისტმა თამარ ბაღაშვილმაც. ქარტიის საბჭო სრულად გაეცნო ბრიფინგს და, როგორც აღმოჩნდა, კახა კალაძე ცხედრების მიტოვებაში

არა უშუალოდ თანამებრძოლებს (ჯარისკაცებს) ადანაშაულებდა, არამედ მან ეს ბრალდება იმ დროს მოქმედ მმართველ პარტიას და მის ლიდერს წაუყენა.

ვინაიდან სიუჟეტი კახა კალაძის 4-წუთიან ბრიფინგს ეხებოდა და სიუჟეტში ნაწყვეტებიც კი იყო გამოყენებული ბრიფინგიდან, საბჭო დარწმუნდა, რომ ჟურნალისტები სრულად გაეცნენ აღნიშნულ ბრიფინგს, მათთვის ცნობილი იყო, რომ კახა კალაძეს ქართველი სამხედროები თანამებრძოლების ცხედრების მიტოვებაში არ დაუდანაშაულებია, მაგრამ მაინც გაავრცელეს ბრალდება „ქალაქის მერი ქართველ სამხედროებს 2008 წელს საკუთარი თანამებრძოლების ცხედრების ბრძოლის ველზე მიტოვებაში ადანაშაულებს“. ვინაიდან ჟურნალისტებმა იცოდნენ, რა თქვა მერმა სინამდვილეში, მაგრამ ეს ინფორმაცია არასწორად გადასცეს, საბჭომ დაადგინა ფაქტების განზრახ დამახინჯება.

***საქმე ა(ა)იპ საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი ნოდარ ჩაჩუას წინააღმდეგ* (2019 წელი)**

ეს საქმე წინა ორი შემთხვევისაგან განსხვავდება იმით, რომ ქარტიის საბჭომ გარემოებათა ერთობლიობით ლოგიკურად ჩათვალა, რომ ჟურნალისტმა იცოდა სწორი ინფორმაცია.

სადავო მასალები ეხებოდა სოციოლოგიური კვლევის შედეგების პრეზენტაციას. გადაწყვეტილების თანახმად, როგორც 12-საათიან, ისე 15-საათიან გამოშვებაში ნოდარ ჩაჩუამ მტკიცებითი ფორმით განაცხადა, რომ კვლევის ნაწილი მედიისა და, კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კვლევის წარმდგენმა „ღია საზოგადოების ფონდმა“ დამალა.

ქარტიის საბჭომ დადგენილად მიიჩნია, რომ:

„1. 12-საათიან გამოშვებაში, როცა პირდაპირი ჩართვის დროს ნოდარ ჩაჩუა აცხადებს, რომ კვლევის მედიის ნაწილი „დამალულია“, კვლევის პრეზენტაცია ჯერ დასრულებული არ არის;

2. მედიასთან დაკავშირებული კვლევის „გასაჯაროების მოთხოვნა“ ნოდარ ჩაჩუამ დააყენა კვლევის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ;

3. კვლევის პრეზენტაციის თარიღამდე ერთი დღით ადრე მედიასაშუალებებს (მათ შორის საზოგადოებრივ მაუწყებელს) გაეგზავნათ ანონსი იმ კვლევის გამოქვეყნების შესახებ, რომელიც სწავლობს „მოსახლეობის ნდობას სახელმწიფო უწყებების მიმართ და განწყობას პოლიტიკური პარტიების, კორუფციის, მედიის, სოციალური სამართლიანობის, რელიგიური გაერთიანებებისა და სხვა საკითხების შესახებ“;

4. პრესრელიზში, რომელიც ადგილზე დახვდათ მისულ ჟურნალისტებს, აღნიშნული იყო, რომ: „სოციოლოგიური კვლევა ეხება საქართველოს დემოკრატიის მდგომარეობას, სწავლობს მოსახლეობის ნდობას სახელმწიფო უწყებების მიმართ და განწყობას პოლიტიკური პარტიების, კორუფციის, მედიის, სოციალური სამართლიანობის, რელიგიური გაერთიანებებისა და სხვა საკითხების შესახებ“;

5. კვლევის პრეზენტაცია შეიცავდა მედიის ნაწილსაც;

6. კვლევის პრეზენტაციის ფაილი (სადაც მითითებული იყო მედიის ნაწილი) უშუალოდ ნოდარ ჩაჩუას გაეგზავნა ჩართვამდე რამდენიმე წუთით ადრე, 11:57 საათზე.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ცხადი იყო, ნოდარ ჩაჩუას განცხადება – „კვლევის ნაწილი, რომელიც ეხებოდა მედიას და, კერძოდ, საზოგადოებრივ მაუწყებელს, კვლევის წარმდგენმა დამალა“ – არასწორი ინფორმაცია იყო და ამის საფუძველზე საბჭომ დაადგინა ქარტიის პირველი პრინციპის დარღვევა. რაც შეეხება მე-11 პრინციპს, საბჭომ იმსჯელა, სახეზე იყო თუ არა არასწორი ინფორმაციის განზრახ გავრცელება.

„ქარტიის საბჭომ დაუშვა, რომ ნოდარ ჩაჩუას მიერ 12:00-საათიან გამოშვებაში არასწორი ინფორმაციის გავრცელების წინაპირობა შესაძლოა, ყოფილიყო სხვადასხვა გარემოება, მაგალითად, არ ენახა ელ. შეტყობინება, არ წაეკითხა მედიარელიზი, უშუალოდ პრეზენტაციისას არ იმყოფებოდა ადგილზე, იჩქარა და მანამ გააკეთა დასკვნა, სანამ პრეზენტაცია დასრულდებოდა, ტერმინ „მედიის“ ქვეშ ვერ მოი-

აზრა საზოგადოებრივი მაუწყებელი და ა.შ. მაგრამ მსგავსი დაშვება უკვე გამოირიცხება 15:00 საათიანი გამოშვების დროს, როცა უკვე პრეზენტაციის დაწყებიდან 3 საათია გასული, როცა თავად სიუჟეტის წარმდგენიც კი აცხადებს, რომ პრეზენტაციაში საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებითაც იყო საუბარი, დამატებით კიდევ არის გაგზავნილი პრეზენტაცია საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის და თავად ჟურნალისტ ნოდარ ჩაჩუასთვის (სადაც ასახულია საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებული სლაიდები) და ამის ფონზე 15:00 საათიან გამოშვებაში ნოდარ ჩაჩუა კვლავ აცხადებს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ ინფორმაცია არ იყო საჯარო. ყოველივე ზემოაღნიშნული აძლევს ქარტიის საბჭოს საფუძველს, მიიჩნიოს, რომ 15:00 საათიან გამოშვებაში ნოდარ ჩაჩუას მიერ ინფორმაცია გავრცელდა გაწზრახ არასწორად".

ქარტიის მე-11 პრინციპის დარღვევა რამდენიმე შემთხვევაში დადგინდა, იმ საფუძვლით, რომ კამპანიურ და განგრძობად ხასიათს ატარებდა.

საქმე *CRRC – საქართველო ჯაბა ხუბუას წინააღმდეგ* (2015 წელი)

ამ გადაწყვეტილებაში ქარტიის საბჭომ დაადგინა, რომ გაზეთ „ასავალ-დასავალის" ჟურნალისტის, ჯაბა ხუბუას მიერ გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, კერძოდ ჟურნალისტმა, ყოველგვარი მტკიცებულებების და წყაროების გარეშე, CRRC-საქართველო დაადანაშაულა კვლევების გაყალბებაში. ასევე არასწორად გაავრცელა ინფორმაცია CRRC-საქართველოს დამფუძნებლების შესახებ. მე-11 პრინციპზე მსჯელობისას საბჭომ მოიკვლია, რომ გაზეთ „ასავალ-დასავალის" სხვა ნომრებშიც მკვეთრად უარყოფითად და შეურაცხმყოფელი ტერმინებით იყო მოხსენიებული ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი და მისი პარტნიორი საქართველოში CRRC-საქართველო. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო მიზანმიმართული კამპანია გაზეთის მხრიდან და განზრახვა, რომ არასწორი ფაქტების განზრახ გავრცელებით შეილახოს განმცხადებლის საქმიანი რეპუტაცია.

კამპანიური ხასიათის საფუძველზე დადგინდა მე-11 პრინციპის დარღვევა საქმეში – ***საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ნათია სონღულაშვილის წინააღმდეგ* (2019 წელი).**

თავდაპირველად, როგორც მე-11 პრინციპის დარღვევის წინაპირობა, პირველი პრინციპის დარღვევა დადასტურდა – ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტმა არასწორი ინფორმაცია გაავრცელა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან დაკავშირებით. ფაქტების მანიპულაციით და არგადამოწმებით ჟურნალისტი შეეცადა, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროფესიული რეპუტაცია ეჭვქვეშ დაეყენებინა. რაც შეეხება მე-11 პრინციპის დარღვევას, აღნიშნულთან დაკავშირებით ქარტიის საბჭომ აღნიშნა, რომ:

„ტელეკომპანია „იმედისათვის“ დამახასიათებელია არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაცია, რაც კამპანიურ ხასიათს ატარებს:

- *საქმეში – **ლევან ნატროშვილი ანუკი გუმბერიძის, ლევან ჯავახიშვილისა და თეონა გეგელიას წინააღმდეგ** – ქარტიის საბჭომ დაადგინა, რომ ტელეკომპანია „იმედის“ სიუჟეტით – **„მესამე სექტორმა ყალბ მოწმობებთან დაკავშირებით გავრცელებული ცნობის არასანდოობა აღიარა“** – გავრცელდა არასწორი და მანიპულაციური ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოზე/მის წარმომადგენელზე.*

- *2019 წლის 02 მაისს ტელეკომპანია „იმედის“ მიერ ასევე მომზადდა **სიუჟეტი:** „საიას შუალედურმა ანგარიშმა ორგანიზაციის სამართალმცოდნეების კვალიფიკაცია ეჭვქვეშ დააყენა“, სადაც ასევე გაკრიტიკებულია საია და გარკვეულწილად მათი ქმედების შეფასება ხდება მოსახლეობის რელიგიურ გრძნობებზე მანიპულაციით“.*

სწორედ იმიტომ, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შესახებ „იმედის“ მიერ დისკრედიტაციული სიუჟეტის მომზადებისა, ქარტიის საბჭომ მეთერთმეტე პრინციპის დარღვევაც დაადგინა.

დანართები

დანართი 1

შესწორების სტანდარტი მედიაში – სახელმძღვანელო წესები

ჟურნალისტურ საქმიანობას თან სდევს შეცდომები, არაზუსტი დეტალების გავრცელება, რაც ზოგ შემთხვევაში სისწრაფის, უყურადღებობის, პროფესიონალიზმის ნაკლებობის, მწირი გამოცდილების, ანდა სხვა მიზეზით არის გამოწვეული. პასუხისმგებლიანი მედია, რომლისთვისაც აუდიტორიის სანდოობა და რეპუტაცია მნიშვნელოვანია, ცდილობს, მყისიერად შეასწოროს დაშვებული შეცდომა, ამცნოს აუდიტორიას და იზრუნოს ზუსტი ინფორმაციის გავრცელებაზე.

მცდარი ინფორმაციის შესწორებისას რედაქციის მთავარი მიზანი და გამოწვევაა, შეძლოს დაზუსტებული დეტალების იმავე აუდიტორიისთვის მოწოდება, რომელმაც თავდაპირველად არასწორი ინფორმაცია მიიღო. შესწორების ფორმა სხვადასხვა შეიძლება იყოს იმის მიხედვით, თუ რა ტექნოლოგიით, ფორმით გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, რა მასშტაბის აუდიტორიისთვის და რამდენი ხნით იყო ხელმისაწვდომი.

ძირითადი პრინციპები

- ჟურნალისტებმა და რედაქტორებმა პასუხისმგებლობა უნდა აიღონ დაშვებულ შეცდომებზე და დროულად გაასწორონ უზუსტობები.
- აუდიტორიამ უნდა იცოდეს, რა გასწორდა, შესაბამისად, ცხადად და მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, რა იყო არასწორი და რა არის სწორი.
- თუკი ამბავი ვითარდება და მოსალოდნელია, რომ ახალი დეტალები გამოიკვეთება, აუცილებელია მიუთითოთ, რომ ამბავი ახლდება.
- სასურველია, შეცდომაზე ერთ რედაქტორთან ანდა ჟურნა-

ლისტთან ერთად პასუხისმგებლობა რედაქციამაც აიღოს. თუ შესაძლებელია, ახსენით შეცდომის გამომწვევი მიზეზიც.

- მასალა უნდა შესწორდეს გონივრულ ვადაში. გონივრული ვადა განისაზღვრება მედიის ტიპის, აუდიტორიის მოცულობის შესაბამისად, ინდივიდუალურად, კონტექსტის გათვალისწინებით.

- რედაქციამ ყურადღება უნდა მიაქციოს აუდიტორიის მიერ სხვადასხვა პლატფორმაზე დატოვებულ შეტყობინებებს, რომლებიც შეცდომაზე მიუთითებს.

- ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრაქტიკის თანახმად, შეცდომის შესახებ შეტყობინების მიღებად ითვლება ნებისმიერი ფორმით ჟურნალისტისთვის პერსონალურად თუ რედაქციისთვის მიმართვა. შესწორების სტანდარტის დარღვევად ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც დასტურდება, რომ მასალის გამოქვეყნების შემდეგ რედაქციამ მიიღო სწორი ინფორმაცია, თუმცა არ შეასწორა.

- მკითხველთა მიერ შეცდომაზე მითითების შემდეგ როგორ რეაგირებს გამოცემა, როდის ასწორებს/არ ასწორებს მასალას, ვინ იღებს გადაწყვეტილებას და ასე შემდეგ, თავად რედაქციამ უნდა გადაწყვიტოს. უმჯობესია, თუკი მედიაორგანიზაციებს ექნებათ საკუთარი სახელმძღვანელო წესები, სადაც, ძირითად პრინციპებთან ერთად, ამგვარი პროცედურებიც იქნება აღწერილი.

- სასურველია, რედაქციას ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნებული ჰქონდეს სპეციალური განყოფილება, სადაც აუდიტორიას შეცდომის შესახებ ინფორმაციის გაგზავნა შეეძლება.

2. ონლაინმედია

2.1. შესწორება

- გამოქვეყნებული მასალა უნდა შესწორდეს ისე, რომ აუდიტორიისთვის ცნობილი გახდეს, თუ რა გასწორდა. ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია და არ უწყობს ხელს ვინმესთვის საზიანო ინფორმაციის გავრცელებას, მასალის ბოლოს შენიშვნის სახით უნდა მიეთითოს, რა ეწერა მცდარ ვერსიაში.

- სათაურის შეცვლის შემთხვევაში მედია უნდა დარწმუნდეს, რომ მასალის სათაური შესწორდა ყველა პლატფორმაზე, სადაც კი გაზიარებული იყო ინფორმაცია. ყურადღება მიაქციეთ ბმულის ფრაგმენტსაც (URL), რომელიც ხშირად სათაურის ანალოგია. ფაქტობრივი უზუსტობა იქაც ჩაასწორეთ.

- ფოტოს ჩასწორების შემთხვევაშიც სათაურის მსგავსად დარწმუნდით, რომ არასწორი ფოტო აღარ იძებნება მედიასაშუალების მიერ გამოყენებულ არცერთ პლატფორმაზე.

- გამოიყენეთ ფეისბუკის **ხელსაწყოები** ბმულის გასასწორებლად, რათა შესწორების შემდეგ ძველი ვერსია აღარ ზიარდებოდეს.

- ასევე შეგიძლიათ, განაახლოთ გაზიარებული მასალა ფეისბუკზე ისე, რომ წაშლა არ მოგიწიოთ: „Refresh share attachment“.

2.2. წაშლა

- მასალა სრულად მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება წაიშალოს. მაგალითად მაშინ, როდესაც საჯარო ინტერესის არარსებობის შემთხვევაში ის ზიანს აყენებს, ლახავს სხვათა უფლებებს და განსაკუთრებით უხეშად არღვევს ეთიკურ სტანდარტებს.

- მასალა შესწორების ნაცვლად, როგორც წესი, მაშინ შეიძლება წაიშალოს, როდესაც მხოლოდ თქვენ ხართ ინფორმაციის გამავრცელებელი ერთადერთი ღია წყარო. თუკი ინფორმაცია სხვების მიერაც არის გავრცელებული, მაშინ ჩამოხსნის ნაცვლად იმავე ბმულზე შესწორება ჯობს.

- მასალის წაშლის შემთხვევაში სასურველია, რედაქციამ ახსნას ამ გადაწყვეტილების მიზეზი.

- თუკი მომდევნო დღეებში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი დეტალები, რაც არსობრივად ცვლის წინა დღეს გავრცელებულ ინფორმაციას, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს აუდიტორია, უმჯობესია, ცალკე მომზადდეს ახალი მასალა, უკვე გამოქვეყნებულ სტატიაში კი ცხადად მიეთითოს ბმული და გაუკეთდეს შესაბამისი წარწერა ახლად გამოვლენილი გარემოების შესახებ.

3. სამაუწყებლო მედია

მაუწყებელმა ღიად და დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს დაშვებული შეცდომის შესახებ და თანაზომადი ფორმით შეასწოროს ის. მაგალითად, თუკი შეცდომა დაუშვეს „პრაიმ ტაიმში“, მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, ინფორმაცია ამავე გადაცემაში მეორე დღეს უნდა გავიდეს. თუმცა რა არის თანაზომადი შესწორება, ეს კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, დაზუსტება უმჯობესი იყოს არა შემდეგ დღეს იმავე გადაცემაში, არამედ უახლოეს მომდევნო გადაცემაში.

მასალის დროულად გასასწორებლად შესაძლებელია, გამოიყენოთ მაუწყებლის ოფიციალური გვერდი ინტერნეტში. ეთერში გასული შესწორებული ვიდეომასალა ახალი რედაქციით უნდა აიტვირთოს ოფიციალური ვებსაიტზე და, ასევე, შესწორდეს ყველა პლატფორმაზე იმავე წესით, როგორც ეს ონლაინმედიის შემთხვევაშია გაწერილი.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის თანახმად, პირს, რომლის შესახებაც არასწორი ინფორმაცია გადაიცა ეთერში, შეუძლია, მიმა-

რთოს მაუწყებელს მასალის ეთერში გასვლიდან 10 დღის ვადაში და მოითხოვოს მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება.

ბეჭდური მედია

პრესის შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია თანაზომადობა. თუ არასწორი ინფორმაცია გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა, სასურველია, რომ მომდევნო ნომერში ისევ პირველ გვერდზე გამოქვეყნდეს შესწორებული ინფორმაცია. აქაც აუდიტორიისთვის გასაგებად და ცალსახად უნდა იყოს მითითებული, რომ წინა ნომერში შეცდომაში შემყვანი მასალა გამოქვეყნდა.

ბეჭდური გამოცემების ვებსაიტებზეც შესწორების ისეთივე სტანდარტი ვრცელდება, როგორიც ონლაინ მედიის შემთხვევაში.

როგორც კი რედაქციისთვის ცნობილი გახდება დაშვებული შეცდომის შესახებ, მისი სიმძიმიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გამოცემა არ დაელოდოს შემდეგი ნომრის გამოსვლას და შეცდომის შესახებ განაცხადოს მყისიერად საკუთარ ვებსაიტსა თუ ოფიციალურ გვერდზე სოციალურ ქსელში.

დანართი 2

ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესები

მედიის ქცევის კოდექსების უმრავლესობა ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებაზე ცალკე ამახვილებს ყურადღებას, ვინაიდან ბავშვების უფლებები ყველაზე ადვილად შეიძლება დაირღვეს, მათ შორის მშობლების მხრიდანაც. სწორედ ამიტომ მედიას აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა, დაიცვას ბავშვის ინტერესები, ხელი არ შეუწყოს მათი უფლებების დარღვევას, სტიგმატიზებას, სტერეოტიპების გამყარებას. წინამდებარე დოკუმენტში სიტყვა „ბავშვი“ მოიაზრებს ყველა არასრულწლოვან ადამიანს.

ზოგადი პრინციპები

- უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭეთ ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოთ ისეთი მასალა, რომელიც საზიანო იქნება მისთვის.

- ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტები განიხილეთ როგორც უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც საჭიროებს გამოძიებასა და საზოგადოების ყურადღებას.

- იფიქრეთ არა მხოლოდ იმაზე, რომ თავად დაიცვათ ბავშვის ინტერესები, არამედ რესპონდენტსაც არ მისცეთ ბავშვის უფლებების შელახვის შესაძლებლობა.

- არ შეიძლება, ბავშვი გამოყენებული იყოს დაცინვის ანდა გართობის ობიექტად, „საყვარელ“ არსებად, რომლის ნათქვამსაც არასერიოზულად აღიქვამენ.

- თავიდან აირიდეთ ბავშვთან დაკავშირებული პრობლემების სენსაციურ და სტერეოტიპულ ჭრილში გაშუქება.

- ეცადეთ, არ გამოიყენოთ სოციალურ ქსელში არასრულწლოვნის მიერ/შესახებ განთავსებული ფოტოები ან ინფორმაცია, თუ ეს რედაქციულად არ არის დასაბუთებული. სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას ორმაგი გადამოწმება სჭირდება, რადგან მცდარი ინფორმაციის გავრცელების რისკი უფრო მაღალია.

- ინტერვიუს ჩაწერისას არ შეარჩიოთ ბავშვი სქესის, რასის ანდა ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით და არ მოახდინოთ მისი დისკრიმინაცია. მაგალითად, საჯარო ღონისძიების გაშუქებისას თანაბარი შესაძლებლობა მიეცით, საკუთარი აზრი გამოხატონ როგორც გადაადგილების პრობლემის მქონე ბავშვებმა, ასევე მათ, ვისაც ეს პრობლემა არ აქვთ.

- ბავშვების ინტერესები ფართოა, მათ, თამაშისა და გართობის გარდა, სხვა საკითხებიც აინტერესებთ. მათთან

დაკავშირებულ საკითხებზე უფროსებთან ერთად თავად ბავშვებიც ასაუბრეთ. შეეცადეთ, ერთი მხრივ, დაიცვათ ბავშვის ინტერესები და, მეორე მხრივ, არ შეზღუდოთ მისი გამოხატვის თავისუფლება.

- ბავშვი არ გამოიყენოთ როგორც რაიმე ობიექტი, რომელიც უფრო სენტიმენტალურს ხდის მასალას, ან ალამაზებს ეთერს, ანდა შესაძლებელია მასზე ექსპერიმენტების ჩატარება. მაგალითად, დასპონსორებული გადაცემისას, ანდა პროდუქტის განთავსებისას (product placement) არ გამოსცადოთ ეს პროდუქტი, არ აჩვენოთ მისი მოხმარების ინსტრუქცია და ეფექტები ბავშვის გამოყენებით.

მშობლისგან/მეურვისგან ნებართვა

- 16 წლამდე ასაკის ბავშვთან ურთიერთობისას მისი კომენტარის ჩაწერამდე ან ფოტოს გადაღებამდე ნებართვა სთხოვეთ მის მშობელს ან მეურვეს იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა მოზარდის კეთილდღეობას ეხება.

- დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ, ვისგანაც ნებართვას იღებთ, ნამდვილად მშობელია/მეურვეა. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანები ბავშვებით მანიპულირებენ და იყენებენ მათ გარკვეული სარგებლის მისაღებად.

- მშობლის ან მეურვის თანხმობა არ ათავისუფლებს ჟურნალისტს პასუხისმგებლობისგან, თავად გადაწყვიტოს, რამდენად სწორი იქნება ამა თუ იმ საკითხზე ბავშვის კომენტარის ჩაწერა ან ფოტოს გამოქვეყნება. მან თავად უნდა შეაფასოს ის ნეგატიური შედეგები, რაც შეიძლება, ბავშვის იდენტიფიცირებას მოჰყვეს. ზოგჯერ მშობლები ნაკლები ინფორმაციის, განათლებისა თუ, უბრალოდ, მძიმე ემოციური მდგომარეობის გამო, ვერ იაზრებენ, რა საფრთხეების მომტანია მასალაში ბავშვის იდენტიფიცირება.

- საარქივო მასალების გამოყენებისას მხედველობაში იქონიეთ ის, რომ ბავშვებთან დაკავშირებით კონტექსტი სწრაფად იცვლება. შესაძლოა, ამგვარი მასალის გამოყენები-

სას მშობლის ან თავად არასრულწლოვნის თანხმობის მიღება ხელახლა გახდეს საჭირო.

- ზოგჯერ ბავშვები, საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე, ხდებიან საზოგადოებრივი ინტერესის ობიექტები (მაგ.: სპორტსმენი, მომღერალი). მათი საქმიანობის გასაშუქებლად და ფოტო/ვიდეოს გადასაღებად მშობლების თანხმობა საჭირო არ არის.

- მშობლის ნებართვა საჭირო არ არის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ზოგადი ფოტო/ვიდეოს გადაღებისას. თუმცა ჟურნალისტი ყურადღებით უნდა იყოს, ასეთი ფოტოები არ გამოიყენოს უკონტექსტოდ. მაგალითად, დანაშაულზე მასალის მომზადებისას არ დაურთოს ის ფოტო/ვიდეო, რომელიც საჯარო ადგილას მყოფ ბავშვებს ასახავს. ამით შესაძლოა, მკითხველს/მაყურებელს დარჩეს შთაბეჭდილება, რომ კადრში ნაჩვენებ ბავშვს რაიმე კავშირი აქვს დანაშაულთან.

კომუნიკაცია ბავშვთან

- ინტერვიუზე დათანხმების სანაცვლოდ საჩუქრის დაპირება დაუშვებელია, რადგან ადვილია ბავშვზე ზემოქმედება; მისი დაუცველ მდგომარეობაში ყოფნა არ უნდა გამოიყენოთ მანიპულაციისთვის და არ უნდა აიძულოთ ინფორმაციის გაცემა.

- ინტერვიუს ჩაწერისას დაიკავეთ ისეთი პოზიცია, რომ ბავშვმა პირდაპირ გიყუროთ და არა ქვემოდან ზემოთ.

- ბავშვთან ინტერვიუ მისთვის სასურველ, მოსახერხებელ ადგილას ჩაწერეთ. მიეცით უფლება, ისე მოთავსდეს, როგორც მას სურს.

- ფოტოგრაფმა/ოპერატორმა უნდა გააცნობიეროს, რომ შესაძლოა, ბავშვებთან მუშაობისას მეტი ძალისხმევა დასჭრდეს, ვიდრე ზრდასრულებთან.

- გადაღებისას არ მიაღებინოთ ბავშვს ხელოვნური პოზა.

- ბავშვებს არ ესაუბროთ „ენის მოჩლექით“, დაუსვით კითხვები გამართულად, გრამატიკული ნორმების დაცვით და არა ისე დამახინჯებით, როგორც მცირეწლოვანი ბავშვები საუბრობენ.

- პატივი ეცით და სერიოზულად აღიქვით ბავშვის ნათქვამი. არ გაიცინოთ მის ნათქვამზე. ამით შესაძლოა, გაუქრეთ საუბრის სურვილი, რადგან იფიქრონ, რომ დასაცინია მათი აზრი.

- ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე ისაუბრეთ. როცა რაიმეს ხსნით, მარტივი ლექსიკა გამოიყენეთ.

- დააკვირდით, გაიგეს თუ არა ბავშვებმა თქვენი ნათქვამი? თუ არასწორად გაიგეს, სხვა სიტყვებით თქვით სათქმელი.

- აუხსენით, რომ ინტერვიუს დროს არც მათ ცოდნას ამოწმებთ და არც ნიშანს უწერთ, თქვენ, უბრალოდ, გაინტერესებთ, რას ფიქრობენ ისინი ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ბავშვები ადვილად ხვდებიან, გულისყურით უსმენენ თუ არა უფროსები და აინტერესებთ თუ არა მათი აზრები.

- თუ ბავშვი გაუბედავია, ამართლებს დახურული შეკითხვების დასმა, რომელთაც ღია შეკითხვა მოჰყვება. მაგალითად: „უნდა გაიზარდოს თუ არა გაკვეთილების რაოდენობა?“ „რატომ?“ ნუ აიძულებთ ბავშვს, აუცილებლად გიპასუხოთ, თუ მას ეს არ სურს.

- შეეცადეთ, არ შეაწყვეტინოთ საუბარი. მათ შეიძლება მოეჩვენოთ, რომ „სწორ“ პასუხს არ იძლევიან.

- საუბრისას დაღლა თუ შეამჩნიეთ, მიეცით შესვენების საშუალება, ან შეწყვიტეთ ინტერვიუ.

- სხვადასხვა ასაკის ბავშვთან განსხვავებული ხანგრძლივობის ინტერვიუს ჩაწერა არის შესაძლებელი. მცირეწლოვანი კონცენტრაციას დიდხანს ვერ ახერხებს, ამიტომაც დიდხანს ვერ ისაუბრებთ.

- გახსოვდეთ, რომ მცირეწლოვანი ბავშვის ფანტაზია დიდია და მისი ნათქვამი შესაძლოა, სიმართლეს არ შეეფერებოდეს და მისი წარმოსახვის ნაყოფი იყოს.

როდის დავფაროთ ბავშვი

- ბავშვის სახის დაფარვა საჭიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია მას რაიმე ტიპის ზიანი მიადგეს, მაგალითად, იძალადონ მასზე, გახდეს ბულინგის მსხვერპლი, მოხდეს მისი სტიგმატიზება, გარიყვა ან ნებისმიერი სახით გაუარესდეს მისი მდგომარეობა.

- ბავშვის დაფარვა უპირობოდ აუცილებელია, როდესაც ის არის:
  - ძალადობის/დანაშაულის მსხვერპლი;
  - ბრალდებული/მსჯავრდებული/მოწმე;
  - არის ჩართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში;
  - რაიმე ფორმით არის დაკავშირებული სექსუალურ ძალადობასთან. მედია განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს ამგვარი შემთხვევების გაშუქებას;
  - აივდადებითი ან შიდსით დაავადებული, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ბავშვი, მშობელი ან მასზე პასუხისმგებელი პირი არ განაცხადებს თანხმობას სრულიად შეგნებულად;
  - საომარ მოქმედებებში ჩართული ბავშვი იარაღით ხელში;
  - ბავშვისათვის ზიანის მიყენების ან სამაგიეროს გადახდის რისკის შემთხვევაში.

გაითვალისწინეთ:

- ბავშვის სახის დაფარვა არ არის საკმარისი მისი სრულად არაიდენტიფიცირებისთვის, ხშირად მისი ამოცნობა შე-

საძლებელია გარემოს აღწერით, ან სხვა რესპონდენტების იდენტიფიცირებით.

- გადაღების დაგეგმვისას უმჯობესია, წინასწარ განსაზღვროთ, საჭიროა თუ არა ბავშვის არაიდენტიფიცირება. თუ რედაქცია იღებს ბავშვის დაფარვის გადაწყვეტილებას, მაშინ აცნობეთ ეს ოპერატორსაც და კადრებიც შესაბამისად გადაიღეთ, აჩვენეთ ისეთი დეტალები, რაც, ერთი მხრივ, მის იდენტიფიცირებას არ მოახდენს და, მეორე მხრივ, არ დააზარალებს მასალის ვიზუალურ მხარეს, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა დეტალის ჩვენება.

გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა, სხვა დროს ბავშვის იდენტიფიცირება შესაძლებელია კონტექსტიდან გამომდინარე.

ძალადობა და ტრავმა

- როგორც ზემოთ აღინიშნა, ნებისმიერი ფორმის ძალადობის შემთხვევაში არასრულწლოვნის იდენტიფიცირება, როგორც პირდაპირი[12], ისე ირიბი, დაუშვებელია, იმის მიუხედავად, ბავშვი მოძალადის როლშია, მსხვერპლისა თუ მოწმის.

- უფრო მეტად ნუღარ მოახდენთ ბავშვის სტიგმატიზებას. თავი აარიდეთ კატეგორიზაციას ან სიუჟეტის ისეთ აღწერას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვისათვის სამაგიეროს გადახდა, დამატებითი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება, დამცირება, დისკრიმინაცია ან საზოგადოების მიერ გარიყვა.

- ეცადეთ, თავიდან აიცილოთ ბავშვის რეტრავმირება და არ გაახსენოთ ის ამბავი, რაც მასზე ნეგატიურად იმოქმედებს, თუ ეს რედაქციულად დასაბუთებული არ არის და არ გადაწონის საჯარო ინტერესი, მაგალითად გამოააშკარავებს სხვა დანაშაულს.

12 პირდაპირი იდენტიფიცირება – ბავშვი თავად ჩანს, ირიბი იდენტიფიცირება – ბავშვის ამოცნობა შესაძლებელია სხვა დეტალებით (მშობლების, სამეზობლოს, მისამართის ჩვენებით).

- ეცადეთ, შემთხვევის ადგილას არ ჩაწეროთ ბავშვი, რომელიც შოკურ მდგომარეობაშია.

- მართალია, დაშავებული ბავშვის ფოტო უფრო ბევრის მთქმელი და ემოციურია საზოგადოებისთვის, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ შესაძლოა, ამგვარი კადრები თავად ბავშვისთვის მტკივნეული იყოს.

- იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის პასუხებს შეუძლია, შემთხვევასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაცია მოგაწოდოთ, დაუსვით ღია კითხვები, მაგალითად „რა მოხდა შემდეგ?" ნაცვლად ისეთი კითხვისა, რომელიც თავს აგრძნობინებს დამნაშავედ – „ღამე რატომ სეირნობდი?" ან სადაც პასუხი ჩანს – „შეგეშინდა?"

- ტრავმირებული ადამიანები ხშირად იცვლიან აზრს. თუ ინტერვიუს დასრულების შემდეგ რესპონდენტმა გადაიფიქრა და გთხოვათ ინტერვიუს არგამოქვეყნება, არ გამოიყენოთ ჩანაწერი. მიეცით საშუალება, გაასწოროს შეცდომები და დაამატოს, თუ თავდაპირველი საუბრისას რაიმე ვერ გაიხსენა.

- თუ ტრავმირებული ბავშვი ან მისი მშობლები ინტერვიუზე თანხმობის მოცემამდე დროს ითხოვენ, დაელოდეთ, თუ ეს შესაძლებელია და უკეთეს პასუხებს მიიღებთ.

- ბავშვს უნდა აჩვენოთ, რომ კი არ გეცოდებათ, არამედ უსმენთ; ტრავმირებულ ბავშვთან საუბრამდე ესაუბრეთ მის მშობლებს, მასწავლებლებს, შეისწავლეთ ყველა დოკუმენტი; გაარკვიეთ, რა იქნება ყველაზე რთული და ემოციური მომხდარ ამბავში, რათა კითხვის დასმისას თავიდან აირიდოთ რეტრავმირება.

- ყურადღებით იყავით, რომ ყველა კითხვა შესაბამისობაში იყო ბავშვის ასაკთან. მოვლენათა ქრონოლოგიის აღდგენა მცირე ასაკის ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს, სამაგიეროდ, კარგად გაიხსენოს, რას თამაშობდა, როცა შემთხვევა მოხდა. არ აიძულოთ, მოგიყვეთ ყველა დეტალს თანმიმდევრობით.

- შემთხვევიდან ერთი წლის შემდეგაც კი იმ მოვლენის გახსენებამ შესაძლებელია, მოულოდნელად ემოციური რეაქცია გამოიწვიოს, რისთვისაც მზად უნდა იყოთ.

- მტკივნეულ საკითხზე საუბარს პირდაპირ ნუ დაიწყებთ.

ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები

ჯანმრთელობის პრობლემის მქონე და მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მცხოვრები ბავშვების დახმარების ერთადერთი გზა, ხშირ შემთხვევაში, მედიაა. ამ თემაზე მასალის მომზადებისას:

- ეცადეთ, ჟურნალისტური მასალის მთავარი მიზანი სისტემური პრობლემის მხილება იყოს: რატომ არის საჭირო საზოგადოების დახმარება ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად და რატომ ვერ უზრუნველყოფს მის მკურნალობას სახელმწიფო. გახსოვდეთ, რომ, მასალის გმირი ბავშვის გარდა, იმავე მდგომარეობაში კიდევ არაერთი ადამიანია და მათ თქვენთან დაკავშირება ვერ მოახერხეს.

- მნიშვნელოვანია, ბავშვთა სიღარიბე და სოციალური პრობლემები გააშუქოთ თანმიმდევრობით. კონკრეტული ისტორიები გამოიყენეთ ზოგადი, სისტემური პრობლემის წარმოსაჩენად.

- ბავშვის თანდასწრებით არ ასაუბროთ მშობელი იმის შესახებ, თუ რა გართულებები ანდა ლეტალური შედეგი მოჰყვება ავადმყოფობის პროგრესირებას. ამან დამატებითი სტრესი შესაძლოა გამოიწვიოს.

- მოერიდეთ მძიმე ემოციური კადრების გამოყენებას.

- დაუშვებელია ბავშვის ჯანმრთელობის პრობლემის გასაჯაროება მშობლის ნებართვის გარეშე. ასევე, მნიშვნელოვანია, მედიამ თავად ბავშვსაც ჰკითხოს, სურს თუ არა, მის შესახებ მედიაში მასალა მომზადდეს. იმ შემთხვევაში კი, როცა მშობლის ნებართვა არსებობს, მედიამ უნდა იმსჯელოს იმ შესაძლო რისკებზე, რაც ინფორმაციის გავრცე-

ლებას შეიძლება მოჰყვეს და დაიცვას ბავშვის საუკეთესო ინტერესი.

- დაუშვებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სტერეოტიპულად გაშუქება. მათ მედია ისე უნდა აშუქებდეს, როგორც სხვა ბავშვს გააშუქებდა.

- არ დაუფაროთ სახე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, თუკი იმავე სიტუაციაში მყოფ სხვა ბავშვს არ დაუფარავდით. მიეცით მათ საშუალება, საზოგადოებას გააცნონ საკუთარი საჭიროებები.

- შშმ ბავშვების პრობლემის გაშუქებისას ეცადეთ, აქცენტი მის შესაძლებლობებზე გააკეთოთ. შეზღუდული შესაძლებლობა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ახსენოთ, როდესაც, მაგალითად, ვერ იღებს შესაბამის სერვისს, ან ექმნება სხვა ტიპის პრობლემები.

- თუ ბავშვის მიღწევებზე საუბრობთ, არ გაუსვათ ხაზი მის სოციალურ მდგომარეობას. მნიშვნელობა არ აქვს, მაგალითად, ჭადრაკში ჩემპიონი სოციალურად დაუცველი არის თუ არა, თუ გაშუქების ფოკუსი არ არის ის, თუ როგორ აღწევენ წარმატებას ბავშვები ფინანსების არქონის პირობებში.

- რაც არ უნდა მძიმე იყოს ისტორია, ეცადეთ, წარმოაჩინოთ პოზიტიური დეტალებიც. მაგალითად, ყველა ბავშვს, მიუხედავად მძიმე საცხოვრებელი პირობებისა, აქვს ინტერესები, ჰობი. მასაც, სხვა ბავშვების მსგავსად, უყვარს თამაში, კითხვა, ხატვა და ა.შ. მნიშვნელოვანია ამგვარი დეტალების ჟურნალისტურ პროდუქტში წარმოჩენაც.

- მოერიდეთ ბავშვის ქველმოქმედების ან მოწყალების მიმღებ ობიექტად წარმოჩენას. ხშირად, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები თუ სხვადასხვა ჯგუფი საკუთარი პიარკამპანიისთვის, იმიჯის შესაქმნელად აქტიურად იყენებენ ბავშვებს, მიდიან მათთან და ურიგებენ საჩუქრებს. მედიამ ხელი არ უნდა შეუწყოს ამ ჯგუფებს, აწარმოონ საკუთარი პიარკამპანია ბავშვების გამოყენებით.

- ნუ აღუძრავთ ადამიანებს ცრუ იმედს. განსაკუთრებით ფრთხილად მოეკიდეთ ისეთ ინფორმაციას, სადაც ლაპარაკია „გასაოცარ განკურნებაზე“ ან ჯანმრთელობისთვის პოტენციურ საფრთხეზე.

არასრულწლოვანთა სუიციდი

არასრულწლოვანთა სუიციდი ის მძიმე თემაა, რომლის გაშუქებასაც მედია ხშირად ერიდება. განსაკუთრებით სენსიტიური იმ პირთა გაშუქებაა, რომლებმაც თვითმკვლელობა სცადეს და გადარჩნენ. ამ საკითხზე მუშაობისას მრავალი ეთიკური დილემა წამოიჭრება და რედაქციულად დასაბუთებისა და სწორი გამოსავლის ძებნის ნაცვლად, საერთოდ გაშუქებაზე ამბობენ უარს.

- როგორც სრულწლოვანთა სუიციდისას, ამ შემთხვევაშიც მედიამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უპასუხოს კითხვას – უნდა გაშუქდეს თუ არა კონკრეტული, ცალკეული ფაქტი?

- ფსიქიკური ჯანმრთელობის ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ მედიის მიერ სუიციდის გაშუქების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოქცევას შეუძლია წაახალისოს მსგავსი ქცევა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი სუიციდი წარმოჩენილია როგორც რომანტიკული ან მიმზიდველი, ანდა გამოსავალი პრობლემების მოგვარებისა. შესაბამისად, მედიამ თავიდან უნდა აიცილოს შემთხვევების ამ ჭრილში გაშუქება.

- ზედმეტად დეტალურ აღწერასა და სენსაციაზე ორიენტირებულმა სტატიებმა, რომლებიც ფოკუსირდებიან სუიციდის მსხვერპლთა მიერ გამოყენებულ მეთოდებზე, შესაძლოა სხვებს, ვინც რაიმე ფორმით საკუთარი თავის იდენტიფიცირებას მოახდენს მსხვერპლთან, ასწავლოს, თუ როგორ უნდა გაიმეორონ იგივე ქმედება. არასოდეს მოჰყვეთ დეტალებს და ნუ აჩვენებთ იმ გარემოს, სადაც სუიციდი მოხდა.

- არასოდეს გააშუქოთ სუიციდი როგორც გმირული საქციელი. ამით შესაძლოა, მიბაძვა გამოიწვიოთ. არასრულ-

წლოვანმა თვითმკვლელობას შესაძლოა, მხოლოდ იმიტომ მიმართოს, რომ ამ ფაქტის შემდეგ მასზე ილაპარაკებენ და „დააფასებენ“. ამ ასაკში მათ თვითდამკვიდრების პრობლემა აქვთ.

- არ დაიწყოთ საინფორმაციო გამოშვება სუიციდის ამბით. არ განათავსოთ სუიციდთან დაკავშირებული ამბები გაზეთის/ჟურნალის ყდაზე.

- არ თქვათ, რომ სუიციდით „ტკივილს/ტანჯვას ბოლო მოეღო“.

- არ გამოიყენოთ ფრაზა „სუიციდი ჩაიდინა“, „სუიციდი დანაშაული არ არის“; უმჯობესია თქვათ: „სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა“.

- არ დაასახელოთ სუიციდის ერთი კონკრეტული მიზეზი, რადგან სუიციდს კომპლექსური პრობლემები იწვევს.

- ოჯახის წევრები ხშირად ისეთ მძიმე ემოციურ მდგომარეობაში არიან, რომ ჰყვებიან იმას, რასაც ჩვეულებრივ შემთხვევაში არ იტყოდნენ. ამიტომ თავად აწონ-დაწონეთ, რაიმე ზიანს ხომ არ მოუტანს ამ ინფორმაციის ანდა კადრების გავრცელება მათ? უფრო მეტ ტკივილს ხომ არ მიაყენებს? გამოქვეყნებულმა მასალამ შესაძლოა, დიდ ხანს იქონიოს გავლენა სუიციდის მსხვერპლთა ოჯახის წევრებზე.

- ახლობლებისა და სამართალდამცავების კომენტარების გარდა, მნიშვნელოვანია ფაქტების მოგროვება, ვინაიდან, თუკი ისეთი ვინმესგან აიღებ ინტერვიუს, ვინც არ იცის სიტუაციის მიღმა არსებული ფაქტორები, შესაძლოა, თქვენც არასწორად მოახდინოთ რეალობის ინტერპრეტაცია.

- თვითმკვლელობა დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს სამეზობლოში, სანაცნობოში. ეცადეთ, მათგან გაგონილი ყველა ინფორმაცია არ გაასაჯაროოთ და პატივი სცეთ გარდაცვლილის პირად ცხოვრებას. ოჯახის წევრებისთვის მტკივნეული წასაკითხი და სანახავი იქნება ამგვარი მასალა.

- სუიციდისა და სუიციდისაგან გადარჩენილი ადამიანების გაშუქებისას ყურადღება გაამახვილეთ სუიციდის პრევენციაზე, ინფორმირებასა და მხარდაჭერაზე.

შვილები

- ბავშვები ყურადღების ცენტრში მშობლების გამოც ხვდებიან. თუ მშობლის მიმართ არსებობს საჯარო ინტერესი, ეს ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ შვილებიც იმავე დოზით უნდა გაშუქდნენ.

- როდესაც მშობლის საქმიანობას აშუქებთ, მოერიდეთ იმ ვიდეო- თუ ფოტომასალის გამოყენებას, სადაც შვილებთან ერთად ჩანს.

- ოჯახური ტრაგედიების, ახლობლის დაკრძალვის ცერემონიალისას აქცენტი არ გააკეთოთ ბავშვების ემოციებზე.

დანართი 3

სარეკლამო და სარედაქციო მასალების გამიჯვნა

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეცხრე პრინციპის თანახმად, სარედაქციო მასალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებული მასალებისაგან. ამ პრინციპის მთავარი მიზანია, მედიასაშუალებამ არ შეიყვანოს აუდიტორია შეცდომაში – არ მიაწოდოს ინფორმაცია ისე, თითქოს ის გადამოწმებული და დაზუსტებულია მაშინ, როდესაც გამოქვეყნდა გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. ქარტიის პრაქტიკის თანახმად, მედიასაშუალება პასუხისმგებელია ყველა იმ ინფორმაციაზე, რომელიც მისი რომელიმე პლატფორმით ვრცელდება. შესაბამისად, თუკი სარეკლამო მასალა გამოქვეყნდება შესაბამისი აღნიშვნის გარეშე ისე, როგორც სარედაქციო მასალა, რედაქცია პასუხისმგებელი იქნება მის შინაარსზე. მედია ანგარიშვალდებულია აუდიტორიასთან და პატივს უნდა სცემდეს მის უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია და არა შეცდომაში შემყვანი, გადაუმოწმებელი სარეკლამო მასალა.

როგორც წესი, სარეკლამო დრო და ადგილი ყველა ტიპის მედიასაშუალებას გამოყოფილი აქვს – ბანერები, სარეკლამო რგოლები ფორმითა და შინაარსით მკვეთრად განსხვავდება ჟურნალისტური პროდუქტისგან, შესაბამისად, ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ვინმე მას სარედაქციო მასალად აღიქვამს. მათგან განსხვავებით პრობლემურია მასალები, რომლებიც ფორმის თვალსაზრისით არ განსხვავდებიან ჟურნალისტური პროდუქტისგან. მაგალითად, აქვს სტატიის ფორმა, მომზადებულია სიუჟეტი და ა.შ. ასეთ დროს ძალიან ადვილია დაიჯეროს აუდიტორიამ, რომ შესაბამისი აღნიშვნის გარეშე მიწოდებული ინფორმაცია არის რედაქციის მიერ გადამოწმებული, მაგალითად, პროდუქტი მართლაც საუკეთესოა.

ამიტომაც მნიშვნელოვანია, ნაცვლად დამაბნეველი სიმბოლოებისა, ცხადად იყოს მითითებული, რომ მასალა არის რეკლამა.

ძირითადი წესები:

- მედიაორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ სარედაქციო დამოუკიდებლობის დაცვა კომერციული გავლენისგან. გავლენაში იგულისხმება დამკვეთის სურვილის შესაბამისად, ეთერში გასვლის, გამოქვეყნების დროის, იდეის, მასალის სიუჟეტის, რესპონდენტების, წამყვანის ქცევის, გადაღების კუთხის, ადგილისა თუ სხვა არსებითი დეტალების ცვლილება.

- აუდიტორიისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ იღებს კომერციული შინაარსის ინფორმაციას.

- საფასურის სანაცვლოდ მომზადებული და გამოქვეყნებული მასალა მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს სარედაქციო მასალისგან. უნდა ჰქონდეს შესაბამისი აღნიშვნა ისეთ ადგილას და ისეთი ფორმით, რომ ადვილი იყოს მისი შემჩნევა.

- ნებისმიერი მასალა შესაბამისი აღნიშვნის გარეშე განხილული უნდა იყოს როგორც რედაქციის პასუხისმგებლობით მომზადებული პროდუქტი.

- რედაქციას უნდა ჰქონდეს შემუშავებული სარეკლამო და სარედაქციო მასალების გამიჯვნის პოლიტიკა, რის შესა-

ბამისადაც უნდა გააფორმოს ხელშეკრულება სარეკლამო დამკვეთთან, მომსახურების შემსყიდველთან. ამასთან, მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული სარეკლამო და სარედაქციო განყოფილება.

- სარეკლამო შეთანხმების შემთხვევაში კომერციული შინაარსის მასალის განთავსებისას გამორიცხული უნდა იყოს კომპანიის ან პროდუქტის რაიმე ფორმით შემდგომი სარედაქციო მხარდაჭერა.

დაფინანსებული მასალა

გავრცელებული პრაქტიკაა დამკვეთის მიერ სტატიის ფორმით მომზადებული მასალების საფასურის სანაცვლოდ გამოქვეყნება, რამაც არასათანადო მითითების გამო მკითხველი შესაძლოა, შეცდომაში შეიყვანოს.

- ონლაინ და ბეჭდურ მედიაში ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ მასალებს მკითხველისთვის ადვილად შესამჩნევ ადგილას კარგად აღქმადი ზომით უნდა ჰქონდეს მკაფიო და ცხადი მინაწერი დაფინანსების შესახებ. წარწერები – „პარტნიორის კონტენტი“, NS, R, „მეგობრის მასალა“ და ა.შ. – მკითხველისთვის დამაბნეველია. უმჯობესია, თუ გამოიყენებთ წარწერას „რეკლამა“/„სარეკლამო სტატია“, „სარეკლამო გვერდი“. არ არის კარგი პრაქტიკა, როდესაც გაზეთის ბოლო გვერდზე ანდა საიტზე მითითებულია, რომ რომელიღაც გვერდი/რუბრიკა არის დაფინანსებული. ამგვარი წარწერა თავად სტატიას უნდა ახლდეს.

- რედაქცია მიმართული უნდა იყოს გამჭვირვალობისკენ. თუ საფასურის სანაცვლოდ მომზადებული მასალიდან შეუძლებელია განმთავსებლის იდენტიფიცირება, კარგი იქნება, რედაქციამ მიუთითოს დამკვეთიც.

- იმ შემთხვევაში, როდესაც დამკვეთის მიერ მოწოდებული მასალა შეიცავს კონკრეტულ ბრალდებებს რომელიმე პირის მიმართ, ანდა ცალსახაა, რომ მიზნად ისახავს მის დისკრედიტაციას, მის გამოქვეყნებაზე გადაწყვეტილება

რედაქციამ უნდა მიიღოს საკუთარი სარედაქციო პოლიტიკის შესაბამისად.

- მაუწყებლების შემთხვევაში არა მხოლოდ არაეთიკური, არამედ არაკანონიერია ახალი ამბების გადაცემაში რაიმე პროდუქტის ან მომსახურების რეკლამირება. საერთაშორისო მედიის ნაწილს ამგვარი შეზღუდვა აქვს ისეთ გადაცემებშიც, რომლებიც ბიზნესის, ეკონომიკის შესახებ ახალ ამბებს აწვდის აუდიტორიას.

- გადაცემებში, რომლებიც არ მიეკუთვნება ახალ ამბებს, სარეკლამო მასალის, სიუჟეტების განთავსებისას, საეთერო დროის გაყიდვისას, მაუწყებელმა აუდიტორიას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მასალა დაფინანსებულია. ამისთვის შესაძლოა, გამოყენებული იყოს ტიტრი.

პროდუქტის განთავსება

პროდუქტის განთავსება (product placement) გულისხმობს რეკლამირების მიზნით გადაცემაში პროდუქტის ნებისმიერი ფორმით ინტეგრირებას. მაგალითად: ბანერის განთავსებას, ბრენდირებული ნივთების გამოყენებას და ა.შ.

- კანონმდებლობით, პროდუქტის განთავსება დაშვებულია მხოლოდ მხატვრულ ფილმში, ტელეფილმში, სერიალში, ფილმის (გარდა დოკუმენტური ფილმისა) სერიაში, სპორტულ პროგრამასა და გასართობ გადაცემაში (გარდა საბავშვო პროგრამისა); ლატარიებში, აზარტულ და მოგებიან თამაშობებში, საფასურის ან სხვა ეკონომიკური სარგებლის გარეშე, საქონლის/მომსახურების პრიზის სახით უფასოდ მიწოდებისას.

- ასეთ გადაცემებში პროდუქტი შესაძლებელია იყოს განთავსებული, თუმცა შესაბამისი წესებით – დაუშვებელია ამ პროდუქტის, მისი დადებითი მხარეების შესახებ საუბარი და მოწოდება შეძენისკენ. არ უნდა მიეთითოს კონკრეტული მისამართი, პროდუქტის ფასი, ფასდაკლების პროცე-

ნტი, სლოგანი ანდა სხვა დეტალები, რაც რეკლამის ნაწილია.

- აკრძალულია პროგრამაში იმ მედიკამენტებისა და სამკურნალო საშუალებების განთავსება, რომლებიც რეცეპტით გაიცემა.

- დაუშვებელია, პროდუქტის განთავსებისას გადაცემის წამყვანმა საკუთარი გამოცდილების მოშველიებით დაარწმუნოს მაყურებელი პროდუქტის ყიდვაში. მაგალითად: „მე ერთი თვის განმავლობაში ვიყენებდი ამ შამპუნს და შედეგით აღფრთოვანებული ვარ“, „გირჩევთ, შეიძინოთ ეს წვენი. ჩემი შვილი დილას ამით იწყებს. სრულიად ნატურალური პროდუქტია“.

- წამყვანის მიერ დადებითი შეფასება და ყიდვისკენ მოწოდება განსაკუთრებით მიუღებელი და არაეთიკურია, როდესაც საქმე ეხება ჯანმრთელობას. მედიკამენტებთან, თავის მოვლის საშუალებებთან, დიეტასა და ამგვარ საკითხებთან დაკავშირებული პროდუქტის გამოყენებაში წამყვანის მხრიდან მაყურებლის დარწმუნებამ შესაძლოა, სავალალო შედეგი გამოიწვიოს.

სპონსორობა

სპონსორობა არის პროგრამის მომზადების ან ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება პირის მიერ, მისი სახელის, სავაჭრო ნიშნის, იმიჯის, საქმიანობის განვითარების რეკლამირების მიზნით. სპონსორობა მკვეთრად გამიჯნული უნდა იყოს რეკლამისგან, რადგან ის პირდაპირ აფინანსებს კონკრეტულ მედიაპროდუქტს.

- პროდუქტის განთავსების მსგავსად დაუშვებელია სპონსორის მიერ რაიმე სახის გავლენა დაფინანსებული პროგრამის შინაარსზე.

- აკრძალულია საინფორმაციო-პოლიტიკური გადაცემის სპონსორობა. აგრეთვე, იმ პროგრამებისა, რომლებიც უკა-

ვშირდება მომხმარებელთა უფლებებს, საარჩევნო კამპანიას.

- აუდიტორიისთვის ნათელი უნდა იყოს სპონსორის ვინაობა სახელის, სასაქონლო ან სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშნის საშუალებით, პროგრამის დასაწყისში, მიმდინარეობისას ან/და დასასრულს.

- სპონსორობისას დაუშვებელია პროდუქტისა თუ მომსახურების შეძენის მოწოდება.

- გადაცემები, რუბრიკები, რომლებიც მიზნად ისახავენ სხვადასხვა კომპანიის, პროდუქტის მიმოხილვების, რეცენზიების მომზადებას, არ უნდა დასპონსორდეს ისეთი კომპანიების მიერ, რომლებიც შესაძლოა, ამავე გადაცემის ფოკუსში მოხვდეს.

ჟურნალისტების მონაწილეობა რეკლამაში

- მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად დაუშვებელია ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და წინასაარჩევნო დებატების პროგრამის წამყვანის ან ჟურნალისტის ნებისმიერი სახით მონაწილეობა რეკლამაში ან ტელეშოპინგში.

- იგივე სტანდარტი ვრცელდება როგორც სამაუწყებლო, ასევე სხვა მედიასაშუალებით გავრცელებულ რეკლამაში მონაწილეობაზე.

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების განმარტებებში“ წარმოდგენილია ქარტიის ეთიკის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად ჩამოყალიბებული პრაქტიკის ანალიზი. ნაშრომში მიმოხილულია ქარტიის საბჭოს პრაქტიკა ისეთ ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: სწორი და გადამოწმებული ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება, შესწორების პრინციპი, ბავშვთა უფლებებისა და პირადი ცხოვრების დაცვა, პლაგიატი, სარედაქციო და სარეკლამო მასალების გამიჯვნის აუცილებლობა, დისკრიმინაციის თავიდან აცილება. ნაშრომში ერთი თავი ეთმობა ქარტიის საბჭოსათვის მიმართვისა და საქმის განხილვის პროცედურულ საკითხებს.

ნაშრომი მომზადებულია დავით კლდიაშვილის მიერ, რომელიც ქარტიის დაარსებიდან იკავებს ქარტიის საბჭოს მდივნის თანამდებობას და უშუალოდ აქვს მონაწილეობა მიღებული გადაწყვეტილებების მომზადებაში.

„კომენტარები“ სასარგებლო იქნება ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის პოტენციური განმცხადებლებისათვის, პრაქტიკოსი ჟურნალისტებისათვის; კომენტარებში მითითებული მაგალითები და საბჭოს შეფასებები შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს აკადემიური მიზნებისათვის უნივერსიტეტებში, ჟურნალისტიკის სწავლების მიმართულებით.

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE